

პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები
ტომი №110

TRANSACTIONS OF THE INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY
VOL. #110

ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ
ТОМ #110



საქართველოს კაბა
1.აჭარა

Climate of Georgia
1.Achara

Климат Грузии
2. Аджария

თბილისი – TBILISI - ТБИЛИСИ

2003

ISSN 1512-0902

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები
ტომი № 110

**საქართველოს ჰავა
1. აჭარა**

**GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES
TRANSACTIONS OF THE INSTITUTE OF
HYDROMETEOROLOGY
VOL. №110**

**Climate of Georgia
1.Achara**

**АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ
ТОМ № 110**

**Климат Грузии
2. Аджария**

თბილისი – TBILISI – ТБИЛИСИ

2003

მთავარი რედაქტორი
Editor in Chief
Главный редактор
სარედაქციო
ბოლების

სარედაქციო საბჭო

Editorial Board

Editorial Council

**Редакционная
коллегия**

**Редакционный
совет**

ნოდარ ბეგალიშვილი
N.Begalishvili

ნეგალიშვილი ნ.ა.

დარვეჯელაძე, ბეგრიტა შვილი (რედაქტორის მოადგილე), გაგაჩებილაძე, ბეგუნია, გერიგოლია, კელიხბარა შვილი (რედაქტორის მოადგილე), გ. მელაძე, ბ. მიქაელიძე, რ. სამუქა შვილი, ვ. ცომაია, თ. ციხიცაძე (პასუხ. მდივანი)

ნ. ბეგუნია ი. გელაძე დ. დემეტრებრა შვილი, ჯ. გამნაძე ლ. ინცირებეგუნია, გ. კუჭავა, გ. რობიძე ა. შვილი, გ. ჩიქვაძე, ი. მელაძე, გ. ხერხეულიძე.

G.Arveladze, B.Beritashvili (Deputy Ed.-in-Chief), G.Gachechiladze, G.Gunia, G.Grigolia, E.Elizbarashvili, D.Kereselidze (Deputy Ed.-in-Chief), G.Meladze, B.Mikashavidze, R. Samukashvili, V.Tsomaia, T.Tsintsadze (Executive secretary)

N.Buachidze, J.Vachnadze, I.Geladze, D.Demetrashvili, L.Inckirveli, G.Kuchava, G.Chikvaidze, I.Chogovadze, G.Robitashvili, L.Kaldani, G.Kherkeulidze

არველაძე გ.ა., ბერითაშვილი ბ.შ. (зам.гл. редактора), გაჩეჩილაძე გ.ა., გრიგოლი გ.ლ., გუნია გ.с., კერესელიძე (зам.гл. редактора), დ.ნ., მელაძე გ.გ., მიკაშავიძე ბ.ა. სამუქაშვილი რ.ა., ცომაია ვ.შ., ცინცაძე თ.ნ. (отв. секретарь), ელიზარაშვილი ე.შ.

ბუაჩიძე ნ.с., ვაჩნაძე დ.ი., გელაძე ი.მ., დემეტრაშვილი დ.ლ., ინცირებეგუნია ლ.ი., კალდანი ლ.ა., კუჭავა გ.ლ., რობიაშვილი გ.ა., ჩიქვაძე გ.დ., ჩოგოვაძე ი.ვ., ხერხეულიძე გ.ი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი 0112 თბილისი-12, დავით აღმაშენებლის გამზირი 150 ^o ,	E-mail: nb@gw.acnet.ge		
Georgian Academy of Sciences. Institute of Hydrometeorology. 150 ^a David Agmashenebeli ave., Tbilisi, 0112, Georgia,	ტელ. Tel.	995 32) :951 047, 952 028,	
აკადემია სამსახური. ინსტიტუტ გიდრომეტეოროლოგია 0112, თბილისი-12, პრ. დ. აგმაშენებელი 150 ^a .	ვოქტ Fax	995 32) 95-11-60	Факс
საიდენტიფიკაციო № Identification № Идентификационный №	202054720		

ISSN 1512-0902

©	პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი Institute of Hydrometeorology Институт гидрометеорологии	2003
---	---	------

გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორების
ე.ელიზბარაშვილის, რ.სამუკაშვილის და
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა
კანდიდატის ჯ.ვაჩნაძის რედაქციით

Edited by Doctors of Geographical Sciences
E.Elizbarashvili, R.Samukashvili and Candidate of Physics
and Mathenatics J.Vachnadze

Под редакцией докторов географических наук

Э.Элизбарашили, Р.Самукашили
и кандидата физ-мат.наук Дж.Вачнадзе

რეცენზებები: გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ზ. ჭავჭაბიძე,

გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი
ი. ჩოგოვაძე

განხილულია აჭარის კლიმატის ფორმირების ძირითადი ფაქტორები, კლიმატის ელემენტების ტერიტორიული განაწილების კანონზომიერებანი, კლიმატური რესურსები, კომპლექსური კლიმატური მახასიათებლები და ამინდის საშიში მოვლენები მათ შორის ზვავსაშიშროების ძირითადი მახასიათებლები.

განკუთვნილია კლიმატოლოგებისათვის, აგრონომებისათვის და სპეციალისტებისათვის, რომლებიც მუშაობენ ბუნებრივი რესურსების გამოვლენისა და ათვისების, სამოქალაქო და სამრეწველო ნაგებობების, კავშირგაბმულობის, ელექტროგადამცემი და მილსადენი ხაზების დაგეგმარების და პროექტირების დარგში.

The main factors of Achara Region's climate formation as well as territorial distribution of climatic elements, climatic resources, complex climatic characteristics and the dangerous weather conditions are considered.

Рассмотрены основные факторы формирования климата Аджарии, закономерности территориального распределения климатических элементов, климатические ресурсы, комплексные климатические характеристики и опасные явления погоды, в том числе основные характеристики лавиноопасности.

Предназначена для климатологов, агрономов и специалистов занимающихся выявлением и освоением природных ресурсов, планированием и проектированием гражданских и промышленных сооружений, линий связи, электропередач и трубопроводов.

წინასიტყვაობა

საქართველოს კლიმატის შესწავლას ხანგრძლივი ისტორია გააჩნია დაწყებული ანტიკური დროიდან, თუმცა ინსტრუმენტულ დაკვირვებებზე დაფუძნებული მეცნიერულად დასაბუთებული მონოგრაფიული სასიათის კლიმატოლოგიური გამოკვლევები მხოლოდ საბჭოურ პერიოდში შესრულდა. მათ შორის უპირველეს კოველისა ადსანიშნავია მ.კორდახიას “საქართველოს პავა” (1961) და რუსულ ენაზე გამოცემული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა კოლეგიური მონოგრაფია “საქართველოს კლიმატი და კლიმატური რესურსები” (1971), თუმცა კლიმატის ცალკეული კლემენტების კვლევას მრავალრიცხოვანი ლიტერატურა მიეძღვნა.

მას შემდეგ სამი ათეული წელი გავიდა. ამ დროის განმავლობაში კლიმატოლოგიამ მნიშვნელოვანი ცელილება-განვითარება განიცადა. ფართოდ დაინერგა კომპიუტერული ტექნიკა, გაიზარდა მოთხოვნილება კლიმატური ინფორმაციის მიმართ, კლიმატური მახასიათებლები, რომლებიც 20-30 წლის წინ გამოიყენებოდნენ დღეს აღარ არიან საიმედონი და ვედარ აქმაყოფილებებს მეცნიერების და პრაქტიკის მოთხოვნებს. უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ახლებურად აისხნა ბევრი კლიმატოლოგიური პროცესი. ყოველივე ამან დღის წესრიგში დააყენა საქართველოს კლიმატის თანამედროვე პირობების შეფასება.

მონოგრაფიის ავტორებმა - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის კლიმატოლოგიის სექტორის მეცნიერ-თანამშრომლებმა - მიზნად დაისახეს აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა საქართველოს ცალკეული რეგიონების მაგალითზე.

დღეს, საქართველოს რეგიონალური მართვის პირობებში აუცილებელია, რომ თითოეულ რეგიონს გააჩნდეს თანამედროვე მეცნიერულ დონეზე შეფასებული კლიმატის და კლიმატური რესურსების სრული კადასტრი. ავტორებმა პირველ ასეთ რეგიონად აირჩიეს საქართველოს უძველესი და უმშვენიერესი კუთხე – აჭარა. ნაშრომში გამოყენებულია აჭარაში და მის მოსაზღვრე ტერიტორიებზე განლაგებული მეტეოროლოგიური სადგურების დაკვირვებათა მონაცემები დაკვირვებათა დაწყების დღიდან 1996 წლამდე. ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 2001-2002 წწ. ოქმატური გეგმის შესაბამისად გეოგრ. მეცნიერებათა დოქტორების ე. ელიზბარაშვილის, რ.სამუკაშვილის და ფიზ. მათემ. მეცნიერებათა კანდიდატის ჯ. გაჩნაძის საერთო ხელმძღვანელობით.

მომდგრან გამოცემები მიეძღვნება საქართველოს სხვა რეგიონებს.

თავი I. კლიმატის ზორმირების ზარფორები

1.1. კლიმატის რადიაციული ფაქტორები

აჭარის კლიმატის ფორმირების რადიაციული ფაქტორების შესწავლა ძალზე გართულებულია, რადგანაც აჭარაში არ ფუნქციონირებს აქტინომეტრიული სადგური. ამიტომ ჩვენ იძულებული გავხდით გამოვგევენებინა მეზობელი სადგურის – ანასეულის დაკვირვებათა მონაცემები მზის რადიაციაზე და შესაბამისი მეთოდიები [1, 2].

უპირველეს ყოვლისა, მიღებულია აჭარისათვის გამჭვირვალობის კოეფიციენტის (P_2) და სიმღვრივის ფაქტორის (T_2) საშუალო თვიური და წლიური მნიშვნელობები მოწმენდილი ცის შემთხვევისათვის და მათი სიმაღლის (H) მიხედვით ცვლილების გამომსახველი ფორმულები:

დეკემბერი:

$$P_2 = 0.775 + 0.035H, \quad (1.1.1)$$

$$T_2 = 2.72 - 0.03H - 0.11H_2. \quad (1.1.2)$$

ოვლისი:

$$P_2 = 0.675 + 0.045H, \quad (1.1.3)$$

$$T_2 = 3.88 - 0.17H - 0.11H_2. \quad (1.1.4)$$

წელიწადი:

$$P_2 = 0.705 + 0.045H, \quad (1.1.5)$$

$$T_2 = 3.22 - 0.04H - 0.11H_2. \quad (1.1.6)$$

როგორც ამ ანალიზური გამოსახულებებიდან ჩანს, აჭარის ზღვისპირა ზოლში ატმოსფეროს გამჭვირვალობის კოეფიციენტი შეადგენს დეკემბერში 0.775, ივლისში 0.675, წელიწადში კი საშუალოდ 0.705-ს. სიმღვრივის ფაქტორები შესაბამისად ტოლია დეკემბერში 2.72-ის, ივლისში 3.88-ის, ხოლო წელიწადში საშუალოდ 3.22-ის.

აჭარის ზღვისპირა ზოლში გამჭვირვალობის კოეფიციენტის საშუალო თვიური მნიშვნელობების განაწილება წელიწადის სეზონზე დამოკიდებულებით ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით: იანვარში იგი შეადგენს 0.78, მარტში ატმოსფეროს გაჭუჭყიანების და ტენშეცველობის ზრდის შედეგად ეცემა 0.76-მდე, ივლისში კი ამავე მიზეზით ეცემა 0.65-მდე. ოქტომბერში ატმოსფეროს აეროზოლური გაჭუჭყიანების და ტენშეცველობის კლების შედეგად კოეფიციენტი იზრდება 0.76-მდე. გამჭვირვალობის კოეფიციენტის საშუალო წლიური მნიშვნელობა ტოლია 0.75-ის. ადგილის აბსოლუტური სიმაღლის ზრდის შემთხვევაში ის იზრდება, სიმღვრივის ფაქტორი კი მცირდება.

ანასეულის სადგურის ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ მზის პირდაპირი რადიაციის ინტენსივობის შემცირება სხივისადმი მართობულ ზედაპირზე ($\Delta S_{\text{კვ}}/\theta$) მოწმენდილი ცის პირობებში, როდესაც მზის სიმაღლე $h=10^0$ -ს შეადგენს 0.85-ს, როცა

$h_o=20^0 - 0.65$ -ს, $h_o=30^0 - 0.55$ -ს, $h_o=40^0 - 0.51$ -ს, $h_o=50^0 - 0.49$ -ს, $h_o=60^0 - 0.48$ -ს, $h_o=70^0 - 0.47$ კვტ/მ-ს. მზის სიმაღლის მატებისას 10^0 -დან 70^0 -მდე ინტენსივობის სიდიდე მცირდება 0.38 კვტ/მ-მდე.

რადგანაც, აჭარის მთიან რაიონებში დაკვირვებების მასალები მზის პირდაპირ რადიაციაზე არ გაგვაჩნია, ჩვენ მათი ინტენსივობის შესაფასებლად გამოვიყენოთ სადგურ ჯვრის უდელტეხილის (2395 მ) მონაცემები. ჩვენს მიერ გამოვვლილია ინტენსივობის სიდიდეები, რომლებიც ტოლია $h_o=10^0$ -ის შემთხვევაში 0.71-ის, 20^0 -ის შემთხვევაში – 0.51, 30^0 – 0.44, 50^0 – 0.39, 60^0 – 0.38, 70^0 – 0.37 კვტ/მ –ისა. ეს სიდიდეები შესამჩნევად მცირეა სადგურ ანასეულისათვის გამოოცლილი ინტენსივობის შესაბამის სიდიდეებზე.

მოდრუბლულობის და მზის ნათების რეჟიმი. რადიაციული ბალანსის მდგრენელების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობენ დრუბლიანობის და მზის ნათების რეჟიმული მახასიათებლები. აჭარის ტერიორიაზე დრუბლიანობის რეჟიმული მახასიათებლების დადგენის მიზნით გაანალიზდა საერთო და ქვედა იარუსის დრუბლიანობაზე მრავალწლიური დაკვირვებების ინფორმაცია, ცის მოწმენდილი და მოღრუბლული მდგრმარების ალბათობა, მოწმენდილი და მოღრუბლული ამინდის მდგრადობის კოეფიციენტები, საერთო და ქვედა იარუსის დრუბლიანობით, რომლებიც მზის ნათების ხანგრძლივობის განაწილებასთან, მოწმენდილი, მიღრუბლული და უმზეო დღეების რეჟიმულ მახასიათებლებთან ერთად იძლევიან ქვეფენილი ზედაპირის რადიაციული ბალანსის ფორმირებაზე დრუბლიანობის გავლენის შესახებ სრულ წარმოდგენას.

მრავალწლიური დაკვირვებების მონაცემებით საერთო მოღრუბლულობის საშუალო თვიური სიდიდეების მაქსიმუმს აღიღილი აქვს თებერვალ-აპრილის თვეებში (მერყეობს 7.0-7.8 ბალის ფარგლებში). ამ მახასიათებლის აბსოლუტური მაქსიმუმი აღინიშნა სადგურ მახინჯაურში (7.8 ბალი). მინიმუმი, ძირითადად, აღინიშნება შემოდგომის თვეებში. აბსოლუტური მინიმუმი აღინიშნა ოქტომბერში სადგურებში ქედა და ჭარნალი (5.2 ბალი).

ამავე პერიოდისათვის ქვედა იარუსის მოღრუბლულობის სიდიდეების მაქსიმუმი აღწევს ზღვისპირა ზოლში თებერვალში 5.7 ბალს (ქობულეთი), ივლის-აგვისტოში – 5.5 ბალს (ბათუმი). ხულოში მისი მაქსიმუმი აღინიშნება ივლისში (5.8 ბალი), ცისკარაში კი ამავე თვეში (7.2 ბალი). სადგურ ქედაში ივლისის მაქსიმუმი შეადგენს მხოლოდ 4.7 ბალს.

მოღრუბლულობის მინიმუმებს აღგიღილი აქვს წელიწადის ცივ პერიოდში. მისი აბსოლუტური მინიმუმი აღინიშნა სადგურ ჩაქვში და კემბერში (3.3 ბალი).

აღსანიშნავია, რომ კაგებასის ტერიტორიაზე ერთ-ერთ დრუბლი-ან რაიონად ითვლება აჭარის შავი ზღვისპირა ზოლი, შავი ზღვის-აქნ ორიენტირებული მთიანი ამფითეატრის ფერდობები და მთისწინა რაიონები, სადაც მრავალწლიური საშუალო საერთო მოღრუბლელობა მერყეობს 6.5-7.0 ბალის ფარგლებში.

ქვედა იარუსის მოღრუბლელობის მრავალწლიური საშუალო მაქ-სიმუმი აჭარის ტერიტორიაზე აღწევს 5.1 ბალს (სადგურები ქობულეთი, ცისპარა), მინიმუმი კი ეცემა 3.8 ბალამდე (მწვანე კონცხი).

საერთო მოღრუბლელობით აჭარის ტერიტორიაზე ცის მოღრუბლელი მდგომრეობის ალბათობის მაქსიმუმი აღინიშნება წელიწადის ცივ პერიოდში (იგი აღწევს ზღვის სანაპირო ზოლში 70%-ს, მთიან რაიონებში კი 73%-ს), მინიმუმი – თბილ პერიოდში (შავი ზღვის სანაპირო ზოლში იგი ეცემა 38%-მდე, მთიან რაიონებში კი იცვლება ფართო საზღვრებში).

ქვედა იარუსის დრუბლიანობის შემთხვევაში ცის მოღრუბლელი მდგომარეობის ალბათობის ტერიტორიული განაწილების კანონზომი-ერები ანალოგიურია საერთო მოღრუბლელობისათვის დადგენილი კანონზომიერებებისა: მაქსიმუმით წელიწადის ცივ და მინიმუმით თბილ პერიოდში იმ განსხვავებით, რომ აჭარის მთიან რაიონებში ამ მახასიათებლის მინიმუმი აღინიშნება შემოღომაზე (ეცემა 25%- მდე).

მზის ნათების საშუალო მრავალწლიური ხანგრძლივობა აჭარის ზღვისპირა ზოლში შეაღენს 1916 საათს. მზის ნათების ფაქტიური ხანგრძლივობის შეფარდება მის შესაძლო ხანგრძლივობასთან მოწმენილი ცის შემთხვევაში შეაღენს 42%-ს, დღის განმავლობაში მზის ნათების საშუალო ხანგრძლივობა ტოლია 6.5 საათისა. უზეოდეთა რიცხვი წელიწადში შეაღენს 72%-ს. მზის ნათების ფაქტიური ხანგრძლივობის მინიმუმი აღინიშნება დეკემბერ-იანვარში (101-98 სთ), მაქსიმუმი – ივნისში (233 სთ). მზის ნათების საათური ინტერვალი ბათუმში იცვლება 0.1-0.7 საათამდე ფარგლებში, მინიმუმით ზამთრის და მაქსიმუმით ზაფხულის ოვეებში.

საკვლევ პერიოდში (1954-1991 წლები) დრუბლიანობისა და ატმოსფეროს გაჟუჭყიინების დონის ცვლილებების გავლენით მზის პირდაპირი რადიაციის, ისევე როგორც რადიაციული ბალანსისა და მისი დანარჩენი მდგენელების თვიური და წლიური ჯამების სიდიდეები, განიცდიან მნიშვნელოვან რევენებს.

რადიაციული ბალანსისა და მისი მდგენელების ცვლილებები დღე-დამის, თვის და წელიწადის განმავლობაში წარმოადგენენ მოკლეპერიოდიან რევენებს. გრძელპერიოდიანი რევენებისაგან განსხვავდით, რომლებსაც ადგილი აქვს მრავალწლიურ სელაში, სადგურ ან-ასეულის მრავალწლიური (1954-1991 წლები) ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე რადიაციული ბალანსისა და მისი მდგენელების წლიუ-

რი ჯამების დროში ცვლილებების ტენდენციები და სიდიდეები წარმოდგენილი იქნა წრფივი განტოლებების სახით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდით და დაკვირვებების ანალოგიური მოცულობის ინფორმაციის გამოყენებით [3]-ში ჯერ კიდევ 1999 წელს მიღებული იქნა ანალოგიური შედეგები:

სხივისადმი მართობულ ზედაპირზე მზის პირდაპირი რადიაციის წლიური ჯამები მოღრუბლებულობის საშუალო პირობებში

$$\Sigma_{wS_R} = 128.6 - 0.61t, \quad (1.1.7)$$

გაბნეული რადიაციის წლიური ჯამები მოწმენდილი ცის შემთხვევაში

$$\Sigma_{wD_0} = 32.1 + 0.1t, \quad (1.1.8)$$

გაბნეული რადიაციის წლიური ჯამები მოღრუბლებულობის საშუალო პირობებში

$$\Sigma_{wD_R} = 52.9 - 0.24t, \quad (1.1.9)$$

ქვეფენილი ზედაპირის რადიაციული ბალანსი მოღრუბლებულობის საშუალო პირობებში

$$\Sigma_{wB} = 70.0 - 0.65z, \quad (1.1.9')$$

ალბედო მოღრუბლებულობის საშუალო პირობებში

$$A = 24.3 - 0.09t. \quad (1.1.10)$$

ამ გამოსახულებებში t იცვლება 1–38-ის ფარგლებში. როგორც გამოსახულებებიდან ჩანს, 1954–1991 წლების განმავლობაში Σ_{wSR} სიდიდეები განიცდიდნენ შემცირებას, რაც აისხება ღრუბლიანობისა და ატმოსფეროს აეროზოლური გაჭუჭყიანების ზრდით. მოწმენდილი ცის პირობებში Σ_{wD_0} სიდიდეები ამ პერიოდში ატმოსფეროს მზარდი ანთროპოგენული გაჭუჭყიანების შედეგად გაიზარდა, ხოლო მოღრუბლებულობის საშუალო პირობებში შემცირდა. ამავე პერიოდში ადგილი ჰქონდა ალბედოს თანდათანობით შემცირებას. რაც შეეხება რადიაციულ ბალანსს, მისი სიდიდეც ამ პერიოდის განმავლობაში განიცდიდა შემცირებას. ამრიგად, 38 წელიწადის განმავლობაში რადიაციული ნაკადების და ბალანსის საუკუნოებრივი სვლა განპირობებული იყო ატმოსფეროს მზარდი გაჭუჭყიანებით (Σ_{wD_0} -ის ზრდა მოწმენდილი ცის შემთხვევაში) და ღრუბლიანობის მატებით (Σ_{wS} -ის და Σ_{wD_R} -ს შემცირება).

აჭარის ზღვისპირა დაბლობ ზოლში ჯამური რადიაციის ინტენსივობის საშუალო მრავალწლიური მაქსიმუმი (დაკვირვების გადაზე 12 სთ. 30°) აღინიშნება ივნისში, მინიმუმი კი ღეკემბერში. ისინი შესაბამისად ტოლია მოწმენდილი ცის შემთხვევაში 0.97 და 0.45 ვატ/მ²-ის, მოღრუბლებულობის საშუალო პირობებში კი – 0.64 და 0.28 ვატ/მ²-ის. მთიან რაიონებში მაქსიმუმი უმეტეს შემთხვევებში აღინიშნება აპრილ-მაისში, რაც გამოწვეულია სეზონური თოვლის საფარის გავლენის გამო.

ნით ჯამური რადიაციის კომპონენტის – გაბნეული რადიაციის – ზრდით. მოწმენდილი ცის შემთხვევაში დამოკიდებულებას $Q_0=f(h_0)$ აქვს მეორე რიგის პარაბოლას სახე, ხოლო დამოკიდებულება $Q_0=f(m)$ აჭარის შავი ზღვის სანაპირო ზოლისათვის (სადაც m წარმოადგენს ატმოსფეროს ოპტიკურ მასას). წარმოიდგინება შემდეგი სახით:

$$Q_0 = 1.548 e^{-0.489m}. \quad (1.1.11)$$

მაღალმოთანი რაიონებისათვის ეს დამოკიდებულება წარმოიდგინება შემდეგნაირად:

$$Q_0 = 1.692 e^{-0.486m}. \quad (1.1.12)$$

მოწმენდილი ცის შემთხვევაში აჭარის ზღვისპირა ზოლში ჯამური რადიაციის თვიური ჯამების სიდიდე მერყეობს 284.9 მჯ/მ-დან (XII) 931.2 მჯ/მ-დე (VI).

მთიანი რაიონებისათვის თვიური ჯამების ΣTQ_0 დამოკიდებულებას ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე იგნისში აქვს კვადრატული ფუნქციის სახე:

$$\Sigma TQ_0 = 924.0 + 14.3 H^2, \quad (1.1.13)$$

დეკამბერში – წრფივი ფუნქციის სახე:

$$\Sigma TQ_0 = 270.0 + 20.75 H. \quad (1.1.14)$$

წლიური ჯამების შემთხვევაში დამოკიდებულებას $\Sigma_w Q_0 = f(H)$ აქვს მეორე რიგის პარაბოლას სახე:

$$\Sigma_w Q_0 = 6960.4 + 706.5H - 52.0H^2. \quad (1.1.15)$$

მოღრუბლულობის საშუალო პირობებში აჭარის ზღვისპირა ზოლში ჯამური რადიაციის საშუალო მრავალწლიური ინტენსივობა დაკვირვების ვადაზე 12 სთ. 30 წთ. შეადგენს დეკამბერში 0.32 ვატ/მ-ს, ხოლო იგნისში – 0.64 ვატ/მ-ს. მთიან რაიონებში ადგილის აბსოლუტური სიმაღლის ზრდის სინქრონულად ჯამური რადიაციის თვიური და წლიური ჯამების სიდიდე მატულობს. დამოკიდებულებას აქვს წრფივი ფუნქციის სახე:

იგნისი

$$\Sigma TQ_R = 608.2 + 37.71H, \quad (1.1.16)$$

დეკამბერი

$$\Sigma_w Q_R = 115.4 + 39.72H. \quad (1.1.17)$$

ხოლო დამოკიდებულება $\Sigma wQR = f(H)$ წარმოიდგინება მეორე რიგის პარაბოლას სახით:

$$\Sigma_w Q_0 = f(H) = 4783.7 + 492.2H - 13.18 H^2 \quad (1.1.18)$$

გამოსახულებებში (1.1.14 - 1.1.18) ჯამები მოცემულია მჯ/მ-ში, H კოგ-ში.

აქტინომეტრიული სადგურების სიმცირით ან საერთოდ არარსებობით განპირობებული ჯამური რადიაციის დეფიციტის პირობებში რა-

დიაციული ბალანსის ამ მდგრენელის გამოთვლა ხდება რუსეთის მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიაში დამუშავებული მეთოდიკის გამოყენებით სავინოვანგსტრემის ფორმულით [2]:

$$\Sigma T_{QR} = \Sigma T_{Q0}[1-(1-k)n] \quad (1.1.19)$$

აღნიშნული დამოკიდებულება, ΣQ_0 და K -ს მაღლივი ცვლილებების გათვალისწინებით გამოყენებული იქნა აჭარის ტერიტორიის მეტეოროლოგიური სადგურებისათვის ჯამური რადიაციის თვიური ჯამების გაანგარიშებისათვის 0-1 კმ სიმაღლეთა დიაპაზონში მოღრუბლეულობის საშუალო პირობებისათვის (იხ. ცხრილი 1.1.1):

ცხრილი 1.1.1. ჯამური რადიაციის თვიური და წლიური ჯამები ლრუბლიანობის საშუალო პირობებში X (41.9 მჯ/გ)

სადგური	H,მ	თ ვ ე				წელი
		I	IV	VII	X	
ქობულეთი	4	14.5	153	14.3	914	14.4
ჩაქვი, აგრო	4.0	8.4	.9	8.3	4.9	8.7
მწვანე კონცხი	12.3	113	11.4	110.3	12.6	115.7
მახინჯაური	14.3	92	13.9	100	15.3	310
ბათუმი, ქალაქი	8.4	4.2	8.2	4.3	8.5	4.2
ცისკარა	112.8	11.4	107.9	11.7	120.3	11.2
ხულო	34	139	5	13.2	257	14.3
ქედია	3.9	8.4	3.9	8.5	4.5	8.7
ჭარნალი	11.7	111.0	9.3	110.2	12.1	112.5

არეკვლილი რადიაცია ღმ და ალბედო A წარმოადგენენ მზის სიმაღლის, დაცემული რადიაციის სკექტრალური შემაღლებლობის და ქვეფენილი ზედაპირის ფიზიკური თვისებების ფუნქციას. აჭარის ტერიტორიაზე ღმ და A-ს მაღლივი ცვლილებების თავისებურებებზე მნიშვნელოვან გაფლენის ახდენს სეზონური თოვლის საფარის არსებობის ხანგრძლივობა, რომელიც დამოკიდებულია ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე. აჭარის ზღვისპირა ზოლში, მთიანი რაიონებისაგან განსხვავებით, თოვლის საფარი არამდგრადია. არამდგრადი თოვლის საფარით ზამთრის ალბათობის სიდიდე აქ მერყეობს 80-100%-ის ფარგლებში. გაზაფხულსა და შემოღვმაზე, როდესაც ადგილი აქვს სეზონური თოვლის საფარის რდვევის და ფორმირების პროცესებს, წელიწადის ცივი და თბილი პერიოდებისაგან განსხვავებით, ალბედოს და არეკლილი რადიაციის სიდიდეები მკვეთრ ცვლილებებს განიცდიან. მთიან რაიონებში ზამთრის პერიოდში ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე და ორგრაფიულ ფაქტორზე დამოკიდებულებით სამხრეთის ექსოზზიციის ფერდობებზე ადგილი აქვს თოვლის აორთქლების ინტენსიურ პროცესებს, რომლებიც სათბური და სანაპირო ეფექტების მოქმედების სინქრონულად იწვევს თოვლის საფარის ნაწილობრივ

გაქრობას (თოვლჭრელის – ლილოს წარმოქმნას), რის შედეგად, ფიქსირებულ აბსოლუტურ სიმაღლეზე, ფერდობების ორიენტაციაზე და დახრილობის კუთხეზე დამოკიდებულებით ერთდროულად აღინიშნება ქვეფენილი ზედაპირის აღბედოს განსხვავებული მნიშვნელობები.

საქართველოს მთიანი რაიონებისათვის არეკლილი რადიაციის თვიური ჯამები ინისში და დეკმბერში ადგილის სიმაღლის ზრდასთან ერთად იზრდება. დამოკიდებულებებს აქვთ კვადრატული ფუნქციის სახე:

ივნისი

$$\Sigma TR_m = 67.42 + 30.8H^2 \quad (1.1.20)$$

დეკმბერი

$$\Sigma TR_m = 37.2 + 9.9H^2. \quad (1.1.21)$$

წლიური და სეზონური ჯამების ΣWR_m და ΣsR_m ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე დამოკიდებულებებს აქვთ შემდეგი სახე:

weliwadi

$$\Sigma WR_m = 1067.1 - 148.1H + 215.1H^2, \quad (1.1.22)$$

civi periodi

$$\Sigma sR_m = 1658.2 - 114.4 H + 226.4H^2. \quad (1.1.23)$$

1.1.23 გამოსახულების თანახმად, ზღვის დონეზე ΣwR_m შეადგენს 1067.1 მჯ/მ-ს, 3 კმ სიმაღლეზე კი 2558.7 მჯ/მ-ს.

ქვეფენილი ზედაპირის მიერ შთანთქმული რადიაციის (მოკლებალდიანი რადიაციული ბალანსი) თვიური ჯამების ΣTQ_s ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე დამოკიდებულებებს აქვთ მეორე რიგის პარაბოლის სახე:

ივნისი

$$\Sigma TQ_s = 550.0 + 37.0H - 30.6H^2, \quad (1.1.24)$$

დეკმბერი

$$\Sigma TQ_s = 80.0 + 39.8H - 9.9H^2. \quad (1.1.25)$$

შთანთქმული რადიაციის წლიური ჯამების სიდიდე, როგორც მოწმენდილი ცის, ასევე მოღრუბლულობის საშუალო პირობებში, ადგილის აბსოლუტური სიმაღლის ზრდისას მცირდება, ხოლო თვიური ჯამების სიდიდე მოწმენდილი ცის შემთხვევაში ივლისში იზრდება (ცხრილი 1.1.2).

როგორც ცხრილიდან ჩანს, დაბალი მთის ზონაში (0-1 კმ) შთანთქმული რადიაციის სიდიდეები ყველა თვეში მატულობენ, შეკვეთის და მაღალი მთის ზონებში კი კლებულობენ (ივლისის გარდა მოწმენდილი ცის პირობებში). შთანთქმული რადიაციის წლიური ჯამების დამოკიდებულება ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე საქართველოს მთიანი რაიონებისათვის, აჭარის რეგიონის ჩათვლით, ანალიზურად წარმოიდგინება მეორე რიგის პარაბოლის სახით:

ცხრილი 1.1.2. შთანთქმული რადიაციის თვიური ჯამები (მჯ/გ)

H, გგ	თ ვ ე				H, გგ	თ ვ ე			
	I	IV	VII	X		I	IV	VII	X
მოწმენდილი ცა					საშუალო მოღრუბლეულობა				
0	190.0	605.0	720.2	382.0	0	108.0	350.5	536.0	262.2
1	192.0	632.0	730.2	412.2	1	130.0	376.0	545.0	262.2
2	122.0	150.4	770.0	405.0	2	90.0	270.2	520.0	240.0
3	38.5	88.0	840.2	362.0	3	33.5	63.0	487.0	226.0

$$\Sigma_w Q_s = 371.6 + 450.0 H - 228.3 H^2. \quad (1.1.26)$$

წლიური ჯამების სიდიდე $\Sigma_w Q_s$ მკეთრად მცირდება მაღალმთიან ზონაში სეზონური თოვლის ხაზის ნიშნულს ზევით.

აღსანიშნავია, რომ აჭარის ზღვისპირა ზოლში სადგურ ანასეულის მონაცემებით შეფარდების $\Sigma_w Q_s / \Sigma_w Q_R$ სიდიდე აღწევს 0.78-ს, 3 კმ სიმაღლეზე კი იგი ეცემა 0.54-მდე.

ქვეფენილი ზედაპირის რადიაციული ბალანსი დიდ როლს თამაშობს კლიმატის და მიკროკლიმატის ფორმირების პროცესში. მისი სიდიდე იზომება აქტინომეტრიულ სადგურებზე, ხოლო იმ რაონებისათვის, სადაც ბალანსური დაკვირვებები არ წარმოებს, იგი განისაზღვრება სითბური ბალანსის მდგრებლების კლიმატოლოგიური გამოთვლების მეთოდით [2].

აჭარის ზღვისპირა ზოლში B_0 -ის საშუალო მრავალწლიური ინტენსივობის მაქსიმუმი მერყეობს 0.65 კვტ/მ-იდან (VI) 0.22 კვტ/მ-დე (XII) მოწმენდილი ცის შემთხვევაში და 0.47 კვტ/მ-იდან (VI) 0.14 კვტ/მ-დე (XII) საშუალო მოღრუბლეულობის პირობებში. მთიან რაიონებში სეზონური თოვლის საფარის გავლენის შედეგად რადიაციული ბალანსის სიდიდეები მკვეთრად მცირდებიან. მზის ფიქსირებული სიმაღლის შემთხვევაში იძენტურ აბსოლუტურ სიმაღლეებზე რადიაციული ბალანსის სიდიდე მირითადად განისაზღვრება ქვეფენილი ზედაპირის ალბედოს მნიშვნელობებით.

აჭარის ზღვისპირა ზოლში რადიაციული ბალანსის თვიური ჯამების სიდიდე წელიწადის განმავლობაში მოღრუბლეულობის საშუალო პირობებში მერყეობს 950.0 მჯ/მ-დან (VI) 15.5 მჯ/მ-დე (XII). მთიან რაიონებში აღგილის სიმაღლის ზრდისას რადიაციული ბალანსის თვიური და წლიური ჯამების სიდიდეები მცირდება დაკმებერში 13.0 მჯ/მ-დან (ზღვის დონეზე) -70.0 მჯ/მ (4 კმ სიმაღლეზე), იგნისში, შესაბამისად, 435.0 მჯ/მ-დან 60.0 მჯ/მ-დე.

დამოკიდებულებები $\Sigma T B = F(H)$ წარმოიდგინება წრფივი ფუნქციის სახით დეკამბრისათვის და კვადრატული ფუნქციის სახით იგნისისათვის:

დეკემბერი

$$\Sigma TB = 12.6 - 21.0H, \quad (1.1.27)$$

ივნისი

$$\Sigma TB = 433.4 - 23.5H^2. \quad (1.1.28)$$

წლიური ჯამების ΣwBR დამოკიდებულებას ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე დასავლეთ კავკასიონის სამხრეთის ფერდობისა და ანალოგურ კლიმატურ პირობებში მყოფი აჭარის მთიანი რაიონების-ათვის აქვს შემდეგი სახე:

$$\Sigma wBR = 2199.3 + 424.4H - 218.1H^2, \quad (1.1.29)$$

რომელშიც ჯამები მოცემულია მჯ/მ-ში, კი-კმ-ში. საგულისხმოა ის მომენტი, რომ მოწმენდილი ცის შემთხვევაში, ასევე მოღრუბლებულობის საშუალო პირობებშიც, დამოკიდებულება $\Sigma wB/\Sigma wQ=f(H)$ წარმოიდგინება კვადრატული ფუნქციის სახით:

$$\Sigma wB/\Sigma wQ=0.48 - 0.023H^2. \quad (1.1.30)$$

ამრიგად, რადიაციული ბალანსის წლიური ჯამების წილი ჯამური რადიაციის წლიურ ჯამებში როივე შემთხვევაში (მოწმენდილი ცა, საშუალო მოღრუბლებულობა), როგორც დაბლობ ასევე მთიან რაიონებში, ემთხვევა ერთმანეთს.

მიღებული დამოკიდებულებით ორივე შემთხვევისათვის შესაძლოა გამოითვალის რადიაციული ბალანსის ჯამები ჯამური რადიაციის წლიური ჯამების გამოყენებით, რომელთა არსებობის ალბათობა გაცილებით მეტია რადიაციული ბალანსის შესაბამისი ჯამების არსებობის ალბათობაზე.

იმ ტერიტორიისათვის, სადაც არ არსებობს დაკვირვებები რადიაციულ ბალანსზე, შესაძლოა რადიაციული ბალანსის თვიური ჯამების გამოთვლა ქვევენილი ზედაპირის მიერ შთანთქმული რადიაციის თვიური ჯამების გამოყენებით, რაც ემყარება რადიაციულ ბალანსსა და შთანთქმულ რადიაციას შორის ფუნქციონალური კაგშირების არსებობას. ეს კავშირები, აგრეთვე, გამოყენებას პოულობენ მოკლეპრიოდიანი აქტინომეტრიული სადგურებისათვის რადიაციულ ბალანსზე დაკვირვებათ რიგების გასაგრძელებლად.

მოღრუბლებულობის საშუალო პირობებში რადიაციული ბალანსის თვიური და წლიური ჯამების შთანთქმული რადიაციის შესაბამის ჯამებზე დამოკიდებულებებს $\Sigma TBR = f(\Sigma TQS)$, $\Sigma wBR = f(\Sigma wQS)$ აქვთ წრფივი ფუნქციის სახე.

კოლხეთის დაბლობისა და შავი ზღვის სანაპირო ზღვისათვის თვიური ჯამების შემთხვევაში ამ დამოკიდებულებას აქვს შემდეგი სახე:

$$\Sigma TBR = 0.908\Sigma TQS - 85.2. \quad (1.1.31)$$

ამ გამოსახულებით გამოთვლილ და დაკვირვებების შედეგად მიღებულ ΣTBR -ს სიდიდეებს შორის (სადგურები ანასეული, ჩაქვი) საშუალო კვადრატული გადახრა მერყეობს 5-15 მჯ/მ-ის ფარგლებში.

წლიური ჯამების შემთხვევაში ამ დამოკიდებულებას აქვს შემდგარი ანალიზური სახე:

$$SWBR = 1.01 \Sigma wQS - 162.8. \quad (1.1.32)$$

ამ გამოსახულებით გამოთვლილი რადიაციული ბალანსის თვიური ჯამები მოღრუბლულობის საშუალო პირობებში ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე დამოკიდებულებით მოცემულია ცხრილ 1.1.3-ში. ამავე ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს აქტიონმეტრიოული ქსელის რადიაციულ ბალანსზე დაკვირვებების ინფორმაციით აღებული $\Sigma TBR=f(H)$ დამოკიდებულებების გრაფიკებიდან აღებული რადიაციული ბალანსის თვიური ჯამები საშუალო მოღრუბლულობის პირობებში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოთვლილ და დაკვირვებებით მიღებულ სიდიდეებს შორის განსხვავება უმნიშვნელოა.

ცხრილი 1.1.3. რადიაციული ბალანსის თვიური ჯამები წელიწადის სეზონების შესაფერისათვის, (მჯ/მ)

H, კმ	თ ვ ე				H, კმ	თ ვ ე			
	I	IV	VII	X		I	IV	VII	X
ΣTBR -ს გამოთვლილი სიდიდეები								ΣTBR -ს დაკვირვებით მიღებული სიდიდეები	
0	14.0	238.2	400.8	147.8	0	20.0	230.0	400.0	145.0
1	33.0	258.8	410.8	147.8	1	28.0	250.0	390.0	140.0
2	-2.20	162.8	387.8	131.8	2	0.00	160.0	355.0	125.0
3	-53.0	28.0	356.8	120.0	3	-40.0	15.0	340.0	110.5

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. Сивков С.И. Методы расчёта характеристик солнечной радиации. Л., Гидрометеоиздат, 1968.
2. Берлянд Т.Г. Методика климатологических расчётов суммарной радиации. Метеорология и Гидрология, №3, 1960.
3. ქ. თავართქილაძე, ი. შენგავლია. პავის თანამედროვე ცვლილება საქართველოში. რადიაციული რეჟიმის ცვალებადობა. თბილისი, 1999.


1.2. ატმოსფერული ჰაერის წნევა

ჰაერის წნევა ზღვის დონეზე: ატმოსფერული წნევის რეჟიმი საქართველოში განპირობებულია მაროცირკულაციური პროცესებით, სითბური ბალანსისა და რელიეფის თავისებურებების ერთობლიობით. რამდენადაც წნევა არის სიმაღლის ფუნქცია, მისი რეჟიმის სხვა კლიმატურ მახასიათებლებთან კავშირის ანალიზისათვის ჩვეულებრივ განიხილავენ ზღვის დონეზე მიყვანილ ჰაერის წნევას.


განსახილველ ტერიტორიაზე ჰაერის წნევის საშუალო წლიური სიღრიცეები მიყვანილი ზღვის დონეზე შეადგენს 1015-1018 ჰპა-ს. მისი ტერიტორიული განაწილება ხასიათდება ზამთრის რეჟიმის თავისებურებით – შედარებით დაწეული ჰაერის წნევა აღინიშნება სანაპირო რაიონებში, ხოლო აწეული – თრიალეთისა და არსიანის ქედებზე.

წლიური ამპლიტუდა იზრდება კლიმატის კონტინენტურობასთან ერთად. სანაპირო რაიონებში იგი ახლოა 8 ჰპა-თან. აღმოსავლეთით იგი იზრდება და არსიანის ქედზე ზღვის დონიდან 2000 მეტრზე მაღლა შეადგენს 14-15 ჰპა-ს. საერთოდ კი ჰაერის წნევის ამპლიტუდების ტერიტორიული განაწილება ახლოა იანვრის საშუალო წნევის განაწილებასთან.

წლიურ მსვლელობაში აშკარად გამოიკვეთება ჰაერის ტერიტორიული განაწილება, რაც უფრო მკვეთრად არის გამოხატული ზამთარსა და ზაფხულში (ნახ. 1.2.1 და 1.2.2).



ნახ. 1.2.1. ატმოსფერული წნევა (ჰპა). ანგარი.



ნახ. 1.2.2. ატმოსფერული წნევა (ჰპა). ივლისი
ზამთრის სეზონში ტერიტორია იმყოფება ციმბირის ანტიციკლონის განშტოების გავლენის ქვეშ. უმეტეს შემთხვევებში ამასთან არის და-

კავშირებული აღმოსავლეთის ტიპის ცირკულაციის განვითარება, რომლის დროსაც შავ ზღვაზე განლაგდება დაბალი წნევის არე. დასავლეთ საქართველოში გაბატონებული ბარიული გრადიენტების მიმართულება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ აპირობებს აღმოსავლეთის მიმართულების ქარების გაბატონებას, რომელთაც ძირითადად ფიონური ხასიათი აქვთ. არსებითი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ ანტიციკლონებზეს, რომელიც დაიკვირვება ამიერაგვასიის ცენტრალურ რაიონებზე ცივი ჰაერის მასების შემოჭრისას დასავლეთიდან ან აღმოსავლეთიდან. ამ დროს მისი თხემი მოძრაობს კავკასიონზე, რასაც თან სდევს ცივი ჰაერის მასების შემოჭრა. კავკასიის რთული ოროგრაფიის გავლენით ამ თხემის მოძრაობა ყოვნდება და რაღაც დროის განმავლობაში ჩერდება კიდევ. სწორედ ამ თხემში ხდება ანტიციკლონებები. მსგავს პროცესებს აქვს ადგილი აღმოსავლეთიდან შემოჭრის დროსაც.


ზაფხულში იზრდება აზორის მაქსიმუმისა და მისი აღმოსავლეთ განშტოების გავლენა საქართველოს ატმოსფერულ პროცესებზე, რაც ზრდის მოქმედების განმეორადობას დასავლეთიდან. ატმოსფერული წნევის ივლისის რუკაზე (ნახ. 1.2.2) აწევლი წნევა დაიკვირვება სანაპირო რაიონებში (1011-1012 ჰპა), ხოლო შედარებით დაბალი – მის აღმოსავლეთით (გოდერძის უღელტეხილი – 1009 ჰპა).

ჰაერის წნევა სადგურის სიმაღლეზე. ჰარის წნევის განაწილება დედამიწის ზედაპირზე დამოკიდებულია ადგილის სიმაღლეზე და რელიეფზე. წნევის შემცირება სიმაღლის მატებასთან ერთად უცილობელია ადგილის რელიეფის ნებისმიერი ფორმისა და ნებისმიერი ექსპოზიციის დროს. ახდენენ რა გავლენას ტემპერატურისა და სინოტივის რეგიმზე, ამ ფაქტორებს შეუძლიათ მხოლოდ რამდენადმე შეცვალონ ჰაერის წნევის რიცხობრივი მაჩვენებლების დაცემა სიმაღლესთან ერთად და შექმნას წნევის განსხვავება ერთიდაიმავე სიმაღლეზე მთის სისტემის სხვადასხვა ნაწილში. მაგალითად, ცივი ჰაერის დაგროვებამ ქვაბულებში, როგორც ჯერ კიდევ ა. ი. ვოეიკოვი აღნიშნავდა, შეიძლება შექმნას იქ გაცილებით დიდი წნევა, კიდრე იმავე სიმაღლეზე ფერდობებზე.

ჰაერის საშუალო წლიური წნევა აჭარის ტერიტორიაზე ცვალებადობს 798-1016 ჰპა-ს ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობები აღინიშნება სანაპირო რაიონებში, ხოლო უმცირესი – მაღალმთიან რაიონებში.

წნევის წლიურ მსვლელობაში ზოგიერთი თავისებურებანი განპირობებულია ადგილის სიმაღლით ზღვის დონიდან. 1100 მეტრამდე წნევის მინიმუმი აღინიშნება ივლისში. სიმაღლის ზრდასთან ერთად მინიმუმი ინაცვლებს და 1500 მეტრზე მაღლა აღინიშნება თებერვალ-მარტში. წნევის მაქსიმუმი 1000 მეტრამდე მოდის დეკემბერზე. ადგი-

ლის სიმაღლის ზრდასთან ერთად 2100-2200 მეტრამდე მაქსიმუმი ინაცვლებს ოქტომბერზე (ნახ. 1.2.3).



ნახ. 1.2.3. პაერის საშუალო წნევის წლიური სელა: 1-ბათუმი; 2-ჩაქვი; 3-ქედა; 4-ტულო; 5-კოდერძის უდელტეხილი.

პაერის წნევის საშუალო თვიურ მნიშვნელობათა მატება თვიდან თვეზე არათანაბრად ხდება. უფრო მნიშვნელოვანი მატება პაერის საშუალო თვიური წნევისა ხდება ზღვის დონიდან 1500 მეტრ სიმაღლეზე და ადგილი აქვს აგვისტოდან სექტემბერზე და სექტემბრიდან ოქტომბერზე გადასვლის დროს.

ადგილის სიმაღლის ზრდასთან ერთად წნევის დაცემა ხდება ძირითადად ნოემბრიდან დეკემბერზე და დეკემბრიდან იანვარზე გადასვლის დროს, ხოლო მაღალმთიან ზონაში (2000 მეტრზე მაღლა) – ოქტომბრიდან ნოემბერზე.

ზამთრის პერიოდში წნევა უფრო ცვალებადია ვიდრე ზაფხულში. ეს განპირობებულია ზაფხულის თერმული რეჟიმის დიდი მდგრადობით.

ცხრილში 1.2.1 მოცემულია პაერის წნევის უდიდესი და უმცირესი საშუალო თვიური მნიშვნელობები. მათი წლიური სელა ტიპიურია კონტინენტური კლიმატისათვის მაქსიმუმით ჩვეულებრივ დეკემბერში (იშვიათად იანვარში) და მინიმუმით ივლის-აგვისტოში. ასეთი კანონზომიერება დამასასიათებელია 1000-1100 მეტრამდე სიმაღლეებისათვის. ადგილის სიმაღლის ზრდასთან ერთად პაერის წნევის უდიდესი საშუალო თვიური მაჩვენებლები ინაცვლებენ დეკემბრიდან უფრო

ადრეულ თვეებზე და გოდერძის უდალტეხილზე აღინიშნება უპვე თქმულბერში, ხოლო საშუალო თვიური მინიმალური მნიშვნელობანი - იანვარში.

ცხრილი 1.2.1. პარის წევის უდიდესი და უმცირესი საშუალო თვიური მნიშვნელობანი (პა) სადგურის სიმაღლეზე ზღვის დონიდან

მეტეოსადგური		თ	კ	ე	
ჩაქვი	მაქსიმ მინიმ სხვაობა	1020.9 1010.4 10.5	1015.6 1008.0 7.6	1008.9 1004.5 4.4	1015.4 1011.4 4.0
	ბათუმი შუქურა	მაქსიმ მინიმ სხვაობა	1026.0 1013.0 13.0	1020.2 1011.0 9.2	1014.1 1008.7 5.4
	ქედა	მაქსიმ მინიმ სხვაობა	992.3 985.5 6.8	990.5 984.3 6.2	983.9 980.3 3.6
ხულო	მაქსიმ მინიმ სხვაობა	914.8 905.4 9.4	912.7 905.8 6.9	909.0 905.3 3.7	915.7 909.9 5.8
	გოდერძის ულტრაზე.	მაქსიმ მინიმ სხვაობა	799.2 787.0 12.2	798.5 791.0 7.5	798.8 796.6 2.2
					806.6 794.0 12.6

თუ პარის წევის მაქსიმალური განსხვავება უდიდეს და უმცირეს საშუალო თვიურ მნიშვნელობათა შორის არ აჭარბებს 13 პა-ს, მაქ-სიმუმის და მინიმუმის აბსოლუტურ მნიშვნელობათა შორის სხვაობამ შეიძლება 60 პა-ს მიაღწიოს.

პარის წევა დღიდან დღემდე შეიძლება მკეთრად იცვლებოდეს, განსაკუთრებით ზღვისპირა ზონაში. აქ წევის 9 პა-ზე მეტი დღე-დამური ცვალებადობის განმეორადობა იანვარში შეიძლება შეაღებების 9-13%-ს, აპრილში რამდენადმე ნაკლებს და ივლისში მხოლოდ 0.3-1.3%-ს.

განსახილველ ტერიტორიაზე წევის დღე-დამური მსვლელობაში შეინიშნება ორი მაქსიმუმი და ორი მინიმუმი, რომელთა დადგომის დრო ცვალებადობს ადგილის სიმაღლეზე დამოკიდებულებით.

ზღვისპირა და დაბლობ რაიონებში, აგრეთვე მთის ფერდებზე, წევის პირველი მაქსიმუმი (ძირითადი) აღინიშნება დილით 8 და 10 საათს შორის. მეორე – საღამოს, დაახლოებით 22 და 23 საათს შორის. პირველი მინიმუმი (უცრო სუსტი) დაიკვირვება დამით, დაახლოებით 4-5 საათზე, ხოლო მეორე (ძირითადი) – დღისით, დაახლოებით 15-დან 18 საათამდე. ამასთან, ზაფხულის თვეებში ეს ხდება 17-18 საათზე, ხოლო ზამთრის თვეებში – 15-18 საათებში. დღე-დამური ამ-პლიტურა წელიწადში შეადგენს 0.5-1.0 პა-ს.

1.3. ატმოსფეროს ცირკულაცია

აჭარის კლიმატი ძირითადად განპირობებულია ატმოსფეროს ცირკულაციის ფორმათა ნაირსახეობით, მათი ინტენსიურობით, მონაცვლეობით და ხანგრძლივობით. დღეისათვის ცნობილია ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არსებული, მიმდინარე და გავრცელებული ატმოსფერული პროცესების სხვადასხვა კლასიფიკაცია.

გაიგინებულის, ენაფეტგარიმის და კაპინაშვილის თანახმად [1], ატმოსფერული ცირკულაციის მრავალფეროვნება ამიერკავკასიაში შეიძლება დაყვანილი იყოს ოთხ ძირითად ტიპზე: დასავლეთის, აღმოსავლეთის, ანტიციკლონური მდგომარეობა და ტალღური აღრევა სამხრეთიდან გადმონაცვლებულ ფრონტზე.

ენაფეტგარიძემ [2, 3] მიწისპირზე სინოპტიკური რეკების შესწავლის საფუძველზე, ატმოსფერული პროცესები ამიერკავკასიაში დაყოროვად. პირველს მიაკუთვნა შუა აზიის ციკლონების გავლენა, აზორისა და აზიის მაქსიმუმები, სამხრეთიდან ტალღური მოქმედება და ანტიციკლონური მდგომარეობა. მეორე ჯგუფში გააქრთიანა შემოჭრა დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან, ფრონტალური და შიდა შასიური პროცესები.

მ.ზახაშვილმა [4,5] დეტალურად შეისწავლა ამიერკავკასიის სამხრეთი ტერიტორიიდან გადმონაცვლებული ციკლონების ძირითადი ტიპები, მათი ტრაექტორიები და ამინდი ამ დროს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

კაპინაშვილი [6] იკვლევდა ევრაზიის ტერიტორიაზე მაკროცირკულაციური პროცესების თავისებურებას და მათ კავშირს ამიერკავკასიაში ამინდის პირობებთან. ავტორმა გამოყო მაკროცირკულაციური პროცესების 7 ძირითადი ტიპი, რომლებსაც წარმატებით იყენებდა სეზონური პროგნოზების შესადგენად ამიერკავკასიაში და კერძოდ დასავლეთ საქართველოში.

თ.ხარჩილაგამ [7] ამიერკავკასიაში და დაღესტანში თვის პროგნოზების შესადგენად შემოგვთავაზა 8 ძირითადი ტიპის გამოყენება. ამათგან, პირველი ტიპის პროცესები ხასიათდება საქართველოში ექსტრემალურად თბილი ამინდით და ნალექებით ნორმასთან ახლოს. ამ ტიპის პროცესები ძირითადად გვხვდება წლის ციკ პერიოდში. მეორე ტიპის პროცესები უპირატესად გვხვდება წლის თბილ პერიოდში და პრაქტიკულად ხასიათდება ანალოგიური ამინდით. მესამე ტიპის პროცესები გვხვდება უმეტესად წლის ციკ პერიოდში და დასავლეთ საქართველოსათვის ხასიათდება ექსტრემალურად თბილი ამინდით. ანალოგიური პროგნოზებული მითოთებები შეიძლება მოვიყენოთ დასავლეთ საქართველოსათვის სხვა ტიპებისათვისაც. აგტორმა დეტალურად შეისწავლა სიცივისა და სითბოს ტალღების ჩამოყალიბების სინოპტიკური პირობები, მათი გავრცელების თავისებურებები და ამინ-

დი ამ დროს ამიერკავკასიის სხვადასხვა რეგიონისათვის, მათ შორის დასავლეთ საქართველოსათვისაც.

პგოგიშვილმა [8, 9] შეისწავლა კლიმატის გენეზისის ცირკულაციური ფაქტორები საქართველოსათვის. ავტორის აზრით, ძირითადი ბარიული წარმონაქმნების გადანაცვლების მიმართულებისა და კერძოდ, საქართველოში არსებული ცირკულაციური პროცესების ნაირულოვნება შეიძლება დაყვანილი იყოს შემდეგ ძირითად ტიპებზე:

1. ზონალური ზემოქმედება
 - დასავლეთის მდგენელით (W);
 - აღმოსავლეთის მდგენელით (E).
2. მერიდიანული ზემოქმედება
 - ჩრდილოეთის მდგენელით (N);
 - სამხრეთის მდგენელით (S).
3. ანტიციკლონური მდგომარეობა.

საკვლევ ტერიტორიაზე ამინდის პირობების მიხედვით ავტორმა გამოყო ფრონტალური და შიდამასიური პროცესები. ზონალურ ტიპში გაერთიანებულია პროცესები, რომლებიც გადაინაცვლებს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ (W) ან აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ (E). ამათგან პირველი დაკავშირებულია აზორის ანტიციკლონის ან მისი აღმოსავლეთის თხემის გავლენასთან, ხოლო მეორე განპირობებულია აზის (ციმბირის) ანტიციკლონით ან მისი სამხრეთდასავლეთის თხემით. მერიდიონალურ ზემოქმედებად მიჩნეულია პროცესები, რომლებიც გამოწვეულია ჩრდილო-დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან ან ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოჭრით, აგრეთვე პროცესები, რომლებიც დამოკიდებულია ხმელთაშუა ზღვის ციკლონისა ან სამხრეთიდან ფრონტალური აღრევების გავლენით ამიერკავკასიაში (S).

ცხრილი 13.1.საშუალო დღეთა რიცხვი დასავლეთ საქართველოში ცირკულაციის ტიპების მიხედვით

ცირკულაცია	თ ვ კ ე				წელი	
	I	IV	VII	X		
ზონალური ზემოქმედება	W	1	4	9	4	56
	E	7	2	0	0	20
მერიდიანული ზემოქმედება	N	3	5	4	6	56
	S	11	11	9	10	113
ანტიციკლონური ზემოქმედება		9	9	8	10	120

ყოველი ზემოაღნიშნული ტიპი ხასიათდება ამინდის გარკვეული პირობებით საქართველოში და კერძოდ აჭარაში. ფრონტალური ამინდი შეიძლება გაგარჩიოთ იმის მიხედვით, უახლოვდება ფრონტი აჭ-

არას თუ უკვე გადაინაცვლებს მის ტერიტორიაზე. ანტიციკლონური მდგომარება ხასიათდება ამინდის ერთნაირი პირობებით იმის მიუხედავად, ანტიციკლონი გადმონაცვლებულია მეზობელი ტერიტორიიდან თუ ადგილობრივი წარმოქმნისაა. შიდამასიურს შეიძლება მივაკუთვნოთ ამინდის ისეთი პირობები, როდესაც საკვლევ ტერიტორიაზე ფრონტის გავლა არ აღინიშნება. ცირკულაციის აღნიშნული ტიპები ხასიათდება გარკვეული მაღლივი ბაროული გელის კონცენტრაციით და იმის მიხედვით, თუ საიდან აქვს ადგილი გადმონაცვლებას, აჭარაში იწვევენ განსხვავებულ ამინდს. თვალსაჩინოებისათვის მოგვჟავს დასავლეთ საქართველოში ცირკულაციის ტიპების საშუალო წლიური განმეორადობები თვეების მიხედვით (ცხრილი 1.3.1) [9].

აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის გავლენა იცვლება სეზონების მიხედვით. თვეების მიხედვით იცვლება ფრონტალური და შიდამასიური პროცესების მონაცვლეობა დასავლეთ საქართველოში. (ცხრილი 1.3.2).

ცხრილი 1.3.2. დღეთა საშუალო რიცხვი დასავლეთ საქართველოში ფრონტალური და შიდამასიური ამინდით

ამინდის ხასიათი	თ ვ ე				წელი
	I	IV	VII	X	
ფრონტალური	12	16	8	8	132
შიდამასიური	19	14	23	23	234

თვეების მიხედვით ამინდის ცვალებადობის ძირითადი თავისებურებები საქართველოს სხვადასხვა რეგიონისათვის დეტალურად აქვთ შესწავლილი შ. ჯავახიშვილს [10] და რ. სამუკაშვილს [11]. ამჯერად საქართველოსად მიგვაჩინა შეგრძელდეთ აჭარაში ამინდის დამახასიერებელი ელემენტების ცვალებადობის ზოგიერთი ძირითადი ასპექტების განხილვით სეზონების მიხედვით.

ზამთარში აჭარაში ამინდის ფორმირებას ცირკულაციური ფაქტორების გარდა განსაზღვრავს თბილი შავი ზღვის სიახლოევე და სამხრეთ კავკასიონის მთიანეთის სისტემის დასავლეთი ნაწილი. კავკასიონის მთავარი ქედი, ძირითადად, გამორიცხავს პაერის ციფრი მასების შემთხვევას ჩრდილოეთდან. იმ იშვიათ შემთხვევაში, როცა პაერის ციფრი მასები დასავლეთიდან შემოუვლის მთავარ კავკასიონს, აჭარაში მოხვედრამდე იგი ტრანსფორმაციას განიცდის, თბება და ტენიანი ხდება შავი ზღვის გავლენით. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ თბილი ზღვისა და მთების ასეთი სიახლოევე წლის ყველა სეზონში განაპირობებს ნალექიან დღეთა სიუხვეს, ნალექების ინტენსივობის და ხანგრძლივობის ზრდას, სინოტივის მომატებულ ფონს, ტემპერატურის კონტრასტის შემცირებას, ზღვისა და სმელეთის ბრიზების გააქტიურებას, მთა-ბარის ქარების გაძლიერებას და ა.შ.

რადგან ზამთარში პაერის ცივი მასების შემოჭრა იშვიათია და ხანძოკლე, პაერის საშუალო თვიური ტემპერატურა იშვიათად ეცემა ნულს ქვევით, ხშირია ზამთრის წაყინვები, ნალექები შეიძლება მოვიდეს სველი თოვლის სახით, თუმცა მდგრადი თოვლის საფარი, განსაკუთრებით აჭარის დაბლობ რაიონებში, პრაქტიკულად არ გვხვდება. პაერის მასების სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან შემოჭრის შემთხვევაში უმეტესად გახვდება მოღრუბლეული და ნალექიანი დაფარები. ანტიციკლონური მდგომარეობის დროს შეიძლება დამკვიდრდეს თბილი უნალექო ამინდი, თუმცა ასეთი დღეების ხანგრძლივობა ზამთარში არ აღმატება 25-30%-ს. მოწმენდილი დღეების ალბათობა მკეთრად ეცემა ზღვის ღონიდან აღილის სიმაღლის ზრდასთან ერთად. უკვე 1500 მ და ზევით მდგრადი თოვლის საფარი და ყინვიანი დღეები ჩვეულებრივი მოვლენაა.

გაზაფხულზე პაერის ტემპერატურა თანდათან იზრდება, საშუალოდ თვეში 3-4⁰. ეს განაპირობებს მცენარეული საფარის სწრაფ ზრდას. ამ დროს საშიშია პაერის ტემპერატურის თუნდაც ეპიზოდური დაწევა 0⁰ ქვევით დადგითი საშუალო დღიური ტემპერატურის ფონზე (წაყინვები). განსაკუთრებით საშიშია ადვექციური პაერის ცივი მასების შემდგომი რადიაციული გადაციება, რასაც ხელს უწყობს უღრუბლო და უქარო ამინდი. ზამთართან შედარებით აქ უფრო ხშირია ანტიციკლონური ტიპი ცირკულაციისა, რაც ხელს უწყობს უღრუბლო დღეების შედარებით სიუცხვეს. იმ შემთხვევაში, თუ მოწმენდილ ამინდს თან დაემთხვა აღმოსავლეთის ქარების გაძლიერება, მაშინ აღგილი აქვს პაერის სინოტივის საგრძნობ დაცემას.

ზაფხულში პაერის ტემპერატურა აღწევს მაქსიმუმს, ამავე დროს საგრძნობლად იზრდება პაერის ფარდობითი სინოტივე, რაც ტიპიურია ნოტიოტროპიული ტიპის ამინდისათვის. მოწმენდილი დღეების რიცხვი მცირდება. იზდრება ამინდის კონტრასტულობა, მატულობს დამის ხალექების სიხშირე და ინტენსივობა და ა.შ. აქვე უნდა ადინიშნოს, რომ ფარდობითი სინოტივე მკვეთრად მცირდება აღგილის სიმაღლის ზრდასთან ერთად.

შემოღომის დასაწყისში აჭარაში ხშირად შეინიშნება თბილი, მოწმენდილი, უქარო ამინდი; მშვიდი ზღვა იდეალურ პირობებს ქმნის დასასვენებლად. თვიდან თვემდე პაერის საშ. თვიური ტემპერატურა ეცემა 3-4⁰-ით და ნოემბერში უკვე აღგილი აქვს პირველ წაყინვებს, ნალექების და ღრუბლიანობის საგრძნობ ზრდას. უცრო დეტალურად აჭარის (ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონების) კლიმატის და მიკროკლიმატის დახასიათება მოცემულია მ.კორძახიას ცნობილ მონიგრაფიაში [12] და მეტოდურებრივის მიხედვით ამ ნაშრომში.

14. რელიეფი

აჭარის პავის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რელიეფი. ო. დროზდოვის თანახმად, კლიმატის ფორმირებაში რელიეფის სამი ფაქტორი მონაწილეობს: ადგილის სიმაღლე, ქედების განვენილობა და რელიეფის ფორმა. პირველი ორი ფაქტორი განსაზღვრავს ვერტიკალურ კლიმატურ ზონალობას, ამიტომაც ძირითადი ჟურალება ყოველთვის მათ გავლენას ეთმობოდა.

ნახ. 14.1-ზე წარმოდგენილია პაერის ტემპერატურის სიმაღლის მიხედვით ცვლილების გრაფიკები შავი ზღვის სანაპიროზე და მდინარე აჭარისწყლის ხეობაში წელიწადის ცენტრალური თვეებისა და საშუალოდ წელიწადისათვის.

როგორც ნახ. 14.1-დან ჩანს, წერტილები საქმაოდ მნიშვნელოვნად არიან გაბნეულნი საერთო კანონზომიერებიდან. ყველაზე მჭიდრო კავშირი დამახასიათებელია ივლისისათვის, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვნი გაბნევა – წლის ციკი პერიოდისათვის (იანვარი, ოქტომბერი). ეს განპირობებულია რელიეფის არაერთგვაროვანი მოქმედებით პაერის ტემპერატურაზე, რაზეც დიდ გავლენას ახდენს რელიეფის ფორმა. ყოველ შემთხვევაში ტემპერატურის ცვლილება სიმაღლის მიხედვით მარტივი წრფივი ფუნქციით ვერ აღიწერება. მიზანშეწონილია გამოვიყენოთ კვადრატული ფუნქცია:

$$T = aH^2 + bH + c, \quad (14.1)$$


სადაც, T – პაერის ტემპერატურა, – ადგილის სიმაღლე მეტრით, ხოლო a , b და c – რეგრესიის კოეფიციენტებია, რომლებიც წარმოდგენილია ცხრილ 14.1-ში:

ცხრილი 14.1. რეგრესიის კოეფიციენტები

კოეფიციენტი	თ ვ ე				წელი
	იანვარი	აპრილი	ივლისი	ოქტომბერი	
$a*10^{-5}$	0.24	-0.56	0.50	0.40	0.40
$b*10^{-2}$	-0.82	0.36	-0.95	-0.90	-0.80
c	6.5	11.5	23.0	17.0	14.5

ნახ. 14.2-დან გამომდინარეობს, რომ აპრილში სიმაღლის ზრდით ტემპერატურა თავდაპირველად იზრდება და შემდეგ იწყებს კლებას, ე. ი. ადგილი აქვს ინვერსიას. მისი სიმაღლე დაახლოებით 300 მეტრია. ინვერსიის მოვლენა კლიმატურ მონაცემებში კოლხეთის ბარში შემჩნეული იყო ჯერ კიდევ 1978 წელს [13]. მისი საშუალო სიმაღლე შეფასებული იყო 100 მეტრით. ეს მოვლენა განპირობებულია ზღვის ზედაპირზე ჩამოყალიბებული თბილი პაერის მასების ადვექციით. ამ დროს თბილი ნაკადის ქვედა ფენები სითბოს ნაწილს გადასცემენ ქვეფანილ ზედაპირს და უფრო მეტად ცივდებიან, ვიდრე ზედა ფენები. იმავე ნაშრომის თანახმად, ინვერსიის საშუალო სიდიდე შეად-

გენს 0.2-0.3⁰-ს. ჩვენი შეფასებით, აჭარაში ინვერსიის სიდიდე 10^0 -მდე აღწევს, რაც უფრო დაზუსტებულად მიგვაჩინია.



5.6. 1.4.1. სერიას მიწაზე გამოყენებული სინიმატიკური მიზანის სამართველოს მდინარეთა ხეობებში [14].
1-აღწევა; 2-აღწევა; 3-აღწევა; 4-აღწევა; 5-აღწევა.

კვადრატული ფუნქცია გამოყენებული იყო ატმოსფერული ნალექების აღსაწერად საქართველოს მდინარეთა ხეობებში [14]:

$$M = 0.00088 H^2 - 2.12 H + 2380, \quad (1.4.2)$$

სადაც M - ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამია.


(1.4.2) ფუნქციის გამოკვლევამ აჩვენა, რომ ნალექების მინიმალური რაოდენობა მოდის დაახლოებით 1200 მ სიმაღლეზე და შეადგენს 1200 მმ-ს [14].

ნახ. 1.4.2-ზე წარმოდგენილია პაერის ტემპერატურის სივრცით-დროითი ჭრილი, რომელიც აგებულია აჭარაში განლაგებული მეტ-ოროლოგიური სადგურების დაკვირვებათა

მონაცემებით. ჭრილი გამოხატავს პაერის ტემპერატურის წლიური სვლის ცვლილებას სიმაღლის მიხედვით. მასზე საკმაოდ კარგად ჩანს გაზაფხულის და შემოდგომის ინვერსიის ფენები, აგრეთვე ზამთრის ტემპერატურების განაწილების რთული ხასიათი ზღვის დონიდან 300-400 მ სიმაღლეზე.

წარმოდგენილი ჭრილის საშუალებით შეგვიძლია შევაფასოთ პაერის საშუალო წლიური ტემპერატურა, ან მისი ვერტიკალური და დროითი გრადიენტი ნებისმიერი სიმაღლეებისათვის; შევაფასოთ ნე-

ბისმიერი სიმაღლითი სარტყლის და სეზონის ტემპერატურული პირობები.



ნახ. 1.4.2. ჰაერის ტემპერატურის სივრცის-დროითი ჭრილი $^{\circ}\text{C}$.

1.5. შავი ზღვა

შავი ზღვის აკვატორიის ბათუმის სექტორის პავა განისაზღვრება მისი გეოგრაფიული მდებარეობით და ატმოსფეროს ზოგადი ცირკულაციით და ატარებს სუბტროპიკულ ხასიათს. ატმოსფეროს ზოგადი ცირკულაციის პირობები ზღვაზე განისაზღვრება ბარიული ცენტრულის მოქმედების ინტენსივობით და მდებარეობით. ზამთარში, როდესაც აზიის ანტიციკლონი ვრცელდება ვეროპის აღმოსავლეთ ნაწილში, შავ ზღვაზე წარმოიქმნება მდგრადი ძლიერი ქარქბი, რომელთაც მოაქვთ ზომიერი განედების ცივი და მშრალი კონტინენტური პაერი. აზიის ანტიციკლონის შესუსტება იწვევს შავ ზღვაზე ციკლონური მოქმედების გააქტიურებას, რაც განაპირობებს ტემპერატურის გაზრდას და უხევნებს. ზაფხულში შავი ზღვა იმყოფება სუბტროპიკული ანტიციკლონის გავლენის ქვეშ და ყალიბდება წყნარი, უნალექო ამინდები. პოლარული ფრონტის გავლის დროს კი ვთარდება ციკლონები, რომლებიც ხელს უწყობენ ნალექების მოსვლას.

შავი ზღვის კლიმატური პირობების შესახებ ბათუმის სექტორში შეიძლება გიმსჯელოთ ცხრილ 1.5.1 და 1.5.2-ში წარმოდგნილი მონაცემებით.

როგორც ცხრილ 1.5.1-დან ჩანს, მთელი წლის განმავლობაში პაერის და წყლის ტემპერატურები ახლოს არიან ერთმანეთთან და იცვლებიან 8-დან 25° -მდე დიაპაზონში. წლის ცივი პერიოდის განმავლობაში – სექტემბრიდან მარტის ჩათვლით, – წყლის ტემპერატურა საშუალოდ $1-2^{\circ}$ -ით აღემატება პაერის ტემპერატურას, ხოლო წლის თბილი პერიოდის განმავლობაში სხვაობა ნაკლებია. მინიმალური ტემპერატურა აღინიშნება ოქტომბერის შეადგენს

7⁰-ს, ხოლო წყლისათვის – 9⁰-ს. მაქსიმალური ტემპერატურა აღინიშნება აგვისტოში და შეადგენს 25⁰-ს.

ცხრილი 1.5.1. ზავის ზღვის აკვატორიის ბათუმის სექტორის კლიმატური მახასიათებლები [15-18]

მახასიათებლი	თ ვ ე			
	I	IV	VII	X
ჰაერის საშ. ტემპერატურა	8.0	11.3	23.4	18.0
ჰაერის მაქს. ტემპერატურა	2.1	24	29	28
ჰაერის მინიმ.ტემპერატურა	0	4	13	7
წყლის ტემპერატურა 0 ⁰	10	11	24	19
ქარის საშ. სიჩქარე მ/წ	4.6	3.0	3.1	4.0
ქარის მაქს. სიჩქარე მ/წ	17	13	15	19
წყლის დინების სიჩქ. მ/წ	0.4	0.3	0.2	0.3
ტალღის მაქს. სიმაღლე	10	8	8	8
წყლის მარილიანობა 0/00	18	15-17	16-17	17-18

ცხრილი 1.5.2. ზღვის ტალღის სიმაღლის განმეორადობა % [16]

სიმაღლე (მ)	ს ე ზ ო ნ ი			
	ზამთარი	გაზაფხული	ზაფხული	შემოდგომა
< 1	27	45	70	42
1-2	43	40	24	42
2-3	20	12	5	12
3-6	9	3	1	4
>6	1	0	0	0

ცხრილი 1.5.1-ის თანახმად, წყლის დინების საშუალო სიჩქარე მთელი წლის განმავლობაში საშუალოდ 0.4 მ/წ-ზე ნაკლებია. აღინიშნება ტალღის სიმაღლის დაბალი მნიშვნელობების ხშირი განმეორადობა (იხ. ცხრ.1.5.2). კერძოდ, ზაფხულში 1 მ-ზე ნაკლები სიმაღლის ტალღის განმეორადობა შეადგენს 70%-ს, ხოლო 3 მ-ზე მეტი სიმაღლის ტალღები ძალის იშვიათია.

წყლის მარილიანობა წლის განმავლობაში უმნიშვნელოდ იცვლება და შეადგენს 15-18 0/00-ს. უდიდესი მარილიანობა დამახასიათებლია წლის ცივი პერიოდისათვის, ხოლო უმცირესი – წლის თბილი პერიოდისათვის (აპრილი).

მარილიანობა სიღრმის გაზრდით იზრდება და ფსკერთან აღწევს 22.50/00-ს.

შავი ზღვის მნიშვნელოვანი თავისებურება მასში გოგირდწყალბადის დიდი რაოდენობით შემცველობაა. 150 მ სიღრმეზე გოგირდწყალბადის კონცენტრაცია შეადგენს 0.5 სმ/ლ, ხოლო ფსკერზე – 6.8 სმ/ლ-ს.

ჟანგბადის შემცველობა 50 მ სიღრმეზე შეადგენს 5.7 სმ/ლ-ს, 75 მ-ზე – 2.76 სმ/ლ-ს, ხოლო 100 მ სიღრმეზე – 0.91 სმ/ლ-ს. უკვე 175-225 მ სიღრმეზე ჟანგბადი პრაქტიკულად აღარ შეიმჩნევა.

ცხრილ 1.5.3-ში წარმოდგენილია მარილების შემადგენლობა შავი ზღვის წყალში.

ცხრილი 1.5.3. მარილების შემადგენლობა შავ ზღვაში

მარილი	გ/ლ	%
NaCl	26.86	78.33
KCl	0.58	1.69
NCl ₂	3.24	9.44
MgSO ₄	2.2	6.4
CaSO ₄	1.35	3.94
სხვა	0.07	0.2
სულ	34.3	100.0

ზღვისა და ხმელეთის არათანაბარი გათბობა-გაცივების შედეგად წარმოშვება თერმული ქარები – ბრიზები და მთაბარის ქარები. აჭარის პირობებში ბრიზული და მთაბარის ქარები ერთდროულად მოქმედებენ და ერთმანეთს აძლიერებენ. ამის გამო ძალზე ძნელია აქ, განსაკუთრებით მდინარე აჭარისწყლის ხეობაში, თითოეული მათგანის მოქმედების არეალის დაგენა. სწორედ ამიტომ ა. კოტარია [19] გვთავაზობს განვასხვავოთ 2 სახის ბრიზი – კომბინირებული და საკუთრივ სუფთა სახის ბრიზი.

ბრიზული ცირკულაციის განვითარებაზე კარგად გამოიხატება ზღვიდან დაშორებისა და აბსოლუტური სიმაღლის გავლენა. ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ზღვიდან ქარების მიმართულების განმეორადობის აშკარა უპირატესობა ხმლეთის ქარების განმეორადობასთან შედარებით აღინიშნება ზღვის ღონისძან 500 მ სიბაღლეში და მდინარე აჭარისწყლის ხეობაში 40 კმ სიღრმეში. აქ ზღვიური ბრიზების გააქტიურება იწყება აპრილის დასასრულს და მთავრდება აგვისტოს დასასრულს. 700-800 მ სიმაღლეზე ზღვის ბრიზები მხოლოდ შეუძლია აღინიშნება. ამ კრიტიკულ ზღვარს შემდეგ ბრიზების მოქმედება შეუმჩნეველია.

დიტერატურა

1. Гигинеишвили В. М., Напетваридзе Е. А., Папинашвили К. И. Основные типы синоптических процессов и погода в Грузии. Труды ТбилиСИГМИ, вып. 1, 1954.
2. Напетваридзе Е. А. Циркуляционные процессы атмосферы на территории Грузии как фактор её климата. Сообщения АН ГССР, т. VIII, №3, 1947.

3. Напетваридзе Е. А. Циркуляционные факторы климата Грузии. Гидрометеоиздат, Л., 1962.
4. Захашвили М. А. Основные типы “южных” циклонов перемещающихся в сторону Закавказья. Труды ТбилиСИГМИ, вып. 2, 1957.
5. Захашвили М. А. Методические указания к прогнозу выхода “южных” циклонов на территорию Закавказья. М., 1967.
6. Папинашвили К. И. Атмосферные процессы в Закавказье и их связь с макроциркуляционными процессами над Евразией. Гидрометеоиздат, Л., 1963.
7. Харчилава Ф. Т. Методы прогноза средней месячной температуры воздуха, волн холода и тепла и месячных сумм атмосферных осадков в Закавказье и Дагестанской АССР. Гидрометеоиздат, Л., 1970.
8. Гогишвили К. С. циркуляционные факторы климата Западной Грузии. Труды инст. географ. АН ГССР, т. XVIII, Тбилиси, 1963.
9. Гогишвили К. С. Исследование циркуляционных факторов генезиса климата Грузии. “Мецниереба”, Тбилиси, 1974.
10. შ. ჯავახიშვილი. საქართველოს პაგა თვეების მიედვით. თევ, 1981.
11. Самукашвили Р. Д. Исследование климатических характеристик районов Грузии с целью применения их при составлении долгосрочных прогнозов погоды. Заключительный отчёт, фонд ЗакНИГМИ, Тбилиси, 1991.
12. დ. კობახიძე. საქართველოს პაგა. თბილისი, “მეცნიერება”, 1961.
13. Элизбарашивили Э. Ш. Вертикальная зональность климатов Закавказья. Изв. АН СССР, с.географ. №4, 1978.
14. თ. ხელაძე, გ. ელიზარაშვილი. ატმოსფერული ნალექების ვარტიკალური განაწილების მათემატიკური მოდელირებისათვის. საქ. მეცნ. აკადემიის მთამბე, გ. 144, №2, 1991.
15. Гидрометеорологическая карта Чёрного и Азовского морей. ГУНО МО СССР, М., 1987.
16. Локация Чёрного моря. ГУНО МО СССР, М., 1976.
17. Навицкий В. П. Вертикальное строение водной толщи и общие черты циркуляции вод Чёрного моря. Труды Азовск-Черн. НИИ Морск. рыб. хоз-ва и океанографии, вып. 23, 1964.
18. Справочник по климату Чёрного Моря. Моск. отд. Гидрометеоиздата, М., 1971.
19. ა. კობარიძე. ბრიზების ზღვაზე გავრცელების საკითხისათვის. საქ. სსრ გეოგრაფ. საზოგადოების მრომები. გ. 5, 1959.

თავი II. კლიმატის ძირითადი ელემენტების ტერიტორიული განაწილების კანონზომიერებანი

2.1. ჰაერის ტემპერატურა

ჰაერის ტემპერატურის ტერიტორიული განაწილების ძირითადი კანონზომიერებების შესახებ შეიძლება მსჯელობა იზოთერმების რუკებიდან. ასეთი რუკები მთლიანად საქართველოს ტერიტორიისათვის აგებულია რიგი აგზორების მიერ [1-5] და ყველაზე ღეტალური სახით წარმოდგენილია ატლასებში [6,7]. მათი მასშტაბები საკმაოდ წვრილია. საქართველოს კომპლექსურ ატლასში იზოთერმების რუკები აგებულია მასშტაბში 1:2500000, ხოლო საქართველოს კურორტების ატლასში იზოთერმების რუკის მასშტაბი შეაღგენს 1:1000000. ასეთ მასშტაბებში აჭარის ტერიტორიის ტემპერატურული პირობები ძალიან ზოგადი სახით არის წარმოდგენილი და ვერ აკმაყოფილებს რეგიონის განვითარებასთან დაკავშირებულ ამოცანების მოთხოვნილებებს.

ახლახან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ მომზადებულ აჭარის ატლასში იზოთერმების რუკა შედარებით მსხვილ მასშტაბშია მოცემული (1:300000), მაგრამ წარმოდგენილია მხოლოდ საშუალო წლიური ტემპერატურების რუკა, რაც არ იძლევა სრულ წარმოდგენას ცალკეული სეზონის ტემპერატურის შესახებ და საბოლოო ჯამში არ არის საკმარისი აჭარის ტერიტორიაზე ტემპერატურის განაწილების კანონზომიერებების გამოსავლენად.

ამასთან დაკავშირებით აგებული იყო აჭარის ტერიტორიის იზოთერმების რუკები წლის სეზონების ცენტრალური თვეებისა (I,IV,VII,X) და საშუალოდ წლისათვის მასშტაბში 1:350000. ქვემოთ წარმოდგენილია მათი შემცირებული ვარიანტები. (იხ. ნახ. 2.1.1-2.1.5).

დანართი. ყველაზე მაღალი ტემპერატურა საქართველოში აჭარის შავი ზღვის სანაპიროზეა. ბათუმში და მის მახლობლად (შვანე კონცხი, მახინჯაური) ჰაერის ტემპერატურა აღემატება 70°C . სანაპიროს ჩრდილოეთ და სამხრეთ მონაკვეთებზე ტემპერატურა შეაღენს $6-70^{\circ}\text{C}$.

მთისწინა რაიონებში და მდინარე აჭარისწლის ხეობაში ტემპერატურა $2-50^{\circ}\text{C}$. დადგითი ტემპერატურა შენარჩუნებულია დაახლოებით 1000 მ სიმაღლეში, შემდეგ კი ტემპერატურა უარყოფითი ხდება. მესხეთის, შავშეთის და არსიანის ქვედების უმაღლეს სარტყელში ტემპერატურა მინუს 40°C -დე ეცემა.

აპილი. ყველაზე მაღალი ტემპერატურული ფონი საქართველოში აღინიშნება კოლხეთის დაბლობის შიდა რაიონებში, სადაც ტემპერატურა აღემატება 14°C . აჭარის სანაპირო ზოლში,

აფხაზეთის, ალაზნის ვაკის და ქვემო ქართლის ვაკის მსგავსად ტემპერატურა დაახლოებით 12^0 -ია. მთისწინა რაიონებში და აჭარისწყლის ხეობაში ტემპერატურა $10-12^0$ -ია. მდინარე ჩირუხისწყლის ზემო წელში ტემპერატურა ეცემა $6-8^0$ -მდე, ხოლო მესხეთის, შავშეთის და ერუშეთის ქედების მწვერვალებზე 4^0 -ზე ნაკლებია.


ოფისი. ამ დროს აფხაზეთის სანაპირო ზოლი რამდენადმე თბილია აჭარის სანაპირო ზოლთან შედარებით. აფხაზეთში, ისევე როგორც კოლხეთის დაბლობის შიდა რაიონებში და აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობებზე, პაერის საშუალო თვიური ტემპერატურა დაახლოებით 24^0 -ია. აჭარის სანაპიროზე ტემპერატურა მერყეობს $22-23^0$ -ის ფარგლებში, მაქსიმუმით ბათუმის მახლობლად. აჭარისწყლის ხეობაში საგმაოდ თბილა და ტემპერატურა $16-18^0$ -ია, ხოლო მესხეთის, შავშეთის და ერუშეთის ქედებზე 14^0 -მდე ეცემა.

ოქტომბერი. ყველაზე მეტი სითბო შავი ზღვის სანაპიროზეა – აფხაზეთის და აჭარის სანაპიროებზე პაერის საშუალო თვიური ტემპერატურა აღემატება 16^0 -ს. მდინარე აჭარისწლის ხეობის დიდ ნაწილში ტემპერატურა $12-14^0$ -ია, ჩირუხისწყლის ზემო დინებაში – $8-10^0$, ხოლო მესხეთის, შავშეთის და ერუშეთის ქედების მაღალმთიან ზონაში – 6^0 -ია.


საშუალო წლიური ტემპერატურა. აჭარის სანაპირო ზოლში პაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 14^0 -ია. ასეთივე ტემპერატურა აფხაზეთის სანაპირო ზოლში, კოლხეთის დაბლობზე და ალაზნის ველზე. საგმაოდ მაღალი ტემპერატურული ფონია შენარჩუნებული აჭარისწყლის ხეობაში, სადაც ტემპერატურა $12-14^0$ -ის ფარგლებში მერყეობს. სიმაღლის გაზრდით ტემპერატურა კანონზომიერად კლებულობს და მესხეთის, შავშეთის და ერუშეთის ქედების მაღალ სარტყლებში 6^0 -ს შეადგენს.

პაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმის საშუალო აჭარის ტერიტორიის დიდ ნაწილზე, მათ შორის სანაპირო ზოლში, $34-36^0$ -ს შეადგენს. რამდენადმე მეტია მაქსიმუმი აჭარისწყლის ხეობაში ($36-38^0$), ხოლო ნაკლები მთიან და მაღალმთიან ზონაში ($30-34^0$).


აბსოლუტური მინიმუმი უფრო დიდ ფარგლებში იცვლება. ზღვის სანაპირო ზოლში შეადგენს მინუს 4 - მინუს 6^0 -ს, მთისწინა ზონაში – მინუს 6 - მინუს 8^0 -ს, აჭარისწყლის ხეობაში – მინუს 8 - მინუს 12^0 -ს, ხოლო მაღალმთიან ზონაში მინუს 18^0 -მდე ეცემა.




ნახ. 2.1.1. პერიოდის ტემპერატურა ($^{\circ}\text{C}$). იანვარი.




Բան 2.1.2. Անցուի ֆիզիկական պահանջման ընթացքում (օր)՝ մասնաւություն.



ჩარ. 2.1.3. პარიზის ტემპერატურა ($^{\circ}\text{C}$). ივნისი.



ნახ. 2.1.4. პარის ტემპერატურა ($^{\circ}\text{C}$). ოქტომბერი.



න්‍යා. 2.1.5. සාර්සු තුළමුවලාභුරා (0°C). ඩෙලො.

2.2. პაერის ტენიანობა

პაერის ტენიანობა კლიმატის ცვალებად ელემენტთა რიცხვს მიეკუთვნება. ის მგრძნობიარეა პაერის ტემპერატურის, ნალექების და ღრულიანობის ცვლილებისადმი, რაც თავის მხრივ განპირობებულია ქვეფენილი ზედაპირის ხასიათით, რელიეფის ფორმით, ქედების მიმართულებით, ზღვის გავლენით და ადგილის სიმაღლით.

პაერის საშუალო წლიური პარციალური წნევა მაღალია აჭარის სანაპიროზე და საშუალოდ 13.4-13.9 პა-ს ფარგლებში მერყეობს. ეს განპირობებულია უხვი ატმოსფერული ნალექებით, მაღალი ტემპერატურული რელიეფით მთელი წლის განმავლობაში, ქვეფენილი ზედაპირის მოქმედების ხასიათით (უხვი ჭარბად სინესტის შემცველი მცენარეულობა, ხშირი მდინარეთა ქსელი და სხვა). ადგილის სიმაღლის ზრდის და ზღვის ნაპირიდან დაშორებასთან ერთად პაერის პარციალური წნევა კლებულობს და 200 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან 12.3 პა-ს, უფრო ზევით – ხულოში 914 მეტრზე – 9.3 პა-ს შეადგენს (იხ. ცხრილი 2.2.1).

(ცხრილი 2.2.1. წყლის ორთქლის პარციალური წნევა (პა)

სადგური	თ ვ წ ე				წელი
	I	IV	VII	X	
ბათუმი, ქალაქი	7.3	10.6	22.3	14.8	13.9
ქობულეთი	7.2	10.4	22.2	14.2	13.6
მახინჯაური	7.3	10.5	22.0	14.3	13.7
ჩაქვი, აგრო	7.2	10.2	21.8	14.2	13.5
ცეცხლაური	6.9	10.0	21.9	14.1	13.3
მწვანე კონცხი, ზედა	7.2	10.1	21.9	14.1	13.4
ახალშენი	6.3	9.4	21.1	13.5	12.7
ალამბარი	6.2	9.4	20.0	12.9	12.3
ქედა	6.1	9.2	20.1	12.5	12.0
ჭარნალი	5.9	9.0	20.8	13.0	12.3
ხულო	4.5	7.0	16.2	9.4	9.3

პარციალური წნევის წლიური სელა შეესაბამება ტემპერატურის წლიურ სელას. მინიმუმს ადგილი აქვს იანვარში და ზღვისპირაზოდში 7.2 პა-ზე ნაკლები არსად არ არის. მაქსიმუმი აგვისტოშია და ხულოს გარდა 20-22 პა-ს ფარგლებში მერყეობს. მნიშვნელოვანი შემცირება პაერში წყლის ორთქლის წნევას ეტეობა სექტემბერ-ოქტომბერში, თუმცა 12.5 პა-ზე ნაკლები, ხულოს გარდა, არსად არ არის.

წყლის ორთქლის პარციალური წნევის დღე-დამური მერყეობა უმნიშვნელოა. დღე-დამური ამპლიტუდის საშუალო სიღიდე არ აღემატება 1-2 პა-ს. პაერში ორთქლის წნევა დღე-დამის განმავლობაში იზრდება შეადგის საათებში ტემპერატურის მატებასთან ერთად და კლებულობს საღამოს და დამის საათებში. სინოტივის ასეთი დღე-

დამური სვლა – მაქსიმუმით შუადღის საათებში და მინიმუმით და-
მით – ახასიათებს ზღვის ნოტიო კლიმატის ტიპს. დღის საათებში
ზღვის ბრიზები ხელს უწყობენ ტემპერატურის და პარციალური
წნევის მატებას.

ფარდობითი ტენიანობა, რომელიც რიგი მეტეოროლოგიური
ელემენტების კომპლექსური მოქმედების შედეგს წარმოადგენს, აჭა-
რაში მაღალია. მისი საშუალო მრავალწლიური მინიმუნელობა 70-81%-
ს აღწევს. ფარდობითი ტენიანობის მაქსიმუმი ზაფხულშია, ხოლო
მინიმუმი – წლის ციკ პერიოდში. პარის ტემპერატურა განაპირობებს
ფარდობითი ტენიანობის წლიურ სვლას. ამასთან, მასზე გარკვეულ
გავლენას ახდენს ღრუბლიანობა და ნალექები.

ფარდობითი ტენიანობის ასეთი წლიური სვლა ახასიათებს
ზღვის კლიმატს (იხ. ცხრილი 2.2.2).

სანაპირო ზოლში შეფარდებითი სინოტივის მაღალი მნიშვნე-
ლობები განპირობებულია შევის აუზის სიახლოვით და
ბრიზებით. ფარდობითი ტენიანობის ყველაზე მაღალი მნიშვნელობა
ბათუმის სანაპიროზე აღინიშნება და შეადგენს 78-81%-ს, რაც საკ-
მაოდ კარგად თანხვდება ნალექიან დღეთა რიცხვისა და ნალექების
რაოდენობის მაქსიმუმებს. ფარდობითი ტენიანობის წლიურ სვლაში
მინიმუმი აღინიშნება ციკ პერიოდში, გაზაფხულზე ფარდობითი
ტენიანობა ტემპერატურის მატებასთან ერთად იზრდება და მაქსიმუმს
ზაფხულის თვეებში აღწევს (83-84%).

ცხრილი 2.2.2. პარის ფარდობითი ტენიანობა (%)

სადგური	თ ვ ე				წლი
	I	IV	VII	X	
ბათუმი, ქალაქი	76	81	81	86	81
ქობულეთი	80	80	80	84	81
ჩაქვი, აგრო	74	78	80	80	78
ცეცხლაური	76	76	82	82	79
მწვანე კონცხი, ზედა	73	76	82	80	77
ახალშენი	66	73	80	77	74
ალამბარი	64	71	76	70	71
ქედა	78	70	80	81	77
ჭარნალი	66	74	82	74	74
ხულო	69	64	77	70	70

ცალკეულ დღეებში, განსაკუთრებით ზამთარში, ფიონური
ქარის გავლენით ფარდობითი ტენიანობა შეიძლება საგრძნობლად
დაეცეს, მაგალითად 30%-ზე დაბლა, თუმცა ასეთი შემთხვევები
მცირება და ბათუმში წელიწადში საშუალო 2 დღეს შეადგენს,
მაშინ როდესაც დღეთა რიცხვი ფარდობითი ტენიანობით 13 საათზე
80% და მეტი, ბევრად მეტია და 103 დღეს შეადგენს. ამრიგად,

ფარდობითი ტენიანობა რეგიონში დღის საათებში საკმაოდ მაღალია და მისი ცვლილება დიდი არ არის.

ამავე მოსაზრებას ადასტურებს ცხრილში 2.2.3 მოყვანილი მონაცემები სხვადასხვა სადგურებისათვის.

ცხრილი 2.2.3. ფარდობითი ტენიანობის საშუალო დღეთა რიცხვი
($\geq 80\%$ 13 საათზე და $\leq 30\%$ დღის ნებისმიერ მონაცემთში)


საღგური	გრადა- (კიბ)	თ ვ ე კ				წელი
		I	IV	VII	X	
ქობულეთი	$\leq 30\%$	0.4	1.0	0.03	0.1	4.4
	$\geq 80\%$	10.0	11.5	5.2	7.0	99.5
ჩაქვი, აგრო	$\leq 30\%$	2.1	2.2	0.0	0.2	12.4
	$\geq 80\%$	9.6	12.2	8.6	8.5	112.6
მწვანე კონცხი, ზედა	$\leq 30\%$	1.4	2.1	0.0	0.1	10.7
	$\geq 80\%$	11.8	14.1	9.9	10.1	133.8
მახინჯაური	$\leq 30\%$	1.3	1.4	0.0	0.2	8.2
	$\geq 80\%$	9.8	12.8	6.3	7.8	106.6
ხულო	$\leq 30\%$	2.5	9.4	1.6	3.9	49.8
	$\geq 80\%$	11.1	5.4	3.4	7.2	78.7
ბათუმი	$\leq 30\%$	4.7	2.6	0.0	0.2	23.3
	$\geq 80\%$	9.1	11.4	6.3	7.4	102.6
ქედა	$\leq 30\%$	1.3	7.2	0.3	0.3	23.5
	$\geq 80\%$	10.4	3.8	3.7	5.9	71.4

ცხრილის თანახმად, მწვანე კონცხში ფარდობითი ტენიანობა 80% და მეტი 13 საათზე დაიკვირვება საშუალოდ წელიწადში 134-ჯერ, ჩაქვში – 112-ჯერ, ხულოში – 79-ჯერ, ხოლო ქედაში – 71-ჯერ.


ტენიანობის დეფიციტი წარმოდგენას გვაძლევს წყლის ორთქლის იმ რაოდენობაზე, რომელიც საჭიროა აღნიშნულ ტემპერატურაზე პარას სრული გაჯერებისათვის. აჭარაში ტენიანობის დეფიციტის საშუალო წლიური მნიშვნელობა არ არის დიდი და მერყეობს 3.5-5.0 პას-ს ფარგლებში. ტენიანობის დეფიციტის წლიური სვლა ტემპერატურის წლიური სვლის ანალოგიურია. უმცირესი მნიშვნელობები აღინიშნება ზამთარში – იანვარში და უმნიშვნელოდ იცვლება წლის ციგ პერიოდში თვიდან თვემდეგ. დეფიციტის უდიდესი მნიშვნელობა აღინიშნება გაზაფხულსა და ზაფხულში. ზღვის დონიდან 200 მეტრზე და ზევით ტენიანობის დეფიციტის საშუალო თვიური სიდიდის მაქსიმუმი გაზაფხულის ბოლოსას. ეს შეიძლება აისხნას იმით, რომ გაზაფხულის ბოლოს და ზაფხულის დასაწყისში მოსული ნალექების რაოდენობა ნაკლებია ვიდრე სხვა თვეებში. ამის გარდა, ამ თვეებში პარას ტემპერატურა იზრდება უფრო სწრაფად ვიდრე აბსოლუტური სინოტივე.

აჭარაში წლის თბილ პერიოდში პარას ორთქლით გაჯერებამდე საშუალოდ სულ რაღაც 5-7 პას აკლია. ზაფხულშიც კი


ზღვისპირა რაიონებისათვის ჰაერის ორთქლით გაჯერებამდე 13 სა-
ათზე 10 ჰპა-ია საჭიროა, მაშინ როდესაც ეს სიდიდე გარდაბაზი 27
ჰპა-ს ტოლია.



ნახ.2.3.1. ატმოსფერული ნალექები. მ. წელი.



ნახ. 2.3.2. ატლასურული ნალექები. მ. ციფ პერიოდი.



ნახ.2.3.3. ატმოსფერული ნალექები. მმ. თბილი პერიოდი.

2.3. ატმოსფერული ნალექები

ატმოსფერული ნალექების ტერიტორიული განაწილების კანონზომიერებებს ახასიათებს იზოპიეტების რუკა. ასეთი რუკები საქართველოს ტერიტორიისათვის მთლიანად არაერთხელ იყო აგებული [3,6,7,9,10], მაგრამ იზოთერმების რუკების მსგავსად მათი მასშტაბიც იმდენად წვრილია, რომ ვერც კანონზომიერებების გამოვლენაა შესაძლებელი და ორც პრაქტიკული თვალსაზრისით არის მიზანშეწონილი მათი გამოყენება. ახლახან მომზადებულ აჭარის ატლასში მხოლოდ ნალექების წლიური ჯამების რუკაა მოცემული და ისიც საგამაოდ წვრილ მასშტაბში და ძველ მონაცემებზე დაყრდნობით.

ჩვენს მიერ აჭარის ტერიტორიის იზოპიეტების რუკები აგებული იყო ნალექების წლიური ჯამებისათვის, ცივი და თბილი პერიოდის ნალექებისათვის მაშტაბში 1:350000.

მიღებული იზოპიეტების რუკები წარმოდგენილია ნახ.2.3.1-2.3.3. განვიხილოთ ნალექების ტერიტორიული განაწილების ძირითადი კანონზომიერებანი.

ნალექების წლიური ჯამები. ნალექების წლიური ჯამები აჭარის ტერიტორიაზე დიდ ფარგლებში მერყეობს – 1000 მმ-დან 4500 მმ-მდე. ზღვის სანაპირო ზოლში ნალექების რაოდენობა შეადგენს 2400-3000 მმ-ს. ზღვიდან დაშორებასა და სიმაღლის ზრდასთან ერთად ნალექების რაოდენობა იზრდება და მაქსიმუმს - 4000-4500 მმ-ს - აღწევს მესხეთის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე. უმცირესი ნალექები მოღის მდინარე აჭარისწყლის ზემო წელში, სადაც ნალექების წლიური ჯამი კლებულობს 1000 მმ-მდე. მესხეთის, შავშეთის და ერუშეთის ქედების ზედა სარტყელებში ნალექები იზრდება 1800 მმ-დე.

წლის ცივი პერიოდის ნალექები (XI-III). ცივი პერიოდის ნალექების ტერიტორიულ განაწილებაში შენარჩუნებულია ნალექების წლიური ჯამების განაწილების ძირითადი კანონზომიერებანი – მაქსიმუმი მესხეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ კალთებზე და მინიმუმი – აჭარისწყლის ხეობის ზემო წელში. ზღვის სანაპირო ზოლში მოსული ნალექების რაოდენობა შეადგენს 1100-1400 მმ-ს, მესხეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ კალთებზე იზრდება 2000-2500 მმ-მდე, აჭარისწყლის ზემო დინებაში კლებულობს 500 მმ-მდე, ხოლო მესხეთის, შავშეთის და ერუშეთის ქედების უმაღლეს მწვერვალებზე კვლავ იზრდება 900 მმ-დე.

წლის თბილი პერიოდის ნალექები (IV-X). ნალექების ტერიტორიული განაწილების საერთო კანონზომიერება შენარჩუნებულია წლის თბილი პერიოდის ნალექების განაწილებაშიც. შავი ზღვის სანაპირო ზოლში მოსული ნალექების რაოდენობა შეადგენს

1300-1600 მმ-ს, მესხეთის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე იზრდება 2000 მმ-მდე, მდინარე აჭარისწყლის ზემო წელში კლებულობს 500 მმ-მდე, ხოლო მესხეთის, შავშეთის და ერუშეთის ქედების მაღალმთიან ზონაში იზრდება 800 მმ-მდე.

2.4. თოვლის საფარი

აჭარის რელიეფის მრავალგარობა, ატმოსფერული ნალექების სიუხვე, დასავლეთის ტიპის სინოპტიკური პროცესები, ამიერკავკასიის სამხრეთით მდებარე პოლარულ ფრონტებზე ტალღური აღრევები და შავი ზღვის სიახლოვე ხელსაყრელ პირობებს ქმნის თოვლის სიუხვისათვის აჭარის ტერიტორიაზე.

დაკვირვებათა მასალების ანალიზი ცხადყობს, რომ აჭარაში თოვლიანობას ადგილი აქვს მთელ ტერიტორიაზე საფარის ინტენსივობის სხვადასხვა ხარისხით. თოვლის საფარის ფორმირებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ზღვის სანაპიროდან ხმელეთის დაშორებას, ადგილის სიმაღლეს ზღვის დონიდან და ორიენტაციას, თერმულ რეჟიმს და შემოჭრილი ნოტიო ციფრის მასების სიმრავლეს.

ნოტიო ჰაერის მასების ზეასვლას განსაკუთრებით ხელს უწყობს მერიდიონალურად განლაგებული ქედები, რომელთა მეშვეობით ისედაც არამდგრადი ჰაერის მასების ინტენსივობა კიდევ უფრო იზრდება. უხვოვლიანობის ძლიერი კერა იქმნება გოდერძის უდელტეხილსა და მის მიმდებარე რაიონებში, განსაკუთრებით მის დასავლეთ მისადგომებზე. გოდერძის უდელტეხილზე თოვლის საფარის დეკადური უდიდესი სიმაღლეების საშუალო 185 სმ-ის ტოლია, ხოლო მაქსიმალური სიმაღლეა 286 სმ. საფარის ვერტიკალური გრადიენტი 2000-2025მ მაღლივ ზონაში ყოველ 100 მ-ზე 12 სმ-ია, ხოლო არსიანის ქედის საშუალო მთიანეთში – 1000-1500მ ზონაში – 6სმ. გოდერძის უდელტეხილის მისადგომებზე უხვოვლიანობის განსაზღვრული პირობებიდან, გარდა ცირკულაციური პროცესების განსაკუთრებულობისა, დიდი როლი ენიჭება აღგილის თროგრაფიულ და ტოპოგრაფიულ პირობებს, არსიანის ქედის მერიდიანალურ განფენილობას და ორი ურთიერთ პარალელურად მდებარე ჩრდილოეთიდან მესხეთის და სამხრეთიდან შავშეთის ქედების ბუნებრივი ბარიერების არსებობას ნოტიო ჰაერის მასების შეჩერებისათვის.

თოვლის საფარის სიმაღლე აჭარის შუამთიანეთში 100-200 სმ-ის ფარგლებში მერყეობს. ვერტიკალური გრადიენტი 3-10 სმ-ია 100მ სიმაღლეზე. შავშეთის ქედის მერიდიანული განლაგება ასევე ხელს უწყობს მდ. ჭოროხის აუზში 70-100მ სიმაღლეებზე ზღვის დონიდან თოვლიანობის ზრდას.

თოვლიანობის სიუხვით გამოირჩევა აჭარა-გურიის მთათა სისტემის შუამთიანეთი. მთა მტირალაზე 1210მ სიმაღლეზე (ცისკარა) თოვლის საფარის დეპადური უდიდესი სიმაღლების საშუალო 304 სმ-ია. არის წლები, როდესაც საფარს 5 მ-მდე და უფრო მეტი სიდიდისთვის მიუღწევია. თოვლის საფარის მაღალი სიმაღლე შავი ზღვის აკატორიის სიახლოებით და მთა მტირალას დასავლეთი ორიენტაციით არის განპირობებული.

თოვლის საფრის ფორმირება იშვიათია შავი ზღვის მიმდებარე დაბლობ რაიონებში, მაგრამ არის წლები, როდესაც ძლიერი ციკლონური მოქმედების დროს თოვლის საფარის სიმაღლეს 50-66 სმ-ისთვის მიუღწევია. მაგალითად, 1985 წლის 26 თებერვლიდან 10 მარტამდე ბათუმში დაფიქსირებულია 66 სმ სიმაღლის თოვლის საფარი. ასეთი უხევთოვლიანი ანომალური წლების განმეორადობა დაკვირვებათა მრავალწლიურ ჭრილში 1-2%-ს შეადგენს.

ამრიგად, მთელი აჭარის ტერიტორიაზე თოვლის საფარის სიმაღლე ემორჩილება ვერტიკალური ზონალობის კანონს, რომელიც შესაძლებელია დარღვეულ იქნას ცალკეული პუნქტების ადგილმდებარეობის განსაკუთრებულობის გამო (ნახ.2.4.1). ამას ადასტურებს მაღალი ვარიაციის კოეფიციენტები (0.66-0.73).


დროსა და სივრცეში თოვლის საფრის ცვლილება მოცემულია ნახ. 2.4.2-ზე. დახსრილი პუნქტირული წრფე გვიჩვენებს თოვლის საფარის სიმაღლის ზრდას ადგილის სიმაღლის მატებასთან ერთად. მკეთრი გადასვლა საფარის მაღალი სიმაღლეებისაკენ ხდება 1000-1300მ მაღლივ ზონაში. ამ დროს თოვლის სიმაღლე აღმატება 100 სმ-ს.


თოვლის საფარის დეპადური სიმაღლეების შესაძლო რყევადობის ალბათური სიდიდები მოცემულია ნახ. 2.4.3-ზე. ნომრგრამაზე ნაჩვენებია საფარის ექსტრემალური მნიშვნელობანი, რომელთა მაქსიმალური გაბნევა 10%-ს არ აღემატება.

აჭარის ტერიტორიაზე მყარი ნალექების ჯამური ხანგრძლივობა მერყეობს 40-1200 საათის ფარგლებში საშუალოდ წელიწადში. აღნიშნება პირდაპირი დამოკიდებულება თოვასა და ადგილის სიმაღლეს შორის. მაგალითად, ხელოში (923მ) მყარი ნალექები საშუალოდ მოდის 621 სთ, ბაბმაროში (1926მ) – 1164 სთ, ხოლო გოდერმის უდელტებილზე (2025მ) – 1222 სთ.


თოვლის საფარის განენის თარიღი შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე საშუალოდ 10 იანვარია, 550-700მ სიმაღლეებზე ზღვის დონიდან – 10 დეკემბერი, 1400-1500მ მაღლივ ზონაში – ნოემბრის პირველი ნახევარი, 2200მ სიმაღლეზე – ოქტომბრის პირველი ნახევარი, ხოლო მის ზევით – სექტემბრის ბოლო და ოქტომბრის დასაწყისი.

Fig. 2.4.1. መოվաლ საფეხით სატერიტო სისტემის დაგენერაცია
კუნძულების სისტემის განვითარება. მ. ს.






ნახ. 2.4.2. თვეების საფარის საშუალო სიმაღლის დაზოგდებულება
ლინია და ალფილდებარების სიმაღლეების.



ნახ. 2.4.3. თვალის სივრცის დაზღური უფლების სიმაღლის ნიშანები.

აჭარა-გურიის მთათა სისტემა გამოირჩევა თოვლიან დღეთა დიდი რაოდენობით (წელიწადში 150 დღე).

საერთოდ, აჭარის ტერიტორიაზე თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი 2008 სიმაღლეზე 20-30-ია. იგი სიმაღლის მატებასთან ერთად მატულობს და 2500მ-ზე ზღვის დონიდან 225 დღეს შეადგენს (ნახ. 2.4.4).



ნახ. 2.4.4. თოვლის საფარიან დღეთა რიცხვის კაშირი აფილმებარების სიმაღლეთან მდინარეების აჭარისწყლის და სუფსას აუზებში.

მაქსიმალური თოვლდაგროვება აჭარის მთისწინეთსა და საშუალო მთიანეთში მთავრდება თებერვლის პირველ ნახევარში, იგი ადგილ-მდებარეობის აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად ინაცვლებს თებერვლის ბოლოსა და გაზაფხულის დასაწყისზე. თოვლის საფარის დეკადური სიმაღლეების ამპლიტუდა 900-1100მ სიმაღლეებზე 260-270 სმ-ია, ზედა სიმაღლეებზე კი აღემატება 300 სმ-ს.

ტემპერატურული ფონის და მოსული მყარი ნალექის რაოდენობის ცვლილებასთან ერთად მერყეობს მდგრადი თოვლის საფარის დადგომის თარიღები. 900მ სიმაღლეზე (ხულო) მყარი თოვლის საფარის დადგომის მრავალწლიური საშუალო თარიღი 30 დეკემბერია, ხოლო ნაძღვები - 13 ნოემბერი. შუამთიანეთში მდგრადი თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი 170-180-ია. 1500-2000მ სიმაღლეზე მდგრადი საფარი ნოემბრის პირველ დეკადაში მოდის, ხოლო 2500მ-ზე ზევით ნოემბრის დასაწყისში.

თოვლის საფარის ხანგრძლივობის მიხედვით აჭარის ტერიტორიაზე გამოიყოფა ორი ზონა. პირველი ზონა, რომელიც განფენილია 500-550მ სიმაღლიდან ზევით მაღალმთიანეთის ჩათვლით, ხასიათდება მდგრადი თოვლის საფარით. მეორე ზონა მდებარეობს შავი ზღვის სანაპირო რაიონებიდან პირველი ზონის ქვედა საზღვრამდე და ხასიათდება არამდგრადი თოვლის საფარით.

ჰაერის დადგებითი დღე-დამური ტემპერატურების დადგომასთან ერთად იწყება მდგრადი თოვლის საფარის რღვევა და შემდგომი სრული გაქრობა. თოვლდაგროვების შესაბამისად იცვლება მდგრადი თოვლის საფარის რღვევის ვადები. 900მ-ზე და მის დაბალ სიმაღლებზე თოვლის საფარის აღება მარტის მეორე დეკადაში ხდება, 1000-1500მ მაღლივ ზონაში აპრილის პირველ ნახევარში მოდის მდგრადი თოვლის საფარის რღვევა, ხოლო 2000-2200მ სიმაღლებზე – მაისის პირველ ნახევარში.


თოვლის საფარისაგან მთლიანად თავისუფალია შუამთიანეთი აპრილში, ხოლო მაღალმთიანეთი – მაისის ბოლოს.

თერმული რეჟიმი, ციკლონური მოქმედების სიმძაფრე და ადგილმდებარეობის ოროგრაფია განსაზღვრავენ თოვლის საფარის მატების დღე-დამურ მაქსიმუმს. 900-1000მ მაღლივ ზონაში დღე-დამური მაქსიმუმი 180-250 სმ-ს აღწევს (ხულო), მთისწინეთში – 100-130 სმ-ს (ჭარნალი, ჩაქვისთავი), ხოლო მაღალმთიანეთში 2200მ სიმაღლეზე – 250-280 სმ-ს (გოდერმის უღელტეხილი). საფარის დიდი დღე-დამური მაქსიმუმით (4გ) გამოირჩევა მთა მტირალას დასავლეთი ფერდობი 1210მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

2.5. ქართული ქარის მიმართულება

ქარის მიმართულება. საქართველოს განედებზე ჰაერის მასების საერთო გადანაცვლება ხდება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, რასაც ხელს უწყობს ამიერკავკასიის მთებშორისი დეპრესია. მაგრამ, ქვეფენილი ზედაპირის აღრევითი მოქმედება არღვევს ამ გადანაცვლებას ატმოსფეროს ქვედა ფენებში. ხმელეთისა და ზღვის, მთის ქედების, პლატოსა და ხეობების არათანაბარი გათბობა ხელს უწყობს საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფეროს მძლავრი თერმული ცირკულაციის წარმოშობას, რის გამოც იქმნება ქარის საკმარისად რთული რეჟიმი (ნახ. 2.5.1).

ბარიული გელის სეზონური სვლა შავ ზღვაზე (აწეული ზაფხულში და დაწეული ზამთარში) და შებრუნებული მსვლელობა ამიერკავკასიის სამხრეთ მთიანეთზე აპირობებს ქარის მუსონურ ხასიათს აჭარის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მის სანაპირო ზოლში.



ნახ. 2.5.1. ქართა განრიგი: 1-კიბანვირი; 2-ქობულეთი; 3-ჩაქვი;
4-მწვანე კონცხი; 5-ბათუმი; 6-ჭარნალი; 7-კაპანდიბა;
8-ქედა; 9-ხულო.

აჭარის შავი ზღვის სანაპირო იმყოფება ზღვიდან მონაბერი დასავლეთის მიმართულების ნოტიო ქარების გავლენის ქვეშ, რომელიც გაძატონებულია აქ წლის უმეტეს დროს. მხოლოდ ზამთრის თვეებში აღმოსავლეთ მიმართულების ქარების განმეორადობა საგრძნობლად იზრდება და აჭარბებს კიდეც დასავლეთის ქარების გამზეორადობას.

აჭარის სანაპიროზე ზაფხულის რეჟიმი (ქარი ზღვიდან) მყარდება III-IV-დან და გრძელდება VIII-IX-მდე, შემდეგ იცვლება ზამთრის რეჟიმით (ქარი სმელეთიდან), რომელიც გრძელდება III-IV-მდე (ცხრ. 2.5.1).

ცხრილი 2.5.1. ქარის მიმართულების განმეორადობა (%)

სადგური	ქარის მიმართულება	თ ვ ე			
		I	IV	VII	X
ჯიხანჯირი	ზღვიდან	28	47	57	31
	სმელეთიდან	58	33	19	47
ცეცხლაური	ზღვიდან	35	58	73	43
	სმელეთიდან	50	28	10	41
ქობულეთი	ზღვიდან	28	56	57	29
	სმელეთიდან	51	25	19	45
ოჩხამური	ზღვიდან	29	56	60	37
	სმელეთიდან	42	16	6	23
ჩაქვი	ზღვიდან	22	46	38	22
	სმელეთიდან	56	27	45	55
მწვანე კონცხი	ზღვიდან	32	52	51	29
	სმელეთიდან	58	35	38	57
მახინჯაური	ზღვიდან	16	37	34	13
	სმელეთიდან	58	34	39	47
ბათუმი, აეროპორტი	ზღვიდან	18	51	36	2
	სმელეთიდან	73	31	50	63
ჭარნალი	ზღვიდან	30	40	52	34
	სმელეთიდან	54	33	20	45
გაპანდიბა	ზღვიდან	13	41	41	25
	სმელეთიდან	84	51	51	71
ქედა	ზღვიდან	20	52	72	34
	სმელეთიდან	57	31	14	47
ხულო	ზღვიდან	24	43	66	36
	სმელეთიდან				

აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულების ქარი ეშვება რა შავშეთისა და არსიანის ქედების ფერდობებზე, დებულობს ფიონურ ხასიათს, მაგრამ მათი განმეორადობა სანაპიროზე ნაკლებია ვიდრე მდინარე აჭარისწყლის ხეობაში.

აჭარის მთელ სანაპიროზე კარგადაა განვითარებული ბრიზები. ბრიზები დაიკვირვება თითქმის მთელი წლის განმავლობაში (ცხრ.2.5.2), მაგრამ რელიეფის თავისებურების გამო ბრიზებისა და მთა-ხეობების ქარების მიმართულება თანხვდება ერთმანეთს და ქმნის ერთ საერთო ცირკულაციურ პროცესს.

ზღვის ბრიზების გავლენით ზაფხულის თვეებში მაღალი ტემპერატურების და დიდი სინობიერის ფიზიოლოგიური მოქმედება ადამიანზე ძალზე მცირდება და იმ ადგილებში, რომელიც ზღვის ბრიზების უშუალო გავლენის ქვეშაა მოქცეული თითქმის არ

იგრძნობა სიცხისა და ხუთგის შეგრძნება. ამ მხრივ ხელსაყრელი მდგომარეობაა ქობულეთსა და აჭარის სანაპიროს სამხრეთ ნაწილში (ცხრილი 2.5.2).

(ცხრილი 2.5.2.ბრიზების განმეორადობის დღე-დამური სკლა (%)).

ბრიზების მიმართულება	დაკვირვების ვადა (სთ)	თ ვ ე			
		I	IV	VII	X
ქობულეთი					
სანაპიროს	1	59	44	49	52
	13	39	8	1	17
	19	45	11	1	33
ზღვის	1	28	46	28	21
	13	38	72	80	52
	19	40	78	81	41
ჩაქვი					
სანაპიროს	1	67	52	80	75
	13	19	3	5	10
	19	69	29	31	74
ზღვის	1	18	30	12	17
	13	50	82	86	68
	19	21	52	53	15
ბათუმი					
სანაპიროს	1	47	23	33	37
	13	18	2	2	5
	19	40	7	6	30
ზღვის	1	25	43	38	31
	13	35	73	88	57
	19	33	64	79	42


აჭარაში დაიკვირვება მთა-ხეობის ქარები. ისინი მოქმედებენ თითქმის მთელი წლის განმავლობაში. ამასთან, წლის თბილ პერიოდში ხეობის ქარი საღამოთი არ ქრება და მისი განმეორადობა საკმარის დიდია (ცხრილი 2.5.3.).

ქარის სიჩქარე. აჭარის ტერიტორიაზე ქარის საშუალო წლიური სიჩქარე დიდ საზღვრებში ცვალებადობს. სანაპიროსათვის დამახასიათებელია დაბალი სიჩქარეები, ძირითადად 1.1-3.0 მ/წ. ქარის მაღალი სიჩქარეებით გამოირჩევა კახაბერის ბარი და ჭოროხის ხეობის ის ნაწილი, სადაც იგი ფართოვდება და ერწყმის კახაბერის ბარს. აქ საშუალო წლიური სიჩქარე აჭარბეჭა 4 მ/წმ-ს და კაპანდიბასა და ჭარნალში აღწევს 5.3-6 მ/წმ-ს. დიდი სიჩქარეებია აგრეთვე გოდერძის უდელტებილზე – 5 მ/წმ.


ცხრილი 2.5.3.მთა-ხეობის ქარების განმეორადობა (%)

ქარის მიმართულება	საათი	თ ვ ე			
		I	IV	VII	X
პურტიო					
მთის	7	81	71	59	74
	13	47	13	8	21
	21	0	1	3	2
ხეობის	7	8	17	24	2
	13	37	71	86	66
	21	9	21	49	5
ხულო					
მთის	7	73	70	54	75
	13	54	25	5	22
	21	66	33	9	55
ხეობის	7	21	26	41	18
	13	37	67	87	53
	21	29	57	85	35

საშუალო სიჩქარეების წლიურ განაწილებაში აღინიშნება სეზონური სვლა მაქსიმალური მნიშვნელობით ზამთარში და მინიმალურით – ზაფხულში, რაც ნათლად ჩანს საშუალო თვიური სიჩქარეების განაწილების რუკებზე იანვარსა და ივლისში (ნახ.2.5.2-2.5.3). ეს კარგად იკვეთება კახაბერის ბარსა და ჭოროხის ხეობის ქვედა გაფართოებულ ნაწილში, სადაც მაქსიმალური საშუალო თვიური სიდიდეები იანვარსა და ივლისში აღწევს 7.2-7.5 მ/წმ-ს და 2.8-3.6 მ/წმ-ს შესაბამისად.



ნახ. 2.5.2. ქარის საშუალო სიჩქარე. მ/წმ. ანგარი.



ნახ. 2.5.3. ქარის საშუალო სიჩქარე, გ/წ. იცლისა.

ხეობის მიმართულების გამო მაღალი სიჩქარეები აქ დამახასიათებელია სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულების ქარებისათვის, ხრდილოეთით კი, დაწყებული მწვანე კონცხიდან – სამხრეთ-დასავლეთისა და დასავლეთის მიმართულების ქარებისათვის. ცალკეულ შემთხვევებში ქარის სიჩქარე აჭარბებს 15 გ/წ-ს (ძლიერი ქარი). საშუალო წლიურ დღეთა რიცხვი ძლიერი ქარით შეადგენს 16-24-ს, ცალკეულ წლებში კი აღწევს 40-50-ს.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. კორდახია მ. საქართველოს პაგა. თბ., 1961.
2. ჯავახიშვილი შ. საქართველოს სსრ კლიმატოგრაფია. თბ., 1997.
3. Занина А.А. Климат СССР. Вып. 2. Кавказ, Л., Гидрометеоиздат, 1961.
4. Климат и климатические ресурсы Грузии. Под. ред. В.П. Ломинадзе, Г.И. Чиракадзе, Л., 1971.
5. ელიზარაშვილი მ. საქართველოს ტერიტორიის ტემპერატურის ველი. თბ., 1999.
6. Атлас Грузинской ССР. Тбилиси-Москва, ГУГУК, 1964.
7. საქართველოს კურორტები და სატურორტო რესურსები. მოსკოვი, გუბკ, 1989.
8. Справочник по климату СССР. Вып. 14, ч. I-V, Л., 1969-1971.
9. Гогишвили К.С. Исследование циркуляционных факторов генезиса климата Грузии. Тб., 1974.
10. ჯავახიშვილი შ. ატმოსფერული ნალექები საქართველოს ტერიტორიაზე. თბ., 1981.

თაგვ III. კლიმატური რესურსების პოტენციალი

3.1. საკურორტო კლიმატური რესურსები


აჭარის ხელსაყრელი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, მდებარეობა შავი ზღვის სანაპიროზე, ბარის და მთის მრავალფეროვანი ბუნებრივ-ლანდშაფტური პირობები განაპირობებენ მდიდარ საკურორტო რესურსებს. ი.კონიაშვილის სახ. საქართველოს კურორტოლოგის და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტების მიერ რესპუბლიკაში აღრიცხული და გამოვლენილია 6 კურორტი – ბათუმი, ქობულეთი, ციხისძირი, მასინჯაური, მწვანე კონცხი, ბეჭუმი და 30-მდე პერსპექტიული საკურორტო ადგილი [1,2]. ნახ.3.1.1-ზე წარმოდგენილი მათი გეოგრაფიული მდებარეობა, ხოლო ცხრ.3.1-ში – სხვა დამატებითი მასალა.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 33 კურორტი და საკურორტო ადგილიდან მხოლოდ ერთი – ჩახათი ორის ბალნეოლოგიური პროფილის, დანარჩენი კურორტები და საკურორტო ადგილები კლიმატური პროფილისაა. აქვდან, 25 კურორტი და საკურორტო ადგილი წმინდა კლიმატური პროფილისაა, 7 – კლიმატო-ბალნეოლოგიური და ერთი (ბაგაური) – ბალნეო-კლიმატური პროფილისაა. ამდენად, აჭარის რეგიონის საკურორტო რესურსი არის კლიმატი. სწორედ ამიტომ რესპუბლიკის კაონომიკის აღორძინებისათვის აუცილებელია მისი კლიმატური რესურსების საფუძვლიანი შესწავლა კურორტოლოგიური თვალსაზრისით და ეფექტური გამოყენება.

სამწუხაროდ, დღეისათვის არსებული საქართველოს სამედიცინო-კლიმატური დარაიონება [3] ვერ ითვალისწინებს აჭარის რეგიონის თავისებურებებს. მას საფუძვლად უდევს ადგილის სიმაღლე, ანუ ატმოსფერული წნევა, და უანგბადის პარციალური წნევა, კლიმატის ზოგიერთი მნიშვნელოვანი პარამეტრი კი დარაიონებისას მხედველობაში არ მიიღებოდა. საერთოდ არ იყო გათვალისწინებული საკურორტო-კლიმატური რესურსების პოტენციალი, კლიმატის ფორმირების ფაქტორები და სხვა.

აჭარის საკურორტო კლიმატურ დარაიონებას ჩვენ საფუძვლად დავუდევთ შემდეგი ნიშნები:

1. საკურორტო კლიმატური რესურსების პოტენციალი, რომლის ქვეშაც იგულისხმება ზამთრისა და ზაფხულის სითბური რესურსები, მზის ნათების ხანგრძლივობა და მზიან დღეთა რიცხვი, პაერში უანგბადის წონითი შემცველობა და ატმოსფეროს თვითგასუფთავების ანუ აერაციის პირობები;



Бл. 3.1! Свердловская (1) и Челябинская (2) области (3):

1-Красногорский; 2-Красногородский; 3-Белоярский-Красногородский;

4-Каменский-Красногородский.

ცხრილი 3.1.აჭარის კურორტები და საკურორტო ადგილები

№	დასახელება	კურორტი, საკურორტო ადგილი	სიმაღ ლე ზღვის დონიდ ან (მ)	პროფილი
1	ბათუმი	კურორტი	3	კლიმატური
2	ქიბულეთი	კურორტი	3	კლიმატური
3	ციხისძირი	კურორტი	50	კლიმატური
4	მახინჯაური	კურორტი	5	კლიმატო-ბალ.
5	შვანე კონცხი	კურორტი	90	კლიმატური
6	ბეჭუმი	კურორტი	1850	კლიმატური
7	ფიჭვანარი	საკურორტო ადგილი	20	კლიმატური
8	ხუცუბანი	საკურორტო ადგილი	70	კლიმატო-ბალ.
9	ბობოყვათი	საკურორტო ადგილი	70	კლიმატური
10	ჩაქვი-ბუგარი	საკურორტო ადგილი	50	კლიმატური
11	ხემიკეთი	საკურორტო ადგილი	370	კლიმატური
12	კაპრეშუმი	საკურორტო ადგილი	310	კლიმატური
13	ბათუმის მთა	საკურორტო ადგილი	150	კლიმატური
14	ანარია	საკურორტო ადგილი	350	კლიმატური
15	სამება	საკურორტო ადგილი	150	კლიმატური
16	ცისქარა	საკურორტო ადგილი	1200	კლიმატური
17	მახვილაური	საკურორტო ადგილი	250	კლიმატური
18	ჩახათი	საკურორტო ადგილი	750	ბალნეოლოგიური
19	კონტრიში	საკურორტო ადგილი	700	კლიმატური
20	ტყებრგვალი	საკურორტო ადგილი	750	კლიმატური
21	ხინოს მთა	საკურორტო ადგილი	1850	კლიმატური
22	საღორია	საკურორტო ადგილი	800	კლიმატური
23	გარათი	საკურორტო ადგილი	1000	კლიმატური
24	კოკოტაური	საკურორტო ადგილი	680	კლიმატური
25	ნამონასტრევი	საკურორტო ადგილი	850	კლიმატო-ბალ.
26	ბაგაური	საკურორტო ადგილი	970	ბალნეო-კლიმ.
27	ხულო	საკურორტო ადგილი	920	კლიმატური
28	სასად. მთა	საკურორტო ადგილი	1670	კლიმატური
29	შუხევი	საკურორტო ადგილი	650	კლიმატო-ბალ.
30	აჭარის მთა	საკურორტო ადგილი	1750	კლიმატური
31	დანისპარეული	საკურორტო ადგილი	1740	კლიმატო-ბალ.
32	ტომაშეთი	საკურორტო ადგილი	1550	კლიმატო-ბალ.
33	ჯინალი	საკურორტო ადგილი	1850	კლიმატური

- კლიმატის ფორმირების ფაქტორები, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი ცირკულცია და მასთან დაკავშირებული ბრიზების გავრცელების ზონები;
- აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები და კლიმატის ძირითადი ელემენტების განაწილებათა კანონზომიერებანი;

4. საქართველოს არსებული ზოგადკლიმატური და მედიკოკლიმატური [3, 5] დარაიონებები.

ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით აჭარის ტერიტორიაზე გამოიყო 5 საკურორტო - სანაპირო, დაბლობის, მთისწინა, დაბალი მთის და საშუალო მთის და ერთი არასაკურორტო – მაღალი მთის რაიონი (იხ. ნახ. 3.1.2).

ანგინიდოოთ საკურორტო რაიონების ძირითადი ნიშნები:

სანაპირო-საკურორტო რაიონი. მისი სხვა რაიონებისაგან განმასხვავებელი ძირითადი ნიშნებია შემდეგი: იგი უშუალოდ ეკვრის შავ ზღვას და ამიტომაც პაერი შეიცავს ზღვიური წარმოშობის სამკურნალო თვისებების ქიმიურ მიკროელემენტებს. ზაფხული ყველა სხვა რაიონისაგან განსხვავებით იცის ძალიან თბილი. ამიტომ მის საზღვარს ვატარებთ დაახლოებით ზღვის ნაპირიდან 2-7 კმ-ის დაშორებით.


რაიონი ხასიათდება ძალიან რბილი ზამთრით და ძალიან თბილი ზაფხულით. იანგრის საშუალო ტემპერატურა მერყეობს 4-10⁰ჩ-ის ფარგლებში, ხოლო ივლისის საშუალო ტემპერატურა – 22-25⁰ჩ-ის ფარგლებში.

მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა ბათუმიდან ჩრდილოეთით 1900 სთ-ზე ნაკლებია, მზიან დღეთა რიცხვი კი 295 დღეზე ნაკლებია, ხოლო სამხრეთით შესაბამისად შეადგენს 1900-2000 საათს და 300 დღეს.

რაიონი იმყოფება ბრიზების ძლიერი მოქმედების ზონაში. ჟანგბადის წონითი შემცველობა პაერში საშუალოდ აღემატება 280 გ/მ²-ს. პაერის მავნე მინარევებისაგან თვითგასუფთავების მეტეოროლოგიური პირობები ზამთარში დამაკმაყოფილებელია, ხოლო ზაფხულში - რამდენადმე შეზღუდული.

რაიონში განლაგებულია სახელგანთქმული კურორტები: ქობულეთი, ციხისმირი, მწვანე კონცხი, მახინჯაური, ბათუმი, და პერსპექტიული საკურორტო ადგილები – ფიჭვნარი, ხუცუბანი, ბობოვგათი, ჩაქვა-ბუნარი, ბათუმის მთა და სამება.

საკურორტო რაიონის ძირითადი სამკურნალო ფაქტორებია: ზღვა, პაერში არსებული ზღვიური წარმოშობის ქიმიური მიკროელემენტები, რადიაციული ბალანსის მაღალი მნიშვნელობა, პაერში ჟანგბადის მნიშვნელოვანი შემცველობა და გაჭუჭყიანებისგან შედარებით სუფთა პაერი. ასეთი პაგა სასარგებლოა კარდიოლოგიური, ნევროლოგიური, პულმონოლოგიური და ართროლოგიური ავადმყოფების სამკურნალოდ და პროფილაქტიკური მიზნებისათვის.



Гл. 31.2. Схематичная карта горного хребта Кавказского национального парка с надписями:
1-северо-кавказский; 2-ахштырский; 3-ханчалинский; 4-дадаевский морены;
5-ахштырское озеро; 6-ахштырский перевал (Ахштырский перевал).

2.დაბლობის საკურორტო რაიონი. იგი სანაპირო რაიონის აღმოსავლეთით მდებარეობს. მისი აღმოსავლეთი საზღვარი ემთხვევა ბრიზების ძლიერი მოქმედების ზონის საზღვარს, რაც დაახლოებით ზღვის დონიდან 200-500 მეტრ სიმაღლემდე ვრცელდება.

რაიონი ხასიათდება ძალიან რბილი ზამთრით და თბილი ზაფხულით. იანვრის საშუალო თვიური ტემპერატურა მერყეობს 4-10⁰წ-ის ფარგლებში, ხოლო ივლისის – 18-22⁰C-ის ფარგლებში. მზის ნათების ხანგრძლივობა საშუალოდ შეადგენს 1900 საათს, ხოლო მზის დღეთა რიცხვი წელიწადში 290-300-ია. ჟანგბადის წონით შემცველობა პაერში მაღალია და საშუალოდ შეადგენს 270-180 გ/მ³-ს. პაერის აერაციის მეტეოროლოგიური პირობები ანალოგიურია, რაც სანაპირო რაიონში – ზამთარში დამაკმაყოფილებელი, ხოლო ზაფხულში რამდენადმე შეზღუდულია.

რაიონში განლაგებულია პერსპექტიული საკურორტო ადგილი – მახვილაური. საკურორტო რაიონის სამკურნალო ფაქტორები თითქმის იგივეა, რაც სანაპირო საკურორტო რაიონში ზღვის გამოკლებით.

ბრიზული ცირკულაციის ძლიერი მოქმედების გამო, ზღვიური წარმოშობის ქიმიური მიკროელემენტები მრავლად არის გაბნეული პაერში, ამიტომაც რაიონის გამოყენება პერსპექტიულია კარდიოლოგიური, ნევროლოგიური და პულმონოლოგიური ავადმყოფების სამკურნალოდ.

3.მთისწინა საკურორტო რაიონი. რაიონის საზღვარი ემთხვევა ბრიზების აქტიური მოქმედების ზონას და მოიცავს დაახლოებით 200-500 მ. ინტერვალის სიმაღლით სარტყელს.

საკურორტო რაიონი ხასიათდება რბილი ზამთრით და თბილი ზაფხულით. იანვრის საშუალო ტემპერატურა მერყეობს მინუს 3-დან პლუს 4⁰C-მდე ფარგლებში, ხოლო ივლისის ტემპერატურა – 18-22⁰C-ის ფარგლებში. მზის ნათების ხანგრძლივობა შეადგენს 1900-2000 საათს, წელიწადის განმავლობაში აღინიშნება 295-300 მზიანი დღე. ჟანგბადის წონით შემცველობა პაერში საშუალოდ შეადგენს 250-270 გ/მ³-ს. აერაციის პირობები ზამთარში დამაკმაყოფილებელია, ხოლო ზაფხულში შეზღუდულია.

საკურორტო რაიონში განლაგებულია პერსპექტიური ადგილები: სენტრული, კაპრეშუმი და ანარია, რომელთა პავაც შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული, ძირითადად, კარდიოლოგიური და პროფილაქტიკური დონისძიებებისათვის.

4. თბაბალი მთის საკურორტო რაიონი. რაიონის საზღვრები კრცელდება დაახლოებით 500-დან 1000-1200 მ-მდე. ხასიათდება რბილი ზამთრით და თბილი ზაფხულით. იანვრის საშუალო ტემპერატურა -3 +4⁰-ია, ხოლო ივლისის - 18-22⁰C-ია. მზის ნათების ხანგრძლივობა 2000-2100 საათია, მზიან დღეთა რიცხვი წელიწადში 300-305 დღეა. პაერში ჟანგბადის წონით შემცველობა დაახლოებით 250-260 გ/მ³-ია. აერაციის პირობები ზამთარში დამაკმაყოფილებელია, ხოლო ზაფხულში შეზღუდულია.

რაიონი მდიდარია პერსპექტიული საკურორტო ადგილებით. აქ განლაგებულია გარათი, ჩახათი, კინტრიში, ტყემრგვალი, საღორია, კოკორაური, ნამონასტრევი, ბაგაური, ხულო, შუახევი, ციხაკარა. კლიმატური რესურსები ხელს უწყობს რაიონის წარმატებით გამოყენებას კარდიოლოგიური, ნეფროლოგიური და პულმონოლოგიური ავადმყოფების სამკურნალოდ, ხოლო რაიონში არსებული ბალნეოლოგიური რესურსები საშუალებას იძლევა განვითარდეს გასტროენტროლოგიური და ართროლოგიური პროფილის სამედიცინო დაწესებულებები.

5. საშუალო მთის საკურორტო რაიონი. რაიონი სასიათდება რბილი ზამთრით და ზომიერად თბილი ზაფხულით. იანვრის საშუალო ტემპერატურა მინუს 3 პლუს 40°C-ია, ხოლო ივნისის საშუალო ტემპერატურა მერყეობს 14-დან 18°b-მდე ფარგლებში. მზის ნათების ხანგრძლივობა წლის განმავლობაში საშუალოდ 2100 საათია, ხოლო მზიან დღეთა რიცხვი აღემატება 305 დღეს. უანგბადის წონით შემცველობა პაერში 230-250 გ/მ-ია. პაერის გაჭუჭყიანებისაგან თვითგასუფთავების პირობები ზამთარში რამდენადმე შეზღუდულია, ხოლო ზაფხულში ძლიერ შეზღუდულია, მაგრამ პაერის გაჭუჭყიანების წეარებიც რაიონში შეზღუდულია, ამიტომ პაერი მაინც სუფთა.

რაიონში გვხვდება ცნობილი კლიმატური კურორტი ბეჭუმი და პერსპექტიული საკურორტო ადგილები: ხინოს მთა, სასადილოს მთა, აჭარის მთა, ტომაშეთი და ჯინალი. საშუალო მთის საკურორტო რაიონის პავა სასიათდება მაღალი თერაპიული თვისებებით და წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას სასუნთქიო თრგანოების და ნეკროლოგიურ დავადებათა სამკურნალოდ, ხოლო დანისაარგულის და ტომაშეთის ბალნეოლოგიური რესურსები ნაჩვენებია ართროლოგიურ დაავადებათა სამკურნალოდ.

6. მაღალი მთის (არასაკურორტო) რაიონი. განლაგებულია დაახლოებით 2000 მ-ზე მაღლა. რაიონი სასიათდება ზომიერად რბილი ზამთრით და ზომიერად გრილი ზაფხულით. იანვრის თვის საშუალო ტემპერატურა ეცემა მინუს 10°b-მდე, ხოლო ივნისის თვის საშუალო ტემპერატურა იცვლება 14-18°C-ის ფარგლებში. მზის ნათების ხანგრძლივობა აღემატება 2100 საათს, ხოლო მზიან დღეთა რიცხვი – 305 დღეს. უანგბადის წონით შემცველობა 1კუ. მ. პარში 230 გრამ-ზე ნაკლებია. პაერის აერაციის პირობები ზამთარში რამდენადმე შეზღუდულია, ხოლო ზაფხულში ძლიერ შეზღუდულია.

შედარებით ციფი ზამთრისა და პაერში უანგბადის შემცველობის სიმცირის გამო რაიონს კლიმატოთერაპიული მნიშვნელობა არ გააჩნია, თუმცა ის შეზღუდული დროის განმავლობაში შეიძლება იქნას გამოყენებული პროფილაქტიკური მიზნებისათვის. ძირითადად კი რა-

ოონი შეიძლება გამოყენებული იქნას ალპინიზმისა და ტურიზმისათვის.

3.2. აგროკლიმატური რესურსები

აჭარის კლიმატური რესურსები ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, განსაკუთრებით კი სითბოსმოცვარული კულტურების – ჩაის და ციტრუსების მოსაყვანად.

დღეისათვის ცნობილია საქართველოს აგროკლიმატური დარაიონების სხვადასხვა სქემები, რომელთა შორის აღსანიშნავია ა.თევზაძის, შ. ცერცვაძის [6], თ.თურმანიძის [7,8] და გ.მელაძის [9] დარაიონებები. ისინი ამომწურავ ინფორმაციას იძლევიან ქავენის აგროკლიმატური რესურსების თანამედროვე მდგომარეობის და მათი შესაძლო ათვისების შესახებ.

ა. თევზაძის აგროკლიმატური დარაიონების შესაბამისად აჭარა მოქცეულია ორ რაიონში. პირველს მიეკუთვნება შავი ზღვის სანაბირო ნაწილი, სადაც 10° -ზე მეტი აქტიურ ტემპერატურათა ჯამში შეაღებს $4000\text{-}4400^{\circ}\text{-ს}$, ნალექების რაოდენობა სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში $1100\text{-}1700\text{მმ-ია}$, ხოლო პიდროთერმული კოეფიციენტი ტოლია $3.0\text{-}4.2\text{-ის}$. პირველი რაიონისათვის სპეციალიზაციის დარგია მეციტურება და მეჩაიერება, აგრეთვე ხელსაყრელი პირობებია ბრინჯისა და სიმინდის ზრდა-განვითარებისათვის.

მეორე რაიონს მიეკუთვნება დასავლეთ საქართველოს მთისწინეთი. აქ აქტიურ ტემპერატურათა ჯამში კლებულობს $2500\text{-}3800^{\circ}\text{-მდე}$, ნალექები შეადგენს $400\text{-}1000\text{მმ-ს}$, ხოლო პიდროთერმული კოეფიციენტი $1.3\text{-}3.5\text{-ს}$. სპეციალიზაციის ძირითადი დარგი მევენახერება და მეთამბაქერება. კარგად ვთარდება სიმინდი, კარტოფილი, ხორბალი და სხვა. არსებული აგროკლიმატური რესურსები ხელს უწყობს აგრეთვე მესაქონლეობის განვითარებას.

შ. ცერცვაძის მიერ [6] შედგენილი აგროკლიმატური რუკები წარმოდგენას იძლევა აჭარაში სიმინდის, ვაზის, ჩაის, მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის და სხვა სუბტროპიკული კულტურების ზრდა-განვითარების ძირითადი ფაზების დადგომის შესახებ.

ვაზის კულტურის ოპტიმალური განლაგებისა და მელვინეობის სპეციალიზაციის დასაბუთებისათვის ო. თურმანიძემ [7] აჭარის მთისწინა ზონა მიაკუთვნა ზომიერად თბილ და გრილ ზონებს. პირველ მათგანში ყურძნის მტევნის შაქრიანობა შეადგენს $17\text{-}19\%\text{-ს}$, ხოლო მეავიანობა $9\text{-}12\text{ გ/ლ-ს}$. აქ მიზანშეწონილია შამპანური ღვინოების წარმოება. მეორე ზონაში ნაყოფის შაქრიანობა $16\text{-}17\%\text{-ია}$, მეავიანობა 12 გ/ლ-ს . აქ მიზანშეწონილია, ძირითადად, ადრეული ჯიშების გაშენება, საერთოდ კი მევენახეობის განვითარება ეკონომიკურად გაძართლებულია მხოლოდ საგანგებოდ შერჩეულ ცივი ქარგისაგან დაცულ მონაკვეთებზე.

თ. თურმანიძის ხელმძღვანელობით [8] ჩატარებული აგროკლიმატური დარაიონების საფუძველზე აჭარის ტერიტორიაზე გამოყოფილია 5 აგროკლიმატური ზონა. შავი ზღვის სანაპირო ზოლი, სადაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამი აღემატება 4000° -ს, ტემპერატურის საშუალო აბსოლუტური მინიმუმი -3 -14° -ია, ხოლო უკინვო პერიოდის ხანგრძლივობა 280 -310 დღეა, ცხელ ზონას მიეკუთვნება. აღნიშნული ზონა ხელსაყრელია ციტრუსების (ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი), ჩაის, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების მოყვანისათვის, აგრეთვე მევენახეობისათვის, მებოსტნეობისათვის და სხვა. მთისწინეთის ვიწრო ზოლი ზღვის დონიდან 640მ სიმაღლემდე, სადაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3500 -4000° -ია, ტემპერატურის საშუალო აბსოლუტური მინიმუმი -6 -18° , ხოლო უკინვო პერიოდის ხანგრძლივობა 190 -275 დღე, დასავლეთ საქართველოს თბილ ზონას მიეკუთვნება. აგროკლიმატური პირობები ხელსაყრელია მეჩაიერობის, აგრეთვე მევენახეობის, მებადეობის და მემინდერეობის განვითარებისათვის. მესხეთის და შავშეთის ქედების ფერდობები აგრეთვე თბილ ზონას მიეკუთვნება. აქაც წარმატებით იზრდება ჩაი, ვაზი, სუბტროპიკული ხერმა, სიმინდი, კარტოფილი. ზონა მდიდარია ზამთრის სამოვრებით. აჭარის ტერიტორიის მაღალმთიანი ნაწილი (1600 -2100მ) გრილ ზონას მიეკუთვნება. აქ ხელსაყრელი პირობებია მარცვლოვანი კულტურების, აგრეთვე კარტოფილის და კომბოსტოს მოყვანისათვის. მაღალმთიანი ჩადაბლებები, ხეობები და ფერდობები 2100 -2400მ სიმაღლეთა ინტერვალში ცივ აგროკლიმატურ ზონას მიეკუთვნება და ეფექტურად შეიძლება გამოყენებულ იქნას სამოვრებად.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარების აგროკლიმატური პირობების განზოგადოების საფუძველზე გ. მელაძემ [9] დაადგინა ციტრუსების, სუბტროპიკული ხერმის, საშემოდგომო ხორბლის და სიმინდის შესაძლო განთავსების პერსპექტიული რაიონები, ხოლო ლიმონის, ფორთოხლის და მანდარინისათვის გამოყოფილია თოხი მიკროკლიმატური ზონა.

პირველი ზონა უკელაზე თბილია და მოიცავს სამხრეთ-დასავლეთ აჭარის შავი ზღვის სანაპიროს, ჭარნალის, სარფის და გონიოს მიკროკლიმატურ რაიონებს. აქ ყველა პირობაა ციტრუსოვანი კულტურის გავრცელებისათვის. მხოლოდ ცალკეულ წლებში საჭიროა, განსაკუთრებით ლიმონის კულტურის, ყინვებისაგან დაცვა. შედარებით ნაკლებია ფორთოხლის და მანდარინის დაზიანების ალბათობა.

მეორე მიკროკლიმატურ ზონას უკავია ზღვის სანაპირო ზოლი ზღვის დონიდან 200მ სიმაღლემდე. აქ შესაძლებელია ციტრუსების მოყვანის ფართობის გაზრდა ფერდობების, ხეობების და პლატოების ხარჯზე. მოცემულ ზონაში ლიმონის კულტურა საჭიროებს ყინვებისაგან დაცვას.

მესამე ზონაში (ქობულეთის რაიონი) ფორთოხალი და მანდა-რინი დაცვას არ საჭიროებენ და ამავე დროს შესაძლებელია ლიმონის პლანტაციების გაფართოებაც, მაგრამ უნდა იქნას გამოყენებული მისი ყინვებისაგან დაცვის დონისძიებები.

მეოთხე ზონას მიეკუთვნება მთისწინა რაიონები ზღვის დონიდან 200-400მ სიმაღლეებზე. აქ შესაძლებელია მხოლოდ მანდარინის კულტურის განვითარება. რაც შეეხება ჩაის კულტურას, აგროკლიმატური რეგის მიხედვით, აჭარაში მისი საწარმოო გავრცელების ძირითადი მაღიმიტირებელი ფაქტორებია აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 10° -ის ზევით 3200° და მეტი, და პარას აბსოლუტური მინიმალური საშუალო ტემპერატურა -15° (თოვლის საფარისას 10-15 სმ-ზე მეტი). ამ პირობებიდან გამომდინარე იგი შეიძლება გავრცელდეს 600-650 მეტრ სიმაღლეებზე ზღვის დონიდან, სადაც ზღვის სანაპირო ზოლში ჩაის ფოთლის კრეფათა ჯერადობა შესაძლებელია 18° -მდე, ხოლო მთიან პირობებში 15° ნაკლები.

აჭარაში ტუნგის კულტურის ორი სახეობის (ფორდა, კორდატა) გავრცელებისათვის გათვალისწინებულია აქტიურ ტემპერატურათა ჯამი (4000° და მეტი ფორდასათვის, ხოლო 3600° და მეტი კორდატა-სათვის) და ნალექები, ასევე პარას საშუალო აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა (-10° -მდე ფორდასათვის, ხოლო -8° -მდე კორდატა-სათვის).

აღნიშნულ ფაქტორებზე ტუნგის აგროკლიმატური მოთხოვნილების მიხედვით შედგენილ რეგაზე გამოყოფილია მათი გავრცელების ზონები, სადაც ტუნგი ფორდა კრცელდება 500 მეტრამდე, როგორც შედარებით ყინვაგამძლე, ხოლო აჭარის სამხრეთით და სიმაღლეზე იგი ვერ კრცელდება ტემპერატურის ჯამის შედარებით სიმცირის გამო. აქ მხოლოდ კრცელდება ტუნგი კორდატა 300 მეტრ სიმაღლემდე ზღვის დონიდან.

აჭარაში შესაძლებელია აგრეთვე ეთერზეთოვანი ტექნიკური კულტურების წარმოება (გერანი, ევგენოლის რეჟანი, ეთერზეთოვანი ვარდი). აღნიშნული კულტურების აგროკლიმატურ მოთხოვნილებათა საფუძველზე (აქტიურ ტემპერატურათა ჯამი და პარას აბსოლუტური მინიმალური საშუალო ტემპერატურა) შედგენილია რეგა, რომელზეც გამოყოფილია სამი ზონა.

I – ზონაში ტემპერატურის ჯამები 4000° და მეტია, აქ შესაძლებელია გერანის კულტურის ორი მოსავლის მიღება: პირველი იფლისის შესამე დეკადის ბოლოს, მეორე – ოქტომბრის ბოლოს წაფინვების დადგომამდე. ამ ზონაში შესაძლებელია აგრეთვე ევგენოლის რეჟანისა და ეთერზეთოვანი ვარდის წარმოება.

II – ზონაში ტემპერატურათა ჯამი 3000° და მეტია. ეს ზონა კრცელდება ზღვის დონიდან $700-800$ მეტრამდე, სადაც შესაძლებე-

ლია გერანისა და ევგენოლის რეპანის ერთი მოსავლის მიღება აგვისტოს მეორე დეკადის ბოლოს. აქ შეიძლება წარმატებით ვაწარმოოთ, აგრეთვე, ეთერზეოვანი ვარდიც.

III – ზონაში ტემპერატურის ჯამი 2000°-ზე მეტია. ეს ზონა ვრცელდება 900-1200 მეტრამდე ზღვის დონიდან, სადაც შეიძლება ვაწარმოოთ მხოლოდ გერანის კულტურა.


3.2.1. ციტრუსოვანი და თხილის კულტურების წარმოების აგროკლიმატური რესურსები

სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის ჰაერის საშუალო წლიურ ტემპერატურაზე მეტად ჰაერის 0, 5 და 10°C -ზე მეტი ტემპერატურების ჯამებია საინტერესო, რადგან სწორედ ამ ჯამებთანაა დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების სავაგეტაციო პერიოდები. ნებისმიერი კულტურა თავისი ზრდა-განვითარებისათვის საჭიროებს აქტიურ ტემპერატურათა გარკვეულ ჯამს. იქ, სადაც ეს ჯამი არ გროვდება, კულტურის წარმოებას უმეტეს შემთხვევაში აზრი არა აქვს.

ცხდადია, 0, 5 და 10°C -ზე მეტი ჰაერის ტემპერატურების ჯამები, ისევე როგორც თვით ტემპერატურები, ძირითადად ზღვის დონიდან სიმაღლის ფუნქციაა – ადგილის სიმაღლის მატებასთან ერთად მცირდება დაგროვილ ტემპერატურათა ჯამები. ნახაზ 3.2.1-ზე წარმოდგენილია ჰაერის ტემპერატურის ჯამების დამოკიდებულება ადგილის სიმაღლეზე ზღვის დონიდან (ამ გრაფიკების ასაგებად გამოყენებული იქნა დასავლეთ საქართველოს 146 მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემები). აქარის ფერმერებსა და გლეხურ მეურნეებს ადგილად შეუძლიათ ისარგებლონ წარმოდგენილი გრაფიკებით და მიიღონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია თავიანთი ნაკვეთების თერმული რესურების შესახებ, კერძოდ 0, 5 და 10°C -ზე მეტი ტემპერატურების ჯამების შესახებ, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო კულტურების განლაგებასა და წარმოების სტრატეგიის და ტაქტიკის შემუშავებისას.

თუ რომელიმე ადგილას კლიმატური (საშუალო) მონაცემებით გვაქვს ტემპერატურების ჯამების გარკვეული მნიშვნელობები, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ამ ადგილზე ეს ჯამები ყოველწლიურად გროვდება. მაშასადამე, სითბური რესურსების რეალურად შეფასებისავს აუცილებელია რაოდენობრივად იქნას შესწავლილი ცალკეულ პუნქტებში ამ ჯამების დროითი განაწილების სურათი. გ. სელიანინოვიდან მოყოლებული ითვლება, რომ ციტრუსოვან კულტურებს სავაგეტაციო პერიოდის განმავლობაში ესაჭიროება საშუალო დღე-დამუშრი ტემპერატურების (10°B-ზე მეტი) ჯამი არანაკლებ 4000° -ისა. მრავალწლიანი მონაცემების სტატისტიკური ანალიზით დასტურ-


დება, რომ ციტრუსოვან კულტურების (განსაკუთრებით ლიმონს და ფორთოსალს) ნორმალური ზრდა-განვითარებისა და დამწიფებისათვის 4000^0 -ზე გაცილებით მეტი სჭირდება. ისიც ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის 4000^0C პაერის ტემპერატურის ჯამი (10^0 -ზე მეტი) თავისუფლად გროვდება. ახლა გავეცნოთ სავეგებაციო პერიოდის ტემპერატურების ჯამების დროითი განაწილების დეტალურ სურათს. ნახაზზე 3.2.2 წარმოდგენილია საუკუნოების მონაცემების საფუძველზე აგებული 10^0C -ზე მეტი პაერის ტემპერატურების ჯამების კუმულიატები ჩაქვისა და სოხუმისათვის. სურათიდან აშკარაა, რომ 30% შემთხვევაში (ყოველი 10 წლიდან 3-ში) ჩაქვის პირობებში არ გროვდება 4000^0 10^0 -ზე მეტი ტემპერატურის ჯამი, რაც ასე აუცილებელია ციტრუსოვანთა დასამწიფებლად. აფხაზეთში ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა. სოხუმში სავეგებაციო პერიოდის განმავლობაში მხოლოდ 20 წელიწადში ერთხელ არ კმაყოფილდება ციტრუსოვანი კულტურების მოთხოვნილება სითბოს მიმართ.



ქორელაციური და რეგრესიული ანალიზის საფუძველზე ცხადი გახდა, რომ ნალექებით უზრუნველყოფის პირობებში დასავლეთ

საქართველოს სუბტროპიკულში არ გროვდება ისეთი ჯამი $10^{\circ}\text{B}-\text{ზე}$ მეტი ტემპერატურებისა რომელიც ციტრუსოვანი კულტურების მოსავლიანობის შემცირებას იწვევს.


5000° -ის დაგროვების შემთხვევაშიც კი მოსავლიანობა არ მცირდება, პირიქით იზრდება, ხოლო ხარისხი პროდუქციისა უსათუოდ უმჯობესდება. ციტრუსებისათვის ჰაერის $10^{\circ}\text{B}-\text{ზე}$ მეტი ტემპერატურების ოპტიმალური ჯამების უზრუნველყოფა დასავლეთ საქართველოში საკმაოდ დაბალია. ნაბ.3.2.2-დან ჩანს, რომ მაგალითად 4500° ჩაქვში გროვდება 10-დან მხოლოდ 2 სავეგეტაციო სეზონში, მაშინ როდესაც ტემპერატურების იგივე ჯამი სოხუმში უვალი 10 წლიდან 5-ში გროვდება.



სასოფლო-სამეურნეო კულტურების ვაგეტაცია იწყება გაზაფხულზე დათბობისას და გრძელდება შემოღვიძის აცივებამდე, ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როდის დგება ჩვენთვის სასურველი ტემპერატურა გაზაფხულზე და როდემდე გვექნება ამა თუ იმ მცენარის ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ტემპერატურული რეჟიმი წლის განმავლობაში.

სტატისტიკური ანალიზის დროს ჩვენ გამოვიყენეთ საქართველოს ეველა მეტეოროლოგიურ სადგურზე არსებული მონაცემები -10, -5, 0, 5, 10 და 15°C -ზე გადასვლის თარიღებისა და მეტეოროსადგურების ზღვის დონიდან სიმაღლეების შესახებ და ეს სიდიდეები დავუკავშირეთ ერთმანეთს.

ნახაზზე 3.2.3 წარმოდგენილია ამ სიდიდეებს შორის დამოკიდებულება (სიდიდეებს შორის კორელაციური კაფშირი ძალზე მაღალია. თითქმის ყველა შემთხვევაში 3.2.1 და 3.2.3 ნახაზებზე წარმოდგენილ სიდიდეებს შორის კორლაციის კოეფიციენტები ≥ 0.98). აგბეული გრაფიკების საშუალებით, ადგილის ზღვის დონიდან სიმაღლის ცოდნის შემთხვევაში დაუბრკოლებლად შეგვიძლია განვსაზღვროთ სხვადასხვა სიდიდის ტემპერატურებზე გადასვლის თარიღები.




ნახ. 3.2.3.

მეტეოროსადგურის $-10, -5, 0, 5, 10$ და 15°C -ზე გადასვლის თარიღების დამოკიდებულება დამთხვევაში სიმაღლეზე ზღვის დონიდან (საქართველო).

დასავლეთ საქართველოში 600-800 მეტრზე დაბალი სიმაღლეების-ათვის თითქმის არა გვაქვს 0°C -ზე გადასვლის შემთხვევები, რადგან ზღვის დონიდან შედარებით დაბალ სიმაღლეებზე პაერის ტემპერატურა 0°C -ზე ქვემოთ არ ჩამოდის. აღმოსავლეთ საქართველოს შემთხვევაში საქმე სხვაგვარადა. აქ $H = 300$ მეტრზე ნაკლებ სიმაღლეზე ზედაც კი გვაქვს 0°C -ზე გადასვლის შემთხვევები. სწორედ ასეთი წერტილები თავისებურად განლაგონენ გრაფიკზე. აღმოსავლეთ საქართველოში დაბალ სიმაღლეებზე 0°C -ზე გადასვლები გაზაფხულზე

უფრო ადრე ხდება, ვიდრე ეს იყო შესაძლებელი გრაფიკის ექსტრა-პოლირებით. ეს მოვლენა თავისებურ ასენას საჭიროებს. ამიტომ, და-ბალი სიმაღლის შემთხვევები ამოვიდეთ შემთხვევათა ამონარჩევიდან.

ციტრუსოვანი კულტურების (და არა მარტო ციტრუსოვანი კულ-ტურების) შედარებით დაბალი მოსავლიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ნარგავების ყინვებით პერიოდული დაზიანებაა. ციტრუსოვან-თა მოსავლიანობისა და მისი შესაბამისი ზამთრის აბსოლუტური მი-ნიმაღლური ტემპერატურების შედარებისას აშკარა ხდება, რომ რაც უფრო მაღალია ზამთრის აბსოლუტური მინიმაღლური ტემპერატურა, მით უფრო მეტია მომავალი მოსავალი. როცა ჰაერის აბსოლუტური მინიმაღლური ტემპერატურა -8° , -10° -მდე ჩამოდის, ნარგავები იმდენად ზიანდება, რომ მოსავალს მომდევნო ორი-სამი წლის განმავლობაშიც კი ვეღარ ვღებულობთ. ნახაზზე 3.2.4 წარმოდგენილია ფორთოხლის მაქსიმაღლურად შესაძლებელი მოსავლიანობის დამოკიდებულება ზამ-თრის მინიმაღლურ ტემპერატურებზე. ამ გრაფიკის დახმარებით უპავ გაზაფხულის დასაწესშივე შეიძლება განისაზღვროს რამდენი პრო-ცენტით შეიძლება შემცირდეს ზამთრის ყინვების შედეგებად მომავა-ლი მოსავალი. საინტერესოა, როგორია ზამთრის მინიმაღლური ტემპ-რატურების დროითი განაწილების სურათი და, აქედან გამომდინარე, ამ მახასიათებლის მიხედვით აჭარის აგროკლიმატური პოტენციალი. ჩაქვის პირობებში საუკუნოვანი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ ხნის მანძილზე სულ 4 წელი იყო ისეთი, როცა მინიმაღლური ტემპერატურა 0°C -ზე ქვემოთ არ ჩამოდიოდეს.



ნაზ. 3.2.4. ფორთოხლის მოსავლიანობის შემცირება ზამთრის მინიმაღლურ-ტემპერატურების ზემცირების შედეგად.

26 შემთხვევაში ტმინ ნულზე ნაკლები იყო, მაგრამ -2°C -ს არ გასცილებია, კი. სულ 30 შემთხვევაში ფორთობელის მოსავალი ზამთრის მინიმალური ტემპერატურების მიზეზით არ შემცირებულა.

25 შემთხვევაში ტმინ -2 და -4°C -ს შორის მერყეობდა და მოსავლის დანაკარგმა დაახლოებით 30% შეადგინა. სულ ერთი შემთხვევა იყო ისეთი, როცა ტმინ-მა -9°C -ს მიაღწია და მოსავალი თითქმის მოლიანად გაანადგურა.

ზამთრის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურების განაწილების განონის ცოდნა ალბათური პროგნოზირების საშუალებას იძლევა: ჯერ ერთი, ტმინ-ის გარკვეულ ინტერვალში მოხვედრის ალბათობა გვეცოდინება და რაც მთავარია, ამ სიდიდის მ(ტმინ) ფუნქციასთან (ნახ. 3.2.4) დაკავშირებით შევძლებთ მოსავლის დანაკარგის ალბათური პროგნოზის შედგენას.

ცხრილში 3.2.1. თაგმოყრილია ზამთრის მინიმალური ტემპერატურების განაწილების მახასიათებლები ჩაჭვის პირობებში.

ცხრილი 3.2.1.ზამთრის მინიმალური ტემპერატურის ანაწილების მახასიათებლები

i	$t_{\text{მინ}} - \text{ის ინტერვალები}$	θ_i	$t_{\text{მინ},i}$	I
1	$t_{\text{მინ}} \geq 0$	4	0.4	0.048
2	$-2 \leq t_{\text{მინ}} < 0$	26	-1	0.309
3	$-4 \leq t_{\text{მინ}} < -2$	25	-3	0.298
4	$-6 \leq t_{\text{მინ}} < -4$	15	-5	0.178
5	$-8 \leq t_{\text{მინ}} < -6$	13	-7	0.155
6	$t_{\text{მინ}} < -8$	1	-9	0.012
Σ	-	84	-	1

რადგან 1 და 2 ქვეჯგუფების მინიმალური ტემპერატურები -2°C -მდეა და არ ამცირებენ მომავალ მოსავალს, გავაერთიანოთ ისინი ერთ ქვეჯგუფში და გამოვთვალოთ საჭირო სიდიდეები. ცხრილში 3.2.2 წარმოდგენილია ახლად მიღებული განაწილების მახასიათებლები და შესაბამისი $K_i = P_i / [1 - \mu(t_{\text{მინ},i})]$, რომელიც გვიჩვენებს იმის ალბათობას, თუ მოსავლის რა ნაწილი გადაურჩება ზამთრის $t_{\text{მინ},i}$ ტემპერატურას.

როგორც ცხრილიდან ჩანს, $\eta = \sum_{i=1}^6 = 0.6574$, რაც იმას ნიშნავს, რომ განხილულ პერიოდში მაქსიმალურად შესაძლებელი მოსავლის მხოლოდ 0.6574 ნაწილი მივიღეთ და ზამთრის მინიმალური ტემპერატურების მიზეზით მოსავლის დანაკარგმა $(1-\eta)100 = 34.3\%$ შეადგინა.

ზამთრის მინიმალური ტემპერატურების დროითი განაწილების მიხედვით და ციტრუსოვანი კულტურების მომავალ მოსავლიანობაზე

მათი უარყოფითი გავლენის თვალსაზრისით აჭარაში უკეთესი სურათი გვაქვს ვიდრე გურიაში ან აფხაზეთში.


ცხრილი 3.2.2.ზამთრის მინიმალური ტემპერატურის განაწილების კანონზომიერება და მოსავლის დანაკარგები

i	$t_{\text{მინ}}\text{-ის ინტერვალები}$	$\mu(t_{\text{მინ}})$	$1-\mu(t_{\text{მინ}})$	P_i	K_i
1	$t_{\text{მინ}} \geq -2$	0	1	0.357	0.357
2	$-4 \leq t_{\text{მინ}} < -2$	0.274	0.726	0.298	0.216
3	$-6 \leq t_{\text{მინ}} < -4$	0.640	0.360	0.178	0.064
4	$-8 \leq t_{\text{მინ}} < -6$	0.870	0.130	0.155	0.020
5	$t_{\text{მინ}} \leq -8$	0.964	0.036	0.012	0.0004
Σ	-	-	-	1	0.6574

ნახ.3.2.5-ზე წარმოდგენილია ზამთრის მინიმალური ტემპერატურების განაწილების კუმულაციები ჩაქვისა (1) და სოხუმისათვის (2).

როგორც სურათიდან ჩანს, ზამთრის მინიმალური ტემპერატურების შედარებით მაღალ მნიშვნელობებს უფრო ხშირად აქვს ადგილი, ვიდრე დაბალ მნიშვნელობებს, მაშინ როდედესაც აფხაზეთში პირიქით ხდება – დაბალი მინიმალური ტემპერატურები უფრო ხშირად მეორდება, ვიდრე მაღალი. აქედან გამომდინარე, ზამთრის მინიმალური ტემპერატურების მიზეზით, აჭარაში უფრო ნაკლებად ზიანდებიან ნარგავები, ვიდრე აფხაზეთში. ამას ადასტურებს ცხრილი 3.2.3, რომელშიც თავმოყრილია ზამთრის მინიმალური ტემპერატურების განაწილების მახასიათებლები და შესაბამისი K_i -ის მნიშვნელობები სოხუმისათვის.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 88 წლის განმავლობაში მაქსიმალურად შესაძლებელი მოსავლის მხოლოდ 52% იქნა აღებული და ზამთრის მინიმალური ტემპერატურების მიზეზით დაიკარგა მოსავლის 48%, მაშინ როცა ჩაქვის მონაცემებით ამავე პერიოდში ზამთრის მინიმალური ტემპერატურების მიზეზით დაიკარგა მხოლოდ 34.3%.



ნახ. 3.2.5. ზამთრის მინიმალური ტემპერატურების განაწილება და განმავლობა კუმულაციის ჩაქვისა (1) და სოხუმისათვის (2).

**ცხრილი 3.2.3.მოსავლის ალბათური დანაკარგების
პროგნოზული მახასიათებლები**

i	$t_{\text{შ}} \text{-ის ინტერვალები}$	m_i	$\mu(t_{\text{შ}})$	$1-\mu(t_{\text{შ}})$	P_i	K_i
1	$t_{\text{შ}} \geq -2$	19	0	1	0.216	0.216
2	$-4 \leq t_{\text{შ}} < -2$	20	0.274	0.726	0.227	0.165
3	$-6 \leq t_{\text{შ}} < -4$	28	0.640	0.360	0.318	0.114
4	$-8 \leq t_{\text{შ}} < -6$	16	0.870	0.130	0.182	0.024
5	$t_{\text{შ}} < -8$	5	0.964	0.036	0.057	0.002
Σ	-	88	-	-	-	0.521

თხილის კულტურის წარმოებას საქართველოს პირობებში უველგან თანაბარი განლაგება არა აქვს, რაც ძირითადად აისხება ტერიტორიის აგროკლიმატური რესურსების სხვადასხვაობით. მთიან და მაღალმთიან რეგიონებში ზღვის დონიდან გარკვეული სიმაღლის შემდეგ თხილის გავრცელება ლიმიტირებულია სავგეგმაციო პერიოდში ჰაერის ტემპერატურების ჯამით.

როგორც ჩანს, თხილის გეგმების დაწყება უკავშირდება გაზაფხულზე ჰაერის საშუალო დღე-დღამური ტემპერატურის 50°-ზე გადასვლას (შესაძლებელია ოდნავ უფრო ადრეც ხდება გეგმების დაწყება).

მრავალწლიანი მონაცემების (დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს 8 პუნქტში) ანალიზის საფუძველზე ცხადი გახდა, რომ საშუალოდ, 2550°C უნდა დაგროვდეს ჰაერის ტემპერატურის 50°-ზე გადასვლიდან თხილი რომ დამწიფვდეს. ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ ამ პუნქტების მონაცემებით თხილის სავგეგმაციო პერიოდში საშუალოდ 5800mm ნალექი გროვდება. იმისათვის, რომ გარკვეული წარმოდგენა გვქონდეს საქართველოში თხილის წარმოების აგროკლიმატურ რესურსებზე, საჭიროა გამოთვლილი იქნას გროვდება თუ არა ამა თუ იმ რაიონში თხილის მომწიფებისათვის საჭირო ტემპერატურების ჯამი და ტენის რა მარაგთან გვაქს საქმე თხილის სავგეგმაციო პერიოდში.

საქართველოში გარკვეული სიმაღლის (ზღვის დონიდან) ზემოთ 5 და 10°C -ზე მეტი ტემპერატურათა ჯამი მკაცრად შეზღუდულია, რაც გვაიძულებს ზოგჯერ უარი ვოქვათ რომელიმე სასოფლო-სამეურნეო კულტურის სასურველ სიმაღლეზე გავრცელებაზე. სითბური რესურსების კვლევისას ცხადი გახდა, რომ ზოგიერთ რაიონში, ზღვის დონიდან დიდ სიმაღლეზე მდებარეობის გამო, ვერ გროვდება თხილის დასამწიფებლად საჭირო ტემპერატურათა ჯამი. ეს რაიონებია: ყაზბეგის, წალკის, ნინოწმინდის, ახალქალაქისა და მესტიის. ზოგიერთ რაიონში თხილის წარმოება ლიმიტირებულია ტენის რესურსებით. ამ ადგილებში თხილის კულტურისათვის

არასაკმარისი ნალექები მოდის. იმდენად დაბალია პიდროთერმული კოფიციენტების საშუალო მნიშვნელობები სავაგეტაციო პერიოდში, რომ მორწყვის გარეშე შეუძლებელია თხილის წარმოება.

ზოგიერთ რაიონში ნალექების სიჭარებესთან გვაქვს საქმე და ესც, რასაკვირველია, უარყოფითად მოქმედებს თხილის მოსავლის ფორმირების აგრომეტეოროლოგიურ პროცესებზე. ასეთ ადგილებში პიდროთერმული კოფიციენტის საკმაოდ მაღალ მნიშვნელობებთან გვაქვს საქმე. ამ მხრივ გამოირჩევიან ბათუმის, ქობულეთის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, მარტვილისა და ხობის რაიონები. პიდროთერმული კოფიციენტის ოპტიმალური (თხილის კულტურისათვის) მიახლოებითი სურათის მიხედვით $\Gamma\text{TK}_{\text{თა}} \approx 2.36$ და ამ შემთხვევაში $\Gamma\text{TK} = \Sigma P / 0.1 \Sigma_{\text{D}}^{\text{P}}$. ფორმულიდან გამომდინარე, თხილის სავაგეტაციო პერიოდში ნალექების ოპტიმალური რაოდენობა $\Sigma P_{\text{თა}} \approx 600$ მმ-ს.

საჭიროდ მიგვაჩნია კიდვე ერთ საკითხზე გავაძახვილოთ ყურადღება. სტატისტიკური მონაცემების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ დაახლოებით 500-600მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან თხილის ნაყოფი უმოკლეს ვაღებში მწიფდება – საშუალოდ 155 დღის განმავლობაში გაზაფხულზე პაერის ტემპერატურის 5°C -ზე გადასვლიდან. უფრო დაბალ სიმაღლებზე დროის ინტერვალი, რომელშიც ხდება თხილის დასამწიფებლად საჭირო 5°C -ზე მეტი ტემპერატურების ჯამის დაგროვება, სიმაღლის შემცირებასთან ერთად იზრდება. ასევე ხდება $H = 600\text{მ-ის}$ შემდეგაც: სიმაღლის მატებასთან ერთად დღეების რაოდენობა იზრდება. როგორც ჩანს, ამის ასენა ტენის რეჟიმების განსხვავებაში უნდა ვეძებოთ. $H = 500$ მეტზე დაბლა ძირითადად შავიზღვის-პირა პუნქტები მდებარეობენ და აქ ტენის სიჭარების გამო აორთქლებაზე დიდი სითბო იხარჯება, რის გამოც ნიადაგის ზედაპირი იმდენად ვეღარ ხურდება და ვერ ასურებს ნიადაგისპირა პაერის მასას. სხვაგვარად მიმდინარეობს ეს პროცესი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის საშუალო სიმაღლებზე ზღვის დონიდან. აქ ტენის გარკვეული დეფიციტის გამო სითბური ენერგიისაგან ნიადაგები უფრო ხურდება და ეს იწვევს პაერის ტემპერატურის ზრდას, რის გამოც ამ სიმაღლებზე შედარებით მოკლე პერიოდში ხდება თხილის დასამწიფებლად საჭირო ტემპერატურის ჯამის დაგროვება. რაც შეეხება დიდ სიმაღლეზე დღეების რაოდენობის გაზრდას, აქ სურათი ნათელია: სიმაღლის გაზრდასთან ერთად პაერის ტემპერატურა იკლებს, რის გამოც საჭირო ტემპერატურების ჯამების დაგროვება უფრო ხანგრძლივ დროს მოითხოვს.

ზემოთ მოყვანილი ფაქტი კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიებზე პაერის ტემპერატურის ერთი და იგივე ჯამები ზღვის დონიდან სხვა-

დასხვა სიმაღლეებითაა ლიმიტირებული და ეს განსხვავება საშუალო დო 50-100 მეტრს მაინც შეადგენს.

საქართველოს აგროკლიმატური დარაიონება თხილის კულტურის მიმართ უნდა მოხდეს სითბური და ტენის რესურსების საფუძველზე. როგორც მრავალწლიანი ექსპერიმენტაციური მასალის სტატისტიკური ანალიზის შედეგად დადასტურდა, თხილის ნაყოფის დასამწიფებლად განხაფხულზე პაერის ტემპერატურის 5°C -ზე გადასვლიდან დაახლოებით 2550^0 უნდა დაგროვდეს. 3.2.1 გრაფიკის მიხედვით, 2550^0 დასავლეთ საქართველოში ზღვის დონიდან მხოლოდ 1300მ სიმაღლემდე გროვდება, აღმოსავლეთ საქართველოში $50 - 1350$ მეტრამდე. ასეთივე განსხვავება დაფიქსირებულია პაერის ტემპერატურის სხვადასხვა დონეზე გადასვლის თარიღებისთვისაც. ყოველივე ეს განაირობებულია რელიეფისა და კლიმატის შემქმნელი პროცესების განსხვავებულობით.

ამრიგად, რუკაზე ამ სიმაღლეების დატანით, ჩვენ გამოვყოფთ ტემპერატურის ჯამების მიხედვით თხილის გავრცელების ზონებს. აგროკლიმატური დარაიონების მეორე ეტაპზე საჭიროა ტემპერატურის მიხედვით გამოყოფილ თხილის გავრცელების ზონებში მოვახდინოთ ტენის პირობების განვითარება, ანუ ნალექების (ან სიმშრალის) დაფიციტისა თუ სიჭარბის რუკაზე დატანა.

რუკაზე ტენის პირობების დასატანად მოვიქცეთ შემდეგნაირად. ყოველ i -პუნქტში თხილის საგეგეტაციო პერიოდში მოსული ნალექების ფაქტიურ საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობას (კლიმატურ მნიშვნელობას) გამოვაკლოთ თხილის სავაგეტაციო პერიოდში მოსული ნალექების ოპტიმალური მნიშვნელობა ($\Delta\text{SP}_i = (\text{SP}_i)_{\text{საშ}} - \text{SP}_{\text{თყ}}$) და ტემპერატურის ჯამების მიხედვით თხილის გავრცელების ტერიტორიაზე გამოვყოთ 6 ზონა: 1) ტენის ძლიერი სიჭარბე ($\Delta\text{SP}_i > +200$); 2) ტენის საშუალო სიჭარბე ($+100 < \Delta\text{SP}_i \leq +200$); 3) ზომიერად ტენიანი, რომელშიაც შევა ტენის სუსტი სიჭარბე და ტენის სუსტი დაფიციტი ($-100 < \Delta\text{SP}_i \leq +100$); 4) ტენის საშუალო დაფიციტი ($-200 < \Delta\text{SP}_i \leq -100$); 5) ტენის ძლიერი დაფიციტი ($-300 < \Delta\text{SP}_i \leq -200$); 6) ტენის ძლიერი დაფიციტი ($\Delta\text{SP}_i \leq -300$). ამრიგად, შედგენილი იყო თხილის წარმოების აგროკლიმატური რესურსების – როგორც სითბური, ისე ტენის რესურსების რუკა.

3.3. პელიოდურგეტიკული რესურსები

ტერიტორიის პელიოდურგეტიკული რესურსების შესაფასებლად აუცილებელია მზის ენერგიის შესახებ კადასტრული ინფორმაციის ცოდნა. ადსანიშნავია, რომ მზის ენერგიის კადასტრის დამუშავება და გაუმჯობესება მიმდინარეობდა გარკვეული ეტაპების მონაცვლეობის სახით. პირველ ეტაპზე მზის კადასტრის დასახასიათებლად გამოიყ

ენებოდა მზის რადიაციის და მზის ნათების ხანგრძლივობის დღე-და-მური, თვიური და წლიური სვლის შესახებ არსებული დაკვირვების მასალები. ასეთი სახის ინფორმაციის გამოყენებით გ. მელიას და ი. ცუცქირიძის მიერ ამიერკავკასიის ცალკეული რაიონებისათვის ჩატარებული იქნა პელიოდენერგეტიკული რესურსების კადასტრული შეფასებები [11, 12].

კადასტრის დამუშავების მეორე ეტაპს საფუძვლად დაედო ჯამური რადიაციის ინტენსივობის და ჯამების განაწილების თავისებურებები დრუბლიანობის რეჟიმთან კავშირში და პარალელურად შეფასდა სხვადასხვა ტიპის პელიოდანადგარების ეფექტურობა მათ მიერ გამომუშავებული ენერგიის სიდიდეებით. აღსანიშნავია, რომ ამ სახის კადასტრებში ნაკლებად ექცევდა უურადდება მზის რადიაციის შემთხვევით ფლუქტუაციებს, რომლებიც განპირობებულია დრუბლიანობის ველის და ატმოსფეროს ფიზიკური მდგომარეობის სტოქასტრური ბუნებით. ბუნებრივია, რომ ამ კადასტრებში წარმოდგენილი შეფასებები ვერ აგრძელდება პელიოდანადგარების ექსპლუატაციის რეზიმის კონკრეტულ მოთხოვნილებებს.

მზის კადასტრის შესამე ეტაპზე მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოება, რომ მზის რადიაციის ცვლილება დროში და სივრცეში წარმოადგენს დეტერმინირებულ-სტოქასტრუ პროცესს, რომელიც განპირობებულია დედამიწის ბრუნვით მისი დერდის და მზის გარშემო (დეტერმინირებული პროცესი) და როგორც აღინიშნა დრუბლიანობისა და ატმოსფეროს გაჭუჭყიანების შემთხვევითი რყევებით (სტოქასტრური პროცესი).

[10]-ში საქართველოს ტერიტორიისათვის მზის რადიაციაზე, ნათების ხანგრძლივობაზე, დრუბლიანობასა და ჰაერის ტემპერატურაზე მრავალწლიური დაკვირვებების მონაცემების საფუძველზე ჩატარდა მზის რადიაციის (ჯამური რადიაცია) და მზის ნათების ხანგრძლივობის საათური, დღე-დამური, თვიური და წლიური ჯამების საშუალო სიდიდეების, მზის რადიაციის რეალიზაციის პროცესის სტრუქტურული თავისებურებების, პელიოდანადგარების მუშაობის (მოცდენების) შესაძლო ჯამური ხანგრძლივობის შეფასება საკვლევი ინფორმაციის ანალიზის სტატისტიკური და ალბათური მეთოდების ფართო გამოყენებით, რის შედეგად დადგინდა პელიოდენერგეტიკული რესურსების განაწილების თავისებურებები შესაბამისი რუკის სახით, რომელზედაც გამოყოფილი 5 პელიოდენერგეტიკული ზონიდან, აჭარა მოხვდა მეხუთე ზონაში. ამ ზონაში ჯამური რადიაციის თვიური (იანვარი, ივლისი) ჯამები მერყეობენ შესაბამისად 150-160, 500-550 მჯ/მ-ის ფარგლებში, ხოლო წლიური ჯამები ტოლია 1500 მჯ/მ-ის. მზის ნათების ხანგრძლივობა იანვარსა და ივლისში მერყეობს შესაბამისად 80-90 და 180-200 საათის, წელიწადის თბილ სეზონში (მაისი-სექტემბერი)

950-1050 საათის, ხოლო წელიწადის განმავლობაში – 1800-1900 საათის ზღვრებში. პელიოდისტების მუშაობის ხანგრძლივობა საშუალოდ შეადგენს წელიწადში 1500-1600 საათს და ზაფხულში 450-500 საათს, პელიოდისტების მოცდენების ხანგრძლივობა კი შესაბამისად ტოლია წელიწადში 7000-7200 საათის, ზაფხულის განმავლობაში კი 1650-1750 საათის. ამრიგად, პელიოდისტების მოცდენების ხანგრძლივობა წელიწადში და ზაფხულის განმავლობაში აღმატება მათი მუშაობის ხანგრძლივობას. საერთო მოღრუბლეულობა მერყეობს ივნისში 7,0-7,5 ბალის, ხოლო ივლისში – 7,5-8,0 ბალის ზღვრებში. მოწმენდილ დღეთა რიცხვი წელიწადში აღწევს 40-ს. ქარის საშუალო ტემპერატურა იანვარში მერყეობს 5,0-5,5⁰-ის, ხოლო ივლისში – 20,0-22,0⁰-ის ზღვრებში. აღნიშნული პელიოდიმატური კადასტრული პარამეტრების სიდიდეები აჭარის რეგიონში განაპირობებენ საშუალო და მსხვილი პელიოდისტების ექსპლუატაციის არახელსაყრელ პირებებს. მაგრამ, მიუხედად იმისა, რომ წელიწადის მეტი დროის განმავლობაში აქ აღინიშნება დრუბლიანი ამინდი, საყოფაცხოვრებო ხასიათის პელიოდანადგარების გამოყენება ამ რეგიონში წელიწადის განმავლობაში მიზანშეწონილია [10].

3.4. ქარის ენერგეტიკული რესურსები

ქარის ენერგეტიკულ რესურსებს საქართველოს ენერგეტიკულ ბალანსში განსაზღვრული აღილი უკავია, თუმცა დღესდღისობით ამ ენერგიის გამოყენება ფაქტიურად არ ხდება. ამ თვალსაზრისით გარკვეული ინტერესს იწვევს განსახილველი ტერიტორიის ცალკეული რაიონები, სადაც ქარის ენერგიის გამოყენება რენტაბელური იქნება.

ქარის ენერგორესურსების გამოყენების პერსპექტიკულობის შეფასების პირველი მაჩვნებელია ქარის საშუალო წლიური სიჩქარე.

ქარის საშუალო სიჩქარეები წარმოადგენს აუცილებელ, მაგრამ არასაქმარის ენერგეტიკულ მაჩვნებელს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქარის სიჩქარის დაბალი მნიშვნელობის დროს გარკვეულია მათი გამოყენების არაპერსპექტიკულობა, მაგრამ სიჩქარის მაღალი მნიშვნელობა მუდამ არ უზრუნველყოფს ქარის ენერგიის გამოყენების ეფექტურობას.

პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით გამოკვლეული უნდა იქნას, აგრეთვე, ქარის სიჩქარის სტრუქტურული ელემენტების განაწილება როგორც დროში, ისე სივრცეში. ამ სტრუქტურულ ელემენტებს ეკუთვნის ქარის სამუშაო და არააქტიური სიჩქარეების განმეორადობა და ხანგრძლივობა.

არააქტიური სიჩქარეები ისეთი სიჩქარეებია, რომლებიც პრაქტიკულად არ გამოიყენება, სამუშაო სიჩქარეები კი ისეთი სიჩქარეებია, როდესაც ქარის ძრავა მუშაობს.

ჩქარმავალი ქარის ძრავა მუშაობს 4.5-5 მ/წმ სიჩქარის დროს, ხოლო ნელმავალი მრავალფრთიანი ქარის ძრავები – 3-3.5 მ/წმ სიჩქარის დროს, ამიტომ სამუშაო სიჩქარეების ქვედა საზღვრად აღებული გვაქვს 3 მ/წმ. ოადგანაც ქარის ძრავას მუდმივი სიჩქარე და სიმძლავრე აქვს რეგულირების პროცესის დაწყების შემდეგ ე.ი. 7-8 მ/წმ სიჩქარის შემდეგ (ზოგიერთი ძრავისათვის 10 მ/წმ-ის შემდეგ), ქარის სიჩქარის ძირითად დიაპაზონში კი – 3-7 მ/წმ (3-9 მ/წმ) ქარის ძრავა მუშაობს ცვალებადი ბრუნვით და იძლევა ცვალებად სიმძლავრეს, ხანგრძლივობა მოცემული გვაქვს თითოეული სამუშაო სიჩქარისათვის, ხოლო $V \geq 10$ მ/წმ სიჩქარისათვის საერთო ჯამში.


საქართველოს ტერიტორიის სქემატური დარაიონება ქარის ენერგეტიკული რესურსების მიხედვით შესრულებული ქარის საშუალო სიჩქარის, მისი სტრუქტურული ელემენტების განმეორადობის, ჯამური და უწყვეტი ხანგრძლივობის მიხედვით მოცემულია მონიტორინგი [10]. ამ მონიტორინგის მოცემულია აგრეთვე $V \geq 3$ მ/წმ სიჩქარეების ჯამური ხანგრძლივობის სქემატური რუგა საქართველოს ტერიტორიისათვის.

აჭარის ტერიტორიისათვის $V \geq 3$ მ/წმ სიჩქარეების ხანგრძლივობის სქემატური რუგა (ნახ.3.4.1) დაზუსტებულია დამატებით 9 მეტეოროლოგიური სადაცურის მონაცემებით. ქარის სიჩქარის მონაცემები გვიჩვენებს, რომ აჭარაში ქარის ენერგიის გამოყენების თვალსაზრისით ხელსაყრელი პირობები იქმნება შევი ზღვის სანაპიროს ვიწრო ზოლის ჩრდილოეთ ნაწილში, კახაბერის ველსა და გოდერძის უდელტებილობების დაწილებით არა მატერიალური სამუშაო სიჩქარეთა $V \geq 3$ მ/წმ წლიური განმეორადობა სანაპიროს ჩრდილოეთ ნაწილში აღწევს 38%-ს, კახაბერის ველსა და ჭოროხის ხეობის გაფართოებულ ნაწილში – 71-72%-ს, ხოლო გოდერძის უდელტებილობები – 74%-ს. ბუნებრივია, სიჩქარის ზრდასთან ერთად მისი განმეორადობა კლებულობს და $V \geq 5$ მ/წმ სიჩქარეზე მოდის 16-53%.

ზემოთ დასახელებულ რაიონებში საკმაოდ დიდია სამუშაო სიჩქარეთა ხანგრძლივობაც (ცხრ.3.4.2) და კახაბერის ველსა და გოდერძის უდელტებილობები აღწევს 6000-6483 საათს, საიდანაც $V \geq 5$ მ/წმ სიჩქარეზე მოდის 3593-4611 საათი.

ენერგეტიკის თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია ქარის სამუშაო სიჩქარეთა უწყვეტი ხანგრძლივობა. ზამთარში მისი საშუალო მნიშვნელობა 18-30 საათია, დანარჩენ სეზონებში რამდენადმე ნაკლები. იშვიათად ცალკეულ შემთხვევებში 3 მ/წმ-ზე მეტი ან ტოლი სიჩქარეების ხანგრძლივობა აღწევს 444 საათს, ხოლო 5 მ/წმ-ზე მეტი ან ტოლი სიჩქარეების ხანგრძლივობა – 234 საათს (გოდერძის უდელტებილობის).

კახის გეოლოგიური კირკვული რამდენადმე მცირე – 228-389 საათი და 132-360 საათი შესაბამისად 3 მ/წმ და 5 მ/წმ სიჩქარეებისათვის.



ნარის სამუშაო სიჩქარეთა (≥ 3 მ/წმ) წლითი ხანგრძლებისა, სა.

ცხრილი 3.4.1. ქარის სხვადასხვა სიჩქარის განმეორადობა (%) წლითიადი

მეტეოროლოგიური სადგური	ქარის სიჩქარე (მ/წმ)								
	0-2	3	4	5	6	7	8	9	10
ქობულეთი	62	38	26	16	13	8	6	3	2
ბათუმი, აეროპ.	29	71	54	41	23	18	14	9	8
ჭარნალი	56	44	28	20	14	9	6	4	3
კაბანდიბა	28	72	56	54	36	35	25	24	16
ხულო	45	55	29	18	5	3	1	1	0
გოდერძის უღელტ.	26	74	63	50	40	30	23	18	13

ცხრილი 3.4.2. ქარის სამუშაო და არაპტიური სიჩქარეების
ხანგრძლივობა (სათი) წელიწადი

მეტეო-სადგური	ქარის სიჩქარე (მ/წელიწადი)								
	0-2	3	4	5	6	7	8	9	10
ჯიხანჯირი	5591	3169	1518	1071	618	454	288	250	133
ცეცხლაური	6620	2140	888	703	254	242	114	106	40
ალამბარი	6305	2454	1064	836	295	248	124	94	48
ქობულეთი	5433	3327	2434	1427	1109	711	540	300	220
ჩაქვი	6241	2519	1103	708	292	215	168	97	70
მახინჯაური	7712	1048	491	437	164	148	96	79	59
ბათუმი, აერ.	2517	6243	4715	3597	2053	1577	1244	832	738
ჭარნალი	4851	3909	2464	1731	1183	795	541	366	293
კაპანიდა	2415	6345	4874	4708	3196	3085	2164	2079	1363
ქედა	6702	2058	1226	864	335	267	101	59	28
ხულო	3956	4804	2583	1542	446	284	62	50	15
გოდერძის უდ.	2270	6490	5505	4384	3534	2540	1995	1495	1116

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. საქართველოს კურორტები და საძურორტო რესურსები. მოსკოვი, გუბი, 1989.
2. Элизбарашилии Э. Ш., Гонгладзе М. Ш. Климатография курортов Грузии. Тбилиси, 1980.
3. Ушверидзе Г. А., Кавкасидзе Р. П. Пр. НИИКиФ, т. 27, 1967.
4. გორგაძე გ. საქართველოს პარამეტრების მიზანის 1961.
5. Чиракадзе Г. И. В кн. Климат и климатические ресурсы Грузии. Гидрометеоиздат, Л., 1971.
6. Атлас Грузинской ССР. Тбилиси-Москва, 1964.
7. Туманидзе Т. И. Климат и урожай винограда. Гидрометеоиздат, Л., 1981.
8. Агроклиматические ресурсы Грузинской ССР. Гидрометеоиздат, Л., 1978.
9. Меладзе Г. Г. Экологические факторы и производство сельскохозяйственных культур. Гидрометеоиздат, Л., 1991.
10. Сванидзе Г. Г., Гагуа В. П., Сухишвили Э. В. Возобновляемые энергоресурсы Грузии. Гидрометеоиздат, Л., 1987.
11. Мелия Г. Т. Гелиоэнергетические ресурсы Грузинской ССР. Тбилиси, изд-во АН ГССР, 1959.
12. Цуцкиридзе Я. А. Солнечный кадастр Грузии. Труды ЗакНИГМИ, вып. 12, 1963.

თავი IV. კომპლექსური კლიმატური მახასიათებლები

4.1. სანაპირო საკურორტო ზონის კლიმატი

ამინდებზე და მისი რეკრეაციული შეფასება

აჭარის საკურორტო კლიმატური დარაიონების მიხედვით [1] გამოყოფილია 5 საკურორტო ზონა: 1. სანაპირო საკურორტო ზონა; 2. დაბლობი საკურორტო ზონა; 3. მთისწინა საკურორტო ზონა; 4. დაბალი მთის საკურორტო ზონა; 5. საშუალო მთის საკურორტო ზონა. ამ დარაიონებას საფუძვლად დაედო საკურორტო კლიმატური რესურსების პოტენციალი, კლიმატის ფორმირების ფაქტორები, ფიზიკო-გეოგრაფიული პირობები და კლიმატის ძირითადი ელემენტების ცვალებადობის კანონზომიერებანი.

ამ ხუთი საკურორტო ზონიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია პირველი ზონა, რამდენადაც აქ იქმნება ორგორც აეროთერაპიის პირობები, ისე ზღვის აბაზანების მიღების შესაძლებლობა.

კლიმატოთერაპიის ნებისმიერი საშუალების გამოყენების აუცილებელი პირობები ადამიანის ყოფნა დია პაერზე, რაც შესაძლებელია განსაზღვრული ამინდის დროს.

ამინდის მრავალფეროვნება ქმნის აუცილებლობას მოხდეს მისი ტიპიზაცია და კლასიფიკაცია. ჩვენს მიერ გამოყენებულია ფიოდორ-ოვ-ჩუბუკოვის კლასიფიკაცია [2], რომელიც ეყრდნობა კურორტების კლიმატის დახასიათებას და კლიმატოთერაპიის მეტეოროლოგიური პირობების შეფასებას, რომელიც მოყვანილია დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის მეორე გამოშვებაში.

განსახილველ კლასიფიკაციაში გამოყოფილია ამინდის სამი ძირითადი ჯგუფი: უყინვო, ტემპერატურის გადასვლით 0°C-ზე და ყინვიანი. ეს ჯგუფები აერთიანებენ ამინდის 16 კლასს (ნახ. 4.1.1. და 4.1.2).

უოველდღიური დაკვირვებების საფუძველზე ათწლიანი პერიოდის-ათვის გამოვლენილია კლიმატის სტრუქტურა (ამინდის კლასები) ქობულეთის, ჩაქვის, მწვანე კონცხისა და ბათუმისათვის. I-VII და XVI კლასებში გაერთიანებულია უყინვო ამინდები, VIII და IX კლასებში – ამინდი ტემპერატურის გადასვლით 0°C-ზე და X-XV კლასებში – ყინვიანი ამინდები. რამდენადაც ეს უკანასკნელი ზღვის სანაპირო ზონაში არ ფიქსირდება, ამიტომ ამ კლასების სამედიცინო-კლიმატოთერაპიული დახასიათება ჩვენს მიერ არ არის მოყვანილი.

უყინვო ამინდებზე, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში დაკავშირებულია დადებით რადიაციულ ბალანსთან, შეიძლება გამოიყოს მზიანი და ღრუბლიანი ამინდი, რომლის თვალსაზრისით პირველი ადგილი უჭირავს მზიან ამინდს (I, II, III, V კლასები). I-III კლასების ამინდი წარმოიქმნება ანტიციპლონის სწორი დღვედამური სვლის დროს, რომელთანაც კარგადაა ადაპტირებული ადამიანის ორგანიზმი.

მდგრადი მიკორეალური სისტემის (სპეციალის)	მცურავის მინიმუმი (%)	საქართველოში მომსახურა (კრაზ)									
		42.4 - 37.5	37.4 - 32.5	32.4 - 27.5	27.4 - 22.5	22.4 - 17.5	17.4 - 12.5	12.4 - 7.5	7.4 - 2.5	2.4 - 0.9	
დღე < 6	.	მცურავის მინიმუმი									
ც მ ტ ი < 6	0-20	+	+	+	+	+	+	+	+	+	
	21-40	+	+	+	+	+	+	+	+	+	
	41-60	+	+	+	+	+	+	+	+	+	
	61-70	+	+	+	+	+	+	+	+	+	
	71-80	+	+	+	+	+	+	+	+	+	
	81-100	+	+	+	+	+	+	+	+	+	
დღე 6-10	.	დღისით მცურავის მინიმუმი									
ც მ ტ ი < 6	0-20	+	+	+	+	+	+	+	+	+	
	21-40	+	+	+	+	+	+	+	+	+	
	41-60	+	+	+	+	+	+	+	+	+	
	61-80	+	+	+	+	+	+	+	+	+	
	81-100	+	+	+	+	+	+	+	+	+	
დღე < 6	.	დღისით მცურავის მინიმუმი									
ც მ ტ ი < 6-10	0-20	+	+	+	+	+	+	+	+	+	
	21-40	+	+	+	+	+	+	+	+	+	
	41-60	+	+	+	+	+	+	+	+	+	
	61-70	+	+	+	+	+	+	+	+	+	
	71-80	+	+	+	+	+	+	+	+	+	
	81-100	+	+	+	+	+	+	+	+	+	
დღე 6-10	.	მცურავის მინიმუმი									
ც მ ტ ი < 6-10	0-20	+	+	+	+	+	+	+	+	+	
	21-40	+	+	+	+	+	+	+	+	+	
	41-60	+	+	+	+	+	+	+	+	+	
	61-80	+	+	+	+	+	+	+	+	+	
	81-100	+	+	+	+	+	+	+	+	+	

ტაბ. 4.1.1 წლის თბერი პერიოდის მნიშვნელებები: 1- ჰალანი შერალი და ძალიან გრილი; 2- ზერინზე და მინიმუმი და ზერინზე ცენტრი; 3- ზერინზე შერალი და ზერინზე ცენტრი; 4- შეცენტრ და ზერინზე; 5- დღისით დრენაჟის ნალექები; 6- და თათო დრენაჟის ნალექები; 7- ღმისი დრენაჟის ნალექები; 8- და ძერ დრენაჟის ნალექები; 9- ღრუბლის; 10- ნალექები; 11- ნიტერი ტრანსფული.

ძღაისის №:	VIII	IX	X	XI	XII	XIII	XIV	XV
აპრილი	ტემპერატურის განვითარების 0-70°							
	და უკალი ნიტერი (6-10)	+	+	+	+	+	+	+
ნატერილი დოკუმენტის ტემპერატურა (კრიზი)	+	+	9.0-2.4	-2.5-12.4	-12.5-22.4	-22.5-32.4	-32.5-42.4	-42.5
მცურავის მინიმუმი	+	+						
მინიმუმი	-	-						
უკალი								
ჭრალი								

ნაბ. 4.1.2. წლის ცენტრალური ამნიდი

V კლასის ამინდი (მზიანი, მოღრუბლეული დამით) ხშირად განპირობებულია ატმოსფერული ფრონტის გაგლით დამით, ხოლო ზღვის-

პირა რაიონებში, ერთგვაროვანი პაერის მასის პირობებშიც – დამით წლის თბილ პერიოდში არამდგრადობის წარმოშობით ხმელეთიდან შედარებით უფრო თბილი ზღვის ზედაპირზე.

უველა ასეთ ამინდის დროს შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული კლიმატოთერაპია. რაღაც უხერხელობა შეიძლება შეიქმნას I კლასის ამინდის დროს (მზიანი, ძალიან ცხელი და ძალიან მშრალი), უმტერესად შეადგისას, როცა წარმოიშობა საშიშროება ორგანიზმის გადახურებისა. III და V კლასების ამინდი I და II კლასების ამინდგბისაგან განსხვავდება შედარებით დაბალი ტემპერატურებით და მაღალი სინოტივით. ასეთი ამინდის დროს ადგილი აქვს კომფორტულ სითბოშეგრძებას, ამიტომ იგი კლიმატოთერაპიის თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელად ითვლება.

დღისით მოღრუბლებით ამინდი (IV კლასი) უნალექოდ და ნალექით აღინიშნება ფრონტის გავლის დროს მოცუმულ ტერიტორიაზე, მაგრამ უფრო ხშირად დაიკვირვება პაერის მასის ტრანსფორმაციის პერიოდში (გათბობის), რომელიც მიმდინარეობს შედარებით საშუალო უნერგეტიკულ ბაზაზე, რაც დამახასიათებელია შუა განედების სარტყლისათვის წლის თბილ პერიოდში. ასეთი ამინდის დროს ზაფხულში ჩვეულებრივ იქმნება ხელსაყრელი პირობები უველა სახის კლიმატოთერაპიული პროცედურებისათვის. დღისის საათებში აეროთერაპიის პირობები თითქმის იგივეა რაც მზიანი ამინდის დროს, მაგრამ 11-12 საათისათვის დრუბლიანობის განვითარება ქმნის თავისებურ მზის აბაზანების მაჟულსირებელ ხასიათს, რადგანაც მზის პირდაპირი რაღიაციის შემოსვლა დროდადრო გაძნელებულია დრუბლიანობის მაჟრანირებელი გავლენის შედეგად. ფრონტალური პროცესების შედეგად

წარმოშობილ დღის მოღრუბლებიას ხშირად თან სდევს ხანგრძლივი წვიმა, ამიტომ შესაძლებელია განვითარდეს არახელსაყრელი მეტეოროპული რეაქციები, რაც გამოწვეულია მეტეოროლოგიური პირობების მკვეთრი ცვლილებით. ბუნებრივია, რომ ამასთან კლიმატოთერაპიის პირობები ხდება არახელსაყრელი.

მოღრუბლები (VI კლასი) და მითუმეტეს წვიმიანი (VII კლასი) ამინდი, ჩვეულებრივ, ფრონტალური წარმოშობისა და თან სდევს უმტერესი მეტეოროლოგიური ელემენტების არაპერიოდული ცვალებადობა, რომლის დროსაც წარმოიშობა მეტეოპატიური რეაქციები და მწვავდება ზოგიერთი ქრონიკული ავადმყოფობა.

ძალიან ცხელი და ძალიან ხოტიო ამინდი (ხოტიოტოპიკული) (XVI კლასი), დღე-დღამური ტემპერატურით $> 22.5^{\circ}\text{C}$ და საშუალო დღე-დღამური შეფარდებითი სინოტივით $> 80\%$ დამახასიათებელია სითბოსა და სინოტივის ერთობლივი სიჭარბით. ასეთ შემთხვევაში ადამიანის თერმორეგულაცია მკვეთრად იძაბება და ხანგახან, როცა

ჰაერის ტემპერატურა აჭარბებს ადამიანის სხეულის ტემპერატურას, არ შეუძლია მთლიანად თავი გაართვას ორგანიზმის მიერ აუცილებელი რაოდენობის სითბოს გაცემას. ასეთი ამინდის დროს ორგანიზმის გადახურება შეიძლება უფრო აღრე დაიწყოს ვიდრე მშრალი გვალვიანი ამინდის დროს (I კლასი).

ამინდი, როცა ტემპერატურა გადადის 0⁰ჩ.-ზე ჩვეულებრივ შეესაბამება პირობებს, როცა დღე-დამტერი რადიაციული ბალანსი ახლოა ნულთან და შეიძლება იყოს როგორც ღრუბლიანი (VII კლასი), ისე მზიანი (IX კლასი).

VIII კლასის ამინდი, ხშირად ნალექით და ქარით, ჩვეულებრივ განპირობებულია აგრძელებული ფრონტის გავლით. ამიტომ, ასეთი ამინდის დროს, განსაკუთრებით შემოდგომით, შეიძლება წარმოიშვას უარყოფითი მეტეოროპული რეაქციები. ასეთ პირობებში კლიმატო-თერაპიის ჩატარება არასასურველია, ისევე როგორც მოღრუბელულ და წვიმიან პირობებში.

მზიანი ამინდი ტემპერატურის გადასვლით 0⁰C (IX კლასი) წარმოიშობა, როგორც წესი, ანტიციკლონალურ პირობებში. ასეთი ამინდის დროს წარმოიქმნება საკმარისად ხელსაყრელი პირობები კლიმატით მკურნალობისათვის და განსაკუთრებით კარგი პირობები სეირნობისა და კლიმატო-თერაპიის ჩასატარებლად სპეციალურ ვერანდებზე და სხვ. დღის პირველ ნახევრაში.


ამინდის კლასების განაწილება განიხილება კლიმატური სეზონების მიხედვით, რომლის საზღვრები დადგენილია კ. ილიჩევასა და კ. ჩუბუკოვის მიერ [2,3].

კლიმატის სტრუქტურის გრაფიკები ქობულეთის, ჩაქვის, მწვანე კონცენტრაციისათვის გვაძლევს შემდეგ სურათს (ნახ. 4.1.3).

ზამთარი. რადიაციული ბალანსი ზღვის სანაპირო ზოლში ახლოა ნულთან, რის შედეგადაც ადგილობრივი გადაცივების პროცესები გამოსახულია შედარებით სუსტად. ძირითად გავლენას ამინდზე ზამთარში ახდენს სხვადასხვა წარმოშობის ანტიციკლონები. მაგრამ, ამასთანავე არსებითია ციკლონური მოქმედების გავლენაც, რომელთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული პაერის მასების აღვენებია ზღვიდან.

ზამთრის თვეებში აჭარის სანაპირო საკურორტო ზონისათვის დამახასიათებელია უყინვო ამინდი II კლასიდან (მზიანი, ზომიერად მშრალი და ცხელი) მე-VII კლასამდე (წვიმიანი). უყინვო ამინდების კლასებიდან უმეტეს შემთხვევაში დაიკვირვება მზიანი, ზომიერად ნოტიო და ნოტიო (III კლასი) და აგრეთვე წვიმიანი (VII კლასი) ამინდები. პირველის განმეორადობა განსახილველი ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში (ქობულეთის რაიონი) შეადგენს 14-21% (4-6 დღე თვეებში), სამხრეთით იგი იზრდება და ჩაქვის რაიონში აღწევს 28-43%-

ს (8-13 დღე), ხოლო მწვანე კონცხზე 47%-ს (14 დღე). ბათუმის რაო-ონში ამ ამინდის განმეორადობა რამდენადმე დაბალია – 27-34% (8-10 დღე თვეში). ამასთან, უდიდესი განმეორადობა დამახასიათებელია დეკემბრისათვის, ხოლო უმცირესი – თებერვლისათვის.



ნახ. 4.1.3. კლიმატის სტრუქტურა ამინდებში: 1-ქობულეთი; 2-ჩაქვი; 3-მწვანე კონცხი; 4-ბათუმი.

საშუალო დღე-დამური ტემპერატურები III და V კლასის ამინდების დროს ძირითადად მოქცეულია $2.5 - 12.4^{\circ}\text{C}$ ფარგლებში. მე-III კლასის ამინდის დროს ზოგიერთ შემთხვევაში, განსაკუთრებით ბათუმის რაიონში, აღინიშნება ტემპერატურა ამ საზღვარზე ზევით, ხოლო მე-VII კლასის ამინდის დროს ერთეულ შემთხვევებში იგი შეიძლება დავიდეს 2.5°C -ზე დაბლა.

IV და V კლასების (ნალექით და უნალექოდ) უყინვო ამინდები დაიკვირვება შედარებით იშვიათად – 2-3 დღე თვეში.

II კლასის ამინდი (მზიანი, ცხელი და მშრალი) დაიკვირვება იშვიათად, ამასთან, უმეტესად სამხრეთ რაიონებში, სადაც მათი განმეორადობა აღწევს 5-11% (1-3 დღე თვეში).

განმეორადობა ამინდის ტემპერატურის გადასვლით 0°C -ზე განონ-ზომიერად ცვალებადობს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ასე, თუ ქობულეთის რაიონში IX კლასის ამინდის განმეორადობა არის 18-22% (5-7 დღე), ხოლო VIII კლასის ამინდისა – 5-12% (2-4 დღე თვეში), ბათუმის რაიონისათვის ამ ამინდების განმეორადობა ძალიან მცირეა – 3-5 და 2-8% შესაბამისად, ე.ო. 1-2 დღე თვეში. ამასთან, საშუალო დღე-დამური ტემპერატურები იშვიათად ეშვება 0°C -ზე დაბლა და ძირითადად 2.5-დან $8-10^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებშია მოქცეული.

გაზაფხული. ზამთრიდან გაზაფხულზე გადასვლა ხდება თანდათანობით და მარტი თავისი ამინდის პირობებით მცირედ განსხვავდება თებერვლისაგან. თუმცა, სუსტი დათბობა მაინც აღინიშნება და ამინდი ტემპერატურის გადასვლით 0°C -ზე დაიკვირვება უფრო იშვიათად – 1-4 დღის განმავლობაში და აპრილში პრაქტიკულად არ არის.

მარტში სჭარბობს დრუბლიანი ამინდი (IV,VI,VII, VIII კლასები), განსაკუთრებით სანაპიროს ჩრდილო რაიონებში (ქობულეთის რაიონი), აპრილში განმეორადობა მზიანი და ლრუბლიანი ამინდისა თითქმის ერთიდაიგივეა, თუმცა სჭარბობს III და VII კლასის ამინდები. ასეთი კლასის ამინდების განმეორადობა მარტში იზრდება თებერვალთან შედარებით 2.4%-ით. აპრილში იზრდება III კლასის ამინდის განმეორადობა 22-23%-მდე. გაზაფხულზე უკვე წნდება II კლასის ამინდი, უმეტესად სამხრეთ რაიონებში. დღე-დამური საშუალო ტემპერატურები ყველა უყინვო ამინდის დროს, ისევე როგორც ზამთრის თვეებში, ძირითადად მოქცეულია $2.5 - 12.4^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში. ხელოდ მზიანი, ზომიერად ნოტიო (მე-III კლასი) ამინდის დროს აპრილში იგი შედარებით მაღალია.

ზაფხული. ზაფხულში სჭარბობს მზიანი ამინდი (55-64%) ძირითადად III კლასის, რომლის განმეორადობა იგნისსა და სექტემბერში შეადგენს 37-45%-ს (11-14 დღე თვეში). ივლისსა და აგვისტოში იგი

რამდენადმე მცირდება XVI კლასის ამინდის (ნოტიოტროპიკული) განმეორადობის ზრდის ხარჯზე.

ზაფხულში სინოპტიკული პროცესების საერთო შესუსტება იმ მთა-თა ქედების გავლენასთან ერთად, რომლებიც სამშერივ არტყია კოლ-ხეთის დაბლობს, აქ და კერძოდ ზღვისპირა ზონაში ხელს უწყობს ჰაერის შეგუბებას. ნალექიანი ამინდის განმეორადობა მცირედ იც-კლება გაზაფხულის მეორე ნახევარში მის განმეორადობასთან შედარებით. დღეთა რიცხვი ნალექიანი ამინდით შეადგენს 4-6 დღეს ოვე-ში, სექტემბერში იზრდება 8-10 დღემდე, თუმცა ნალექების ინტენსი-ვობა იზრდება და ნალექი ხშირად მოდის თავსებმა წვიმის სახით.

მაღალი ტემპერატურისა და დიდი სინოპტიკის ერთობლიობა ხში-რად აპირობებს ძალიან ცხელი და ნოტიო ამინდის (XVI კლასი) წარმოშობას, რაც იწვევს ხუთვის შეგრძებას. ასეთი ამინდი დაიკ-ვირვება იგნისიდან სექტემბრის ჩათვლით განმეორადობის მაქსიმუ-მით აგვისტოში. განსახილვები სანაპიროს ჩრდილოეთ რაიონებში იგი შეადგენს 48%-ს (15 დღე), ხოლო მთელი ზაფხულის სეზონში აღწევს 29 დღეს. სამხრეთით ამ ამინდის განმეორადობა მცირდება და ბათუმის რაიონში შეადგენს მხოლოდ 15 დღეს.

ნოტიოტროპიკული (XVI კლასის) ამინდის დროს ორგანიზმის გა-დახურება შეიძლება მოხდეს უფრო ქარა, ვიდრე I კლასის ამინდის დროს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 45-55% შემთხვევაში ამინდის ეს ტიპი დაიკვირვება ქარის დროს, რომელიც მიმართულია ზღვიდან ხმელეთისაკენ. ამ დროს მცირდება დღის ხუთვა და სიცხე ადვილად გადასატანია.

საშუალო დღე-დამური ტემპერატურა ყველა კლასის ამინდის დროს, რომელიც დაიკვირვება ზაფხულში (XVI კლასის გამოკლე-ბით), მოქცეულია ძირითადად $12.5-22.4^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში, თუმცა ბა-თუმის რაიონში III კლასის ამინდის დროს საშუალო დღე-დამური ტემპერატურა ხშირად აჭარბებს ამ ზღვარს, ივლისსა და აგვისტოში.

შემოდგომა. ზაფხულიდან შემოდგომისაკენ სხვადასხვა კლასის ამინდის განმეორადობა განსახილვები ტერიტორიაზე მცირდება. ტემპერატურის რამდენადმე დაწევის გამო XVI კლასის ამინდი უკეთ აღარ დაიკვირვება. სამაგიროდ იზრდება II კლასის ამინდის განმეორადობა 42-54%-მდე (13-17 დღე) ოქტომბერში და 36-50%-მდე (12-16 დღე) ნოემბერში. ნოემბერში, ერთეულ შემთხვევებში, დაიკვირ-ვება ამინდი ტემპერატურის გადასვლით 0⁰ჩ-ზე, უმცირესად მოწმენდი-ლი ამინდის დროს (IX კლასი). სამხრეთ რაიონებში 5-9% შემთხვევა-ში (2-3 დღე თვეში) შესაძლებელია დადგეს II კლასის ამინდი.

უყინვო ამინდების სხვა კლასების განმეორადობა სექტემბრიდან ოქტომბერზე გადასვლის დროს დიდად არ იცვლება.

ბუნებრივია, რომ ამ კლასების ამინდის განმეორადობა წლიდან წელზე იცვლება. მაგალითად, ბათუმში თბერვალში 1951 წელს დღეთა რიცხვი IV კლასის ამინდით შეადგენდა 14-ს, მრავალწლიური კი 2-ს. იანვარში 1955 წელს III კლასის ამინდი დაიკვირვებოდა 15 დღეს, მრავალწლიური საშუალო კი 8 დღეა.

ამინდის მდგრადობა. ამინდის მნიშვნელოვანი მასასიათებელია მისი მდგრადობა, რაც გამოსახულია მიმდგვარ დღეთა რიცხვით ერთოდაიგრევე კლასის ამინდით.

I კლასი – მზიანი, ძალიან მშრალი და ძალიან ცხელი ამინდი, იშვიათად წარმოიშობა და მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში გრძელდება.

II კლასი – ზომიერად მშრალი და ზომიერად ცხელი. ამინდის მდგრადობა არ არის დიდი. ოქტომბრიდან მაისის ჩათვლით განხილულ ათწლიან პერიოდში თანმიმდევრობით მხოლოდ სამი დღის განმავლობაში აღინიშნებოდა. დეკემბერში, ერთეულ შემთხვევებში, შეიძლება აღინიშნოს 7 დღის განმავლობაში ივნისიდან ოქტომბრის ჩათვლით. ეს ამინდი იშვიათად დაიკვირვება, ამასთან ერთ დღეზე მეტსანს არ გრძელდება.

III კლასი – მცირედრუბლიანი ამინდი. ხასიათება დიდი ხანგრძლივობით. უფრო ხშირად ასეთი ამინდი შენარჩუნდება თანმიმდევრობით 4-5 დღეს, თუმცა ერთეულ შემთხვევებში ზამთრის თვეებში შეიძლება გაგრძელდეს 6-7 დღესაც, შემოდგომის თვეებში კი 9-11 დღეს.

IV კლასი – დღისით მოღრუბლული ამინდი (ნალექით ან უნალექოდ). აჭარის სანაპირო ზონაში არამდგრადია. ჩვეულებრივ შენარჩუნდება 1-2 დღეს, იშვიათად 3-4 დღეს.

V კლასი – დამით მოღრუბლული ამინდი (ნალექით ან უნალექოდ). არამდგრადია ისევე როგორც IV კლასის ამინდი, რაც უფრო დამახასიათებულია აჭარის სანაპიროს სამხრეთ რაიონებისათვის.

VI კლასი – ღრუბლიანი ამინდი. უფრო მდგრადია ვიდრე IV კლასის ამინდი. სამხრეთ რაიონებში ზაფხულის თვეებში იგი თანმიმდევრობით შეიძლება შენარჩუნდეს 4 დღეს. ასეთი უწყვეტი სანგრძლივობა ამ ამინდისა განსახილველ პერიოდში აღინიშნა მხოლოდ ერთხელ. ხშირად კი იგი გრძელდება 1-2 დღეს.

VII კლასი – წეიმიანი ამინდი. ხასიათება დიდი მდგრადობით. აპრილიდან აგვისტოს ჩათვლით იგი თანმიმდევრობით შენარჩუნდება 3-4 დღეს. ამ ამინდის უდიდესი მდგრადობა აღინიშნება ოქტომბერ-ნოემბერში – 9-11 დღე და თებერვალ-მარტში – 7-8 დღე. ასეთი დიდი მდგრადობა აღინიშნებოდა მხოლოდ თითოვჯერ განსახილველ პერიოდში.

XVI კლასი – ძალიან ცხელი და ძალიან ნოტიო (ნოტიოტროპიკული) ამინდი. ყველაზე მდგრადია იმ კლასების ამინდებს შორის, რომელიც დაიკვირვება ზაფხულის სეზონში. ბათუმის რაიონში ივლის-სა და სექტემბერში იგი გრძელდება თანმიმდევრობით 4 დღეს, ხოლო აგვისტოში 5-6 დღეს და ზოგჯერ 16 დღესაც. ჩრდილოეთ რაიონში იგი უფრო მდგრადია ვიდრე სამხრეთ რაიონში. ივლისში ქობულეთის რაიონში ეს ამინდი თანმიმდევრობით გრძელდება 9-11 დღეს და ხანდახან 21 დღესაც.

VIII კლასი - ამინდი ტემპერატურის გადასვლით 0⁰ჩ-ზე, დღისით მოღრუბლელობით, რომელიც დამახასიათებელია წლის ცივი პერიდისათვის. VII კლასის ამინდთან შედარებით ნაკლებად მდგრადია. იგი თანმიმდევრობით შენარჩუნდება მხოლოდ 2 დღეს, ზოგიერთ თვეში კი 3-3 დღეს. მხოლოდ თებერვალში ეს ამინდი უფრო მდგრადი ხდება და ერთეულ შემთხვევებში თანმიმდევრობით შეიძლება შენარჩუნდეს 4-5 დღეს და ზოგჯერ 7-8 დღესაც.

IX კლასი - ამინდი ტემპერატურის გადასვლით 0⁰ჩ-ზე მზიანი დღისით. უფრო მდგრადია სანაპიროს ჩრდილოეთ რაიონებში, სადაც განსახილველ პერიოდში შენარჩუნდება თანმიმდევრობით 2-3 დღეს თვეში 2-5 შემთხვევაში (დეკემბრიდან მარტის ჩათვლით). თვეში ერთხელ იგი შეიძლება გაგრძელდეს 5-6 დღეც. ამინდის კონტრასტულობა და შეუღლებულობა მოცემულია ე. სუხიშვილის შრომაში [4].

4.2. ტემპერატურისა და ტენიანობის კომპლექსი

მრავალრიცხოვანი ტექნიკური, სამშენებლო და სამედიცინო პიგიენური საჭიროებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტემპერატურისა და ფარდობითი ტენიანობის სხვადასხვა მნიშვნელობათა კომპლექსის ცვდნას.

აჭარისათვის ეს კომპლექსი დახასიათებულია ბათუმის მონაცემებით (იხ.ცხრ.4.2.1). ცხრილის მონაცემების ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, თუ რა საზღვრებში ცვალებადობს ერთ-ერთი ელემენტი მეორის ცვლილებისას.

ბათუმისათვის ყველაზე მაღალი განმეორადობა აღინიშნება 15-20⁰ ტემპერატურისა და 85-90% ჰაერის ფარდობითი ტენიანობის დროს. უარყოფითი ტემპერატურების დროს ბათუმში ტენიანობის დაბალი მნიშვნელობა საერთოდ არ გვხვდება. 40% და მეტი ტენიანობა გვხვდება ერთეულოვან შემთხვევაში, კერძოდ 25 წლის დაკვირვებულიდან მხოლოდ 35-ჯერ.

ცხელი დღეებისათვის, როდესაც ტემპერატურა 25⁰ და მეტია (ასეთი დღეების განმეორადობა 8%-ია) ტენიანობის ყველაზე აღბათური მნიშვნელობაა 66-80%, რაც არსებულ შემთხვევათა 5%-ს შეადგენს.

ცხრილი 4.2.1.ტემპერატურის და ფარდობითი ტენიანობის კომ-
პლექსის განმეორადობა, (%). ბათუმი (განმეორადობა ნაკლები 0.1%
აღნიშნულია წერტილით)

ტენიანობა %	ტემპერატურაზე									Σ
	-5.0 -10	0.0 4.9	5.0 9.9	10.0 14.9	15.0 19.9	20.0 24.9	25.0 29.9	≥ 30.0		
11-15					0.1					0.1
16-20					0.1	0.1			.	0.2
21-25			0.1	0.2	0.5	0.3	0.1	.		1.2
26-30			0.1	0.5	0.8	0.3	0.2	.		1.9
31-35			0.2	0.7	0.6	0.4	0.2	.		2.1
36-40			0.3	0.9	0.7	0.4	0.2	.		2.5
41-45		0.1	0.5	0.9	0.8	0.4	0.2	.		2.9
46-50		0.2	0.6	0.9	0.7	0.5	0.1	.		3.0
51-55		0.2	0.8	0.9	1.0	0.6	0.3			3.8
56-60		0.2	0.8	0.9	1.0	1.1	0.3			4.3
61-65	0.1	0.4	0.7	1.1	1.1	1.9	0.5	.		5.8
66-70	0.0	0.3	1.0	1.3	1.5	2.0	1.4	.		7.5
71-75	0.0	0.4	1.3	1.6	1.7	2.6	2.5			10.1
76-80	0.1	0.7	1.5	1.7	2.1	2.5	1.2			9.8
81-85	0.1	0.8	1.9	2.4	2.9	2.9	0.4			11.4
86-90	0.0	1.5	2.9	2.5	3.9	3.0				13.8
91-95	0.1	2.5	2.9	3.3	3.0	1.9				13.7
96-100	0.1	1.1	1.6	1.4	1.1	0.3				5.6
განმეორადობა	0.5	8.4	17.2	21.2	23.6	21.2	7.6	0.3	100%	
უზრუნველყოფა	100	99.5	91.1	73.9	52.7	29.1	7.9	04		

ეს კომპლექსი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ შედარებით დაბალი ტემპერატურების დროს ტენიანობის მინიმალური სიდიდეები იშვიათად ეცემა 50%-ზე დაბლა, ხოლო მცირე ტენიანობისა და ტემპერატურის მაღალი მნიშვნელობის კომპლექსისათვის ერთგულოვანი შემთხვევებია აღრიცხული.

4.3. ქარის და წვიმის ერთობლივი ზემოქმედება

გერტიკალურ ზედაპირზე

ქარის და წვიმის ერთობლივი ზემოქმედების შეფასება აქტუალური გახდა სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ინტენსიური განვითარების გამო, განსაკუთრებით გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან. ასეთი ზემოქმედების შედეგად უარესდება შენობათა კედლების სტრუქტურა, ირდვევა ნაგებობათა ფასადი, ჩქარდება არმატურის კოროზია და ა.შ.

შენობაზე ქარის და წვიმის (ე.წ. ირიბი წვიმები) ერთობლივი ზემოქმედების დადგენა შესაძლებელია ორი მეთოდით – ანალიზურით

და ექსპერიმენტულით. ჩვენს მიერ განსაზღვრულ იქნა ირიბი წვიმების ზემოქმედება აჭარის ტერიტორიაზე ანალიზური მეთოდით. არსებული ჰიდრომეტეროლოგიური მონაცემების ბაზაზე დამუშავებული მეთოდიკის საფუძველზე განსაზღვრული იქნა ირიბი წვიმების რაოდენობრივი მახასიათებლები აჭარის ტერიტორიაზე მდებარე სხვადასხვა პუნქტებისათვის.

საქართველოს რთული ოროგრაფიული და კლიმატური პირობები განსაზღვრავენ ირიბი წვიმების ზემოქმედების დიდ მრავალფეროვნებას. აჭარის სანაპირო ზოლში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი გავლენა კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ, შიდა და სამხრეთ რაიონებში. აღნიშნულ რაიონებში ვერტიკალურ ზედაპირზე მოსული ნალექების რაოდენობა შეიძლება 70-80%-ით აღემატებოდეს მათ საერთო რაოდენობას.

მიღებული შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ აჭარის ტერიტორიაზე შენობების ზედაპირი განიცდის ირიბი წვიმების ინტენსიურ ზემოქმედებას, რაც განპირობებულია იმით, რომ მისთვის დამახასიათებელია დიდი ინტენსივობის და ხანგრძლივობის წვიმები [5].

ბათუმში ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა, მოსული პორიზონტალურ ზედაპირზე, 10-ჯერ მეტია ვიდრე მამისონის გადასასვლელზე, ვერტიკალურ ზედაპირზე კი ეს თანაფარდობა მცირდება 1.6-მდე. თუ შედარებებს გავკეთებთ მხოლოდ საშუალო წლიური მონაცემებით ან ინდექსით, მაშინ შეიძლება დაგასკვნათ, რომ ბათუმი მდებარეობს ირიბი წვიმების ინტენსიური ზემოქმედების პირობებში, ხოლო მამისონის უდელტეხილზე შენობები არ განიცდიან მნიშვნელოვან ზემოქმედებას (ცხრ.4.3.1). აქედან გამომდინარე, ირიბი წვიმების თვიური რაოდენობა უფრო მეტად ასახავს შენობებზე ირიბი წვიმების ზემოქმედების ინტენსიურობას, ვიდრე ხარისხობრივი მახასიათებელი ე.წ. ინდექსი. ამიტომ, ჩვენს მიერ გარდა ხარისხობრივი მახასიათებელისა განსაზღვრულ იქნა ირიბი წვიმების რაოდენობები თვეების მიხედვით და მათი ტერიტორიული განაწილება. მიღებული შედეგების ანალიზმა გვიჩვნა, რომ ირიბი წვიმების თვიური რაოდენობა აჭარის ტერიტორიაზე იცვლება ფართო საზღვრებში.

კლიმატის გლობალური ცვლილების თანამდეროვე პირობებში გარკვეული ცვლილება განიცადა რეგიონალურმა კლიმატმა, მათ შორის საქართველოს კლიმატმაც. ყოველივე ეს კარგიდ აისახა „კლიმატის ცვლილების ეროვნული პროგრამის“ შესაბამისად შესრულებულ ანგარიშებში, რომლებიც ეხება ტემპერატურებისა და ატმოსფერული ნალექების გელების ცვლილებას.

ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამები 1937-1963 და 1964-1990 წლებს შორის შეიცვალა მინუს 20 პლუს 15%-ის ფარგლებში. მათი ზრდის ევლაზე დიდი მნიშვნელობები აღინიშნა აჭარის სამხრეთ

მთიან რაიონებში. ნალექები აგრეთვე გაიზარდა აჭარის სანაპირო ზოლში, ხოლო მნიშვნელოვანი კლება აღინიშნა კავკასიონის მა-დალმთიან ზონაში და გურია-აჭარის მთებში (5-დან 15%-მდე).

ცხრილი 4.3.1.პორიზონტონტალურ ზედაპირზე მოსული ნალექების (H_g) შედარება ირიბი წვიმების მახასიათებლებთან (I , H_r , $H_{r\max}$)

სადგურის დასახელება	ნალექების წლიური რაოდენობა (მმ)		ირიბი წვიმების ინდექსი (მ/წ) (მ/წ)	ირიბი წვიმების მაქსიმალური რაოდენობა (მმ) $H_{r\max}$
	H_g	H_r		
ბათუმი, შუქურა	246	260	1.13	85
მამისონის გადასასვლელი	2360	1120	5.0	136
შეფარდება	9.6	4.4	4.4	1.6

თუ როგორ აისახა ეს ცვლილებები ქარის და წვიმის ერთობლივი ზერმძღვებისას ვერტიკალურ ზედაპირზე შეიძლება ვიმსჯელოთ ცხრილიდან 4.3.2, სადაც წარმოდგენილია ვერტიკალურ ზედაპირებზე მოსული ნალექები 1940-1965 და 1966-1990 წლებში და მათი ცვლილება.

ცხრილი 4.3.2.ვერტიკალურ ზედაპირზე მოსული ნალექები ა) 1940-1965 წწ; ბ) 1966-1990 წწ. მრიცხველში - ნალექების ჯამი მმ-ში, მნიშვნელში - განაწილება მმ-ში.

სადგური	პერიოდი	ქარის მიმართულება							
		წ	წა	ა	სა	ს	სდ	დ	წდ
ბათუმი	ა	67/9 68/9	60/8 60/8	89/11 83/11	97/13 121/16	90/12 91/12	180/24 173/23	105/14 98/13	97/9 60/8
ხულო	ა	112/26 120/29	91/21 79/19	4/1 4/1	4/1 12/3	103/24 112/27	86/20 62/15	13/3 8/2	17/4 17/4
ჩაქვა	ა	19/3 19/3	25/4 25/4	82/13 83/13	207/33 210/33	44/7 44/7	113/18 114/18	94/15 95/15	44/7 44/7
ქედა	ა	18/2 18/2	20/4 20/4	82/13 83/13	202/ 208/	40/5 40/5	116/18 114/18	94/15 95/15	48/7 48/7

აჭარის ტერიტორიაზე (სანაპირო ზოლში) ვერტიკალური ნალექების ცვლილება უნდა აიხსნას, ძირითადად, აქ ქარის რეჟიმის ცვლილებით, კერძოდ დიდი სიჩქარის ქარების განმეორადობით. საზოგადოდ, დამოკიდებულება პორიზონტონტალურ ზედაპირზე მოსული ნალექების ცვლილებასა და ვერტიკალურ ზედაპირზე მოსული ნალექების ცვლილებას შორის არ არის ცალსახა. ვერტიკალურ ზედაპირზე მო-

სული ნალექების შემცირება ძირითადად განპირობებულია ნალექების საერთო რეჟიმით – მათი შემცირებით პორიზონტალურ ზედაპირზე. ზოგიერთ ქალაქებში (თბილისი, გორი) და აგრეთვე აჭარის მთიან რაიონებში (ხულო, ქედა), სადაც ქარის სიჩქარე ბოლო 30 წლის მანძილზე შემცირდა მწვანე ნარგავების განაშენიანების გამო (მთასაბუეთი, ხულო, ქედა), ვერტიკალურ ზედაპირზე მოსული ნალექები შემცირდა მნიშვნელოვნად, თუმცა პორიზონტალურ ზედაპირზე ნალექების საერთო რაოდენობა უმნიშვნელოდ შეიცვალა [5].

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ე. ელიზბარაშვილი, ზ. ქარსელაძე, თ. ალადაშვილი. აჭარის საკურორტო კლიმატური დარაიონება. პიდრომეტეროლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული. 2001 წ. ტ. 102, გვ. 101-105.
2. Чубуков Л.А. Комплексная климатология. М. Л. Изд-во АН СССР. 1949.
3. Ильичёва Е.М., Признаки климатических границ сезонов и их продолжительность по территории СССР. Вопросы курортологии и физиотерапии и лечебной физкультуры, 1969, №3, с. 267-275.
4. Сухишвили Э.В. Климатическое обоснование природно-курортных ресурсов Черноморского побережья Грузии. Труды ЗакНИГМИ, вып. 54 (60), 1977, с. 50-77.
5. ლ. ქართველიშვილი. კომპლექსური კლიმატური პარამეტრების განაწილებათა კანონზომიერებაზი საქართველოს ტერიტორიაზე და მათი სამშენებლო პრაქტიკაში გამოყენების პერსპექტივები. თბილისი, 2002.

თავი V. ამინდის საშიში მოვლენები

5.1. წაყინვები

აჭარის რეგიონის დაბლობ ნაწილში ძირითადად გეხვდება ნოტიოსუბტროპიკული კლიმატი. სითბოთი და ტენიო უზრუნველყოფა საშუალებას იძლევა გავაშენოთ ციტრუსები, ჩაი, ტექნიკური და სხვა კულტურები. სამწუხაროდ, არსებობს რიგი პირობები, რომლებიც ხელს უშლის რაიონის რესურსების უფრო სრულად გამოყენებას, მათ შორის ერთ-ერთი ძირითადი ხელისშემსლელი ფაქტორია წაყინვები.

წაყინვების კლიმატური თავისებურებების ანალიზი, მათი დროში და სივრცეში განაწილების ცოდნა აუცილებელია სოფლის მეურნეობის სწორად გაძლიერისათვის. წაყინვების განმეორადობა, ხანგრძლივობა, ინტენსივობა, შემოდგომის პირველი და გაზაფხულის ბოლო წაყინვების დადგომის თარიღი და სხვა მახასიათებლების ცოდნა მოგვეხმარება მიწის უფრო რაციონალურად გამოყენებაში, წაყინვებისაგან მცენარეების დაცვის უვაებელური დონისძიებების შერჩევაში და მოსავლის დანაკარგების შემცირებაში.

როგორც მეტეოროლოგიაში არის მიღებული, წაყინვების ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ ჰაერის მინიმალური ტემპერატურის ხანმოკლე დროებით დაწევას $0^{\circ}\text{--}1^{\circ}$ დაბლა გაზაფხულზე და შემოდგომაზე დადებითი საშუალო დღე-დამური ტემპერატურის დროს. წაყინვები არათანბრადა განაწილებული წლების და თვეების მიხედვით. მათი ალბათობა მკეთრად იზრდება იმ წლებში, როდესაც ჰაერის ცივი მასების შემოჭრა აღნიშნულ ტერიტორიაზე დაიმზირება უფრო ხშირად, ვიდრე ჩვეულებრივად აქვს ამს ადგილი.

აგრომეტეოროლოგიაში აქტიური ვეგებაციის პერიოდად მიჩნეულია დროის ინტერვალი, როდესაც ჰაერის საშუალო დღე-დამური ტემპერატურა $\geq 10^{\circ}\text{--}1^{\circ}$. განსაკუთრებით საშიშია წაყინვები ამ დროს. ჩვენთვის საინტერესო გაზაფხულის უკანასკნელი და შემოდგომის პირველი წაყინვების დადგომის შორის არსებული დროის ინტერვალის ცოდნა, რომელიც ცნობილია უყინვო პერიოდის სახელით. ზოგიერთ წლებში აჭარაში ჰაერის მინიმალური ტემპერატურა საერთოდ არ ეცემა $0^{\circ}\text{--}1^{\circ}$ ქვევით და უყინვო პერიოდად შეიძლება მთელი წელი მივიჩნიოთ. გაზაფხულის წაყინვები აჭარაში, როგორც წესი, მარტის შუა რიცხვების შემდეგ აღარ გეხვდება. პირველი წაყინვები აჭარაში მოსალოდნელია დეკემბრის შუა რიცხვებში, მაღალმთიან მეტეოროლოგიურ სადგურებში შეიძლება ერთი თვით უფრო ადრეც. უყინვო პერიოდის საშუალო ხანგრძლივობა აჭარის რიგი მეტეოროლოგიური საღგურების მონაცემების მიხედვით მოგვიგს სათანადო ცხრილში 5.1.1. ამ ცხრილში მოყვანილი მასალები აღებულია სათანადო ცნობა-

რიდან, რომელიც ეყრდნობა დაკვირვების მრავალწლიანი მასალის ანალიზის შედეგებს.

ცხრილი 5.1.1.პირველი და ბოლო წაყინვების მოსალოდნელი თარიღი, უყინვო პერიოდის საშუალო ხანგრძლივობა, დღე

მეტეოსადგური	პირველი წაყინვა	ბოლო წაყინვა	საშუალო ხანგრძლივ ობა
ჯიხანჯირი	22/XII	15/III	281
ცეცხლაური	18/XII	16/III	276
ალამბარი	1/I	13/III	293
ქობულეთი	2/XII	30/III	246
ოჩხამური	4/XII	22/III	256
დაბგა	20/XII	12/III	282
მწვანე კონცხი (ქვედა)	17/XII	20/III	271
ჩაქვისთავი	19/XII	20/III	273
მახინჯაური	24/XII	12/III	286
ბათუმი (ქალაქი)	26/XII	11/III	289
პურტიო	18/XI	7/IV	224
მახუნცეთი	8/XII	19/III	263
ჭარნალი	20/XII	14/III	280
კაპანდიბა	1/I	9/III	297

როგორც ცხრილიდან ჩანს, სადგურების უმეტესობისათვის უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა მერყეობს 250-300 დღეს შორის. ცხადია, რომ ადგილის სიმაღლის ზრდის შესაბამისად მკვეთრად მცირდება უყინვო პერიოდის საშუალო ხანგრძლივობა.

უყინვო პერიოდი შედარებით ხანმოკლეა ქობულეთისა და ოჩხამურის მიდამოებში, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ აქ ადგილი გაშლილია და წლის ციკ პერიოდში ხშირია ინვერსიები, ხოლო ზაფხულში დღისით – ბრიზები, რომლებიც იწვევს, სათანადოდ, ტემპერატურის ფონის დაცემას. ანალოგიურად, მწვანე კონცხი (ქვედა) მდებარეობს ვიწრო ხეობაში ზღვის ნაპირის პარალელურად, რაც ამცირებს თბილი, ნოტიო ჰაერის მასების გავლენას და ზრდის მთა-ბარის ქარების ალბათობას, რომელიც ასევე იწვევს ტემპერატურული ფონის რამდენადმე დაბლა დაწევას. შედარებით სრული ინფორმაცია არსებობს აჭარის 6 მეტეოსადგურისათვის, სადაც ფიქსირებულია წაყინვების დადგომის უველაზე ადრეული და ყველაზე გვიან დაკვირვებული თარიღი და, შესაბამისად, ცნობილია უყინვო პერიოდის არა მარტო საშუალო, არამედ უდიდესი და უმცირესი ხანგრძლივობა (ცხრილი 5.1.2.).

ცხრილი 5.1.2.წაყინვების დადგომის თარიღი და უყინვო პერიოდის
ხანგრძლივობა

მეტეოსადგური	წაყინვის დადგომის თარიღი					
	უკანასკნელი			პირველი		
	თარიღი	წელი	დღე	თარიღი	წელი	დღე
ჩაქვი(აგრო) მწვანე კონცხი (ზედა) ბათუმი (შუქურა) ხულო ახალშენი ქედა	15/III 9/III 4/III 14/IV 8/III 21/III	30/I 26/I 24/I 5/III 26/I 5/II	20/IV 20/IV 2/IV 12/V 1/IV 24/IV	23/XII 29/XII 1/I 6/XI 7/I 4/XII	12/XI 10/XI 24/XI 30/IX 25/XI 1/X	3/XII 10/II 8/III 6/XII 26/II 12/I
მეტეოსადგური		უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა (დღე)				
		საშუალო	უმცირესი	უდიდესი		
ჩაქვი(აგრო) მწვანე კონცხი (ზედა) ბათუმი (შუქურა) ხულო ახალშენი ქედა		282 294 302 205 304 257	224 222 233 160 253 167	332 370 404 238 395 322		

თუ მაღალმთიან ხულოში და ქედაში უყინვო პერიოდის უმცირესი ხანგრძლივობა არ აღემატება 160-170 დღეს, ბათუმში და ახალშენში ეს პერიოდი 70-90 დღით უფრო ხანგრძლივია. უყინვო პერიოდის უდიდესი შესაძლო ხანგრძლივობა მოსალოდნელია ამ ორ სადგურზე და იგი შესაბამისად 395-405 დღეს შეადგენს. ბუნებრივია, რომ შედარებით მცირე ტერიტორიაზე უყინვო პერიოდის ასეთ დიდ საზღვრებში ცვალებადობა გამოწვეულია ცირკულაციური და ოროგრაფიული ფაქტორებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გამოვლინდება მიკროკლიმატის თავისებურებაში, ფლორის და ფაუნის მრავალფეროვნებაში და ა. შ.

ჩვენ უფრო დეტალურად შევისწავლეთ ბათუმში და ჩაქვში ვეგებაციის პერიოდში წაყინვების რიგი თავისებურება 1941-1975 წლების მასალების ანალიზის საფუძველზე და მოგვეცა რიგი კონკრეტული დასკვნების გაკეთების საშუალება. ამ პერიოდში ჩაქვში აღილი ჰქონდა წაყინვების 101, ხოლო ბათუმში – 60 შემთხვევას. თვეების მიხედვით უფრო მოსალოდნელია წაყინვები მარტში, საშუალოდ, 2.6

შემთხვევა ჩაქვში და 1.5 შემთხვევა ბათუმში. აპრილში და ნოემბერში წაყინვები მოსალოდნელია 5 წელიწადში ერთხელ ჩაქვში და 10 წელიწადში ერთხელ ბათუმში. წაყინვების უდიდესი რიცხვი ერთ წელიწადში დამზერილია ჩაქვში 1965 წელს – 11 შემთხვევა, ხოლო ბათუმში 1953 წელს – 8 შემთხვევა. რაც შეეხება უმცირეს რაოდენობას, ორივე სადგურზე იყო წლები – (1943-1944 წწ), როცა წაყინვები საერთოდ არ არის დაფიქსირებული.

უფრო სრულად წაყინვიან დღეთა რიცხვი სხვადასხვა უზრუნველყოფით კოფით მოგვყავს ცხრილში 5.1.3.

ცხრილი 5.1.3. წაყინვიან დღეთა რიცხვი სხვადასხვა ურუნველყოფით

სადგური	უზრუნველყოფა (%)						
	5	10	25	50	75	90	95
ბათუმი	5	5	4	1			
ჩაქვი	9	8	5	2	1		
ქობულეთი	16	13	11	7	2	1	1

აღნიშნული ცხრილიდან ჩანს, რომ 50%-იანი უზრუნველყოფით, ანუ ყოველ მეორე წელს ბათუმში მოსალოდნელია 1 დღე წაყინვით, ჩაქვში 2, ხოლო ქობულეთში 7.

წაყინვების დიდი უმეტესობა ხანმოკლეა, ჩაქვში და ბათუმში წაყინვების 60% მხოლოდ ერთი დღე გრძელდება, ზედიზედ ორი დღის ალბათობა არ აღემატება 22-25%-ს და ა.შ. წაყინვის ხანგრძლივობა იმდენად მცირეა, რომ 4 ვადიანი დაკვირვების შემთხვევაში მათი დაფიქსირება ხდება არა ვადაზე, არამედ მინიმალური თერმომეტრის ჩვენების მიხედვით (60-70% შემთხვევებისა).

თავისი გამომწვევი მიზეზების მიხედვით შეგვიძლია განვასხვაოთ აღვეჭიური, რადიაციული და შერეული ტიპის წაყინვები. ჩაქვში ეს სამივე ტიპი თითქმის თანაბარი ალბათობით გვხვდება, ხოლო ბათუმში ადგილი აქვს აღვეჭიური ტიპის წაყინვების რაოდენობის საგრძნობ ზრდას სხვებთან შედარებით, კერძოდ 65%-მდე.

ჩვენი გამოკვლევა აჭარაში წაყინვების შესახებ არ იქნება სრული, თუ არ შევეხეთ კიდევ ერთ მახასიათებელს, მათ ინტენსივობას. სათანადო მონაცემები მოგვყავს ცხრილ 5.1.4.-ში.

ცხრილი 5.1.4. წაყინვების ინტენსივობა ჩაქვი, °C

ტემპერატურის გრადაცია	მდებარეობა	თ ვ ე ვ			ჯამი
		III	IV	XI	
დან	მდებარეობა				
0.0	-0.9	56		3	66
-1.0	-1.9	20	7	2	22
-2.0	-2.9	9			10
-3.0	-3.9	2	1	1	3
Σ		87	8	6	101

ბათუმი (ქალაქი)

ტემპერატურის გრადაცია		თ ვ ე			ჯ ა მ
დან	მდე	III	IV	XI	
0.0	-0.9	39	4	1	44
-1.0	-1.9	9	1	2	12
-2.0	-2.9	3		1	4
Σ		51	5	4	60

ჩაქში განხილულია 101 შემთხვევა და აქ პრაქტიკულად შეიძლება ყოველი შემთხვევის დროს პროცენტი ვიგულისხმოთ. ცხრილი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ წაყინვათა დიდი უმტკიცებები ჩაქში მარტის ოვეში გხევდება - 87%. ამავე დროს, მათი ინტენსივობა დიდი არ არის - 56%, ტემპერატურა ეცემა მხოლოდ - 1.0⁰-მდე. -2.0⁰-მდე ტემპერატურა ეცემა 20% შემთხვევაში და ა.შ.

ანალოგიური სურათია ბათუმში. აქაც წაყინვების დიდი უმტკიცებები გხევდება მარტში და მათგან 65% შემთხვევაში ტემპერატურა ეცემა -1.0⁰-მდე.

უკანასკნელ პერიოდში მეცნიერთა უმტკიცებება მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს კლიმატის გლობალური დათბობის ტენდენციას, აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ახლო მომავალში აჭარაში წაყინვების შემთხვევების და მათი ინტენსივობის ზრდას არ უნდა ველოდოთ.

5.2. ქარბუქი


ქარბუქი ორი ატმოსფერული მოვლენის ურთიერთკავშირის შედეგია. ერთის მხრივ, ეს ძლიერი ქარის მიერ თოვლის საფარიდან პაერში ატყორცნილი მოწყვეტილი მასაა (ქარის სიჩქარე ამ დროს 4-5 ბალია და მეტი) და, მეორეს მხრივ, თოვა ქარის თანხლებით.

მთელი რიგი პირობათა კომპლექსით განისაზღვრება ქარბუქის სიმძაფრე. ეს პირობებია: მოსული მყარი ნალექის რაოდენობა, თოვლის ფიფქის სტრუქტურა, თანმხლები ქარის სიჩქარე, ადგილმდებარეობის პორიზონტის დახურულობა, რელიეფის კონფიგურაცია, ამინდის ცვლილების ხასიათი და ბოლოს, ტემპერატურა და სინოტივე.

აჭარაში ქარბუქიან დღეთა რიცხვის განაწილების დროითი და სივრცითი დახასიათებისათვის გამოყენებულია აქ არსებული ყველა მეტეოროლოგიური სადგურისა და საგუშაგოზე ქარბუქის კომპონენტებზე დაკვირვებით მიღებული მასალა, რომელთა მრავალწლიური რიგი მოიცავს 1936 წლიდან 1990 წლამდე პერიოდს.

ქარბუქი უმტკიცესად ციკლონური წარმოშობისაა. თუ ციკლონი უახლოვდება გაძლიერებულ ანტიციკლონს, მოვლენა განსაკუთრებით მძაფრია და იგი საშიშ მოვლენას მიეკუთვნება. აჭარის ტერიტორიაზე გადმოადგილებული ციკლონები მძაფრდება რთული ორორგრაფიული სტრუქტურის გამო და შავი ზღვის სიახლოვთ.

ქარბუქის აქტიური მოქმედების კერები მესხეთის, შავშეთის და არსიანის ქედების თხემებია. აქ წელიწადში საშუალოდ 35 და მეტი რაოდენობა მოდის ქარბუქიან დღეებზე. 25-30 დღე ქარბუქით მოსალოდნელია ჩაქვა-ქობულეთის მთიანი სისტემის იმ ფერდობებზე, რომლებიც შემოჭრილი ცივი და ნოტიო პაერის მასების პერპენდიკულარულადაა განლაგებული (ნახ. 5.2.1).



ქარბუქის გამაფრება ადგილის სიმაღლის მატებასთან ერთად იზრდება. იგი ვერტიკალური ზონალობის კანონს ემორჩილება. 1100-1400მ მაღლივ ზონაში წელიწადში საშუალო ქარბუქიან დღეთა რაოდენ-

ობა 4-8-ს შეადგენს, 900-1100მ ზონაში 2-5-ს, ხოლო მთათა სისტემის ფუძეზე – 2-ს. აჭარის სანაპირო რაიონებში ქარბუქის მოვლენა შესაძლებელია, მაგრამ წელიწადში საშუალოდ 0,2 დღემდე მცირდება (ცხრილი 5.2.1).

ცხრილი 5.2.1.ქარბუქიან დღეთა საშუალო რიცხვი

სადგური	სიმად ლე ზღვის დონიდ ან, მ	X	XI	XI I	I	II	III	IV	V	VI	შე ფასი
მწვანე კონცხი (ზედა)	94			0.1		0.1					0.2
ბათუმი	2				0.1	0.1	0.1				0.2
ციმბარა	1210	0.4	2	3	4	3	3	0.7			16
ხულო	923	0.03	0.2	0.5	1	2	0.6	0.1			4
გოდერძის გადასასვლე ლი	2025	4	9	13	13	13	12	6	1	0.3	72

ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიული განსაკუთრებულობა ხშირად მოვლენის დიდ გამძაფრებას იწვევს. ნახტომისებურ ზრდას აქვს ადგილი გოდერძის გადასასვლელზე (2025 წ ზღვის დონიდან), სადაც წელიწადში ქარბუქიან დღეთა რიცხვი საშუალოდ 72-ს უტოლდება. დიდია ქარბუქიან დღეთა რიცხვი მთა მტირალზეც – 16 (1210 წ ზღვის დონიდან). ქარბუქის

უდიდესი დღეთა რაოდენობა აჭარის ტერიტორიაზე მოდის თებერვლის ოვენტე. მაგალითად, 900-1000მ მაღლივ ზონაში

ქარბუქიან დღეთა რაოდენობა თებერვალში 14-15-ს შეადგენს (ცხრილი 5.2.2).

ცხრილი 5.2.2.ქარბუქიან დღეთა უდიდესი რიცხვი

სადგური	X	XI	XII	I	II	III	IV	წელიწადი
მწვანე კონცხი (ზედა)					1			2
ბათუმი			2	1	1	2		3
ხულო	1	2	3	8	15	4	2	15

საკვლევ ტერიტორიაზე ქარბუქის მოვლენა მოსალოდნელია სექტემბრიდან ივნისამდე, მაგალითად, გოდერძის გადასასვლელზე.

აჭარაში ქარბუქანი დღეების რაოდენობა წლიდან წლამდე დიდი რყევადობით ხასიათდება. ქარბუქის მოქმედების სიხშირის შეფასებისას გამოირკვა, რომ ქარბუქიან დღეთა რიცხვის საშუალო არითმეტიკული გადახრა არის 13,8 მაღალმოიანეთში, ხოლო საშუალომთიანეთში 2,8-მდე მცირდება. ვარიაციის კოეფიციენტი 0,2-

დან 0,9-მდე მერყეობს მთელ ტერიტორიაზე. ვარიაციის კოეფიციენტი მაღალია იქ, სადაც ქარბუქი მხოლოდ ციფი ჰაერის მასების შემოჭრითაა გამოწეული (მაგალითად ხულოში იგი 0,86-ის ფარგლებშია). 2000-დან 3000მ მაღლივ ზონაში

სტანდარტული ცდომილება 3,8 შეადგენს, ფარდობითი - 10-11%, საშუალო მთიანეთში (850-1000მ) კი, შესაბამისად, 0,8 და 14%-ია.

ასიმეტრიისა და ექსცესის კოეფიციენტების სიდიდები ამტკიცებენ, რომ აჭარის ტერიტორიაზე ქარბუქიან დღეთა რიცხვის განაწილება უმეტესად ახლოს არის ნორმალურ განაწილებასთან.


გოდერძის უღელტეხილზე ქარბუქთა მოქმდების ჯამური ხანგრძლივობა წელიწადში 672,6 საათია, ერთი ქარბუქის მოქმედების დრო საშუალოდ 14,3 საათია. არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება ქარბუქიან დღეთა რიცხვსა და ქარბუქის მოქმდების პერიოდს შორის (ნახ. 5.2.2). ქარბუქი ძირითადად 12-დან 18 საათამდეა მოსალოდნელი, თუმცა არის ქარბუქის შემთხვევები 6-დან 12 საათამდეც.

აჭარის მაღალმთიანეთში ქარბუქის მოვლენების მაქსიმალური ხანგრძლივობა დეკამეტრ-თებერვალშია, საშუალო მთიანეთში კი იანვარ-თებერვალში.

საკვლევ ტერიტორიაზე 12-საათიანი ერთი უწყვეტი ქარბუქი 1000-1400მ მაღლივ ზონაში (საშიში ქარბუქი) დაიკვირვება, 1800-2000მ სიმაღლეზე კი ქარბუქი 24-36 საათიანი ხანგრძლივობით, ხოლო 2100მ სიმაღლეზე ქარბუქი 36 საათს და მეტ ხანს გრძელდება. ასეთი უწყვეტი ხანგრძლივობის განმეორადობა 2-4%-ია. ქარბუქი 3-4 დღიანი პერიოდის უწყვეტი ხანგრძლივობით რამდენჯერმე აღინიშნა გოდერძის გადასასვლელზე. მაგალითად, 1965 წლის 10-დან 14 აპრილამდე გოდერძის გადასასვლელზე ქარბუქი ოთხი დღის განმავლობაში უწყვეტად გრძელდებოდა.

საკვლევ ტერიტორიაზე ქარბუქის მოქმდების როგორც უწყვეტი, ისე ჯამური ხანგრძლივობანი კარგად ეთანხმება მის განაწილებას დროსა და სივრცეში. იქ სადაც ქარბუქის მოქმდების უწყვეტი ხანგრძლივობის პერიოდი 2 დღეზე მეტია, ვარიაციის კოეფიციენტი 0,6-ია, ხოლო იქ სადაც ის 12 საათიანია – 0,88-ს უტოლდება.

ქარბუქის მოქმდების ჯამური ხანგრძლივობის საშუალო კვადრატული გადახრა და ვარიაციის კოეფიციენტი აჭარის 2000-2100მ სიმაღლეზე შესაბამისად 163,7 და 0,24-ია, ხოლო 1800-1900მ სიმაღლეზე – 28,8 და 0,97.



გრ. 5.2.2. სანგრძლივობის სტანდარტული ცდომილება 1000-დან 2300მ აჭარის მთიანი სისტემისათვის 8,7-დან 49,6 ფარგლებში მერყეობს, ხოლო შეფარდებითი – 7-დან 32%-მდე.

აჭარის მთიანეთში ქარბუქის მოვლენის ძირითადი რაოდენობა – 20-დან – 2^0 ჩ ტემპერატურების დროს არის მოსალოდნელი, ხოლო დაბლობ ჭარბტენიან რაოთნებში -4^0 ჩ დროსაც არის შესაძლებელი, ქარის სიჩქარე ძირითადად $\geq 16\text{მ/წმ-ზე}$. გოდერძის გადასასვლელზე $\geq 16\text{მ/წმ}$ ქართა სიჩქარე წელიწადში 38%-ს შეადგენს.

ქარბუქის აქტივობის მიხედვით ჩვენს მიერ მოხდენილია აჭარის ტერიტორიის დარაიონება. დარაიონებას საფუძვლად უდევს წელიწადში ქარბუქიან დღეთა საშუალო რიცხვი, უდიდესი რაოდენობა და, აგრეთვე, ერთი ქარბუქის უწყვეტი სანგრძლივობა. ამასთან, მხედველობაში მიღებულია ტერიტორიის ვერტიკალური ზონალობა და ადგილმდებარეობა.

აჭარის ტერიტორიაზე გამოყოფილ პირველ რაიონს განეკუთვნება სამხრეთ საქართველოს მთიანეთის დასავლეთი ნაწილის მაღალმთიანეთი (≥ 2500 მ) და ზედა მთიანი ტერიტორია; მეორე რაიონი მოიცავს არსიანის ქედის ჩრდილოეთ ნაწილს და მესხეთის ქედის იმ ნაწილს, რომელიც აჭარის ტერიტორიაზე განთვალისწინება. ამ რაიონის ქვედა საზღვარი გადის 2000მ სიმაღლეზე, ხოლო ზედა – პირველი რაიონის ქვედა საზღვარზე; მესამე რაიონი აჭარის ის მთიანი ტერიტორია, რომლის ქვედა საზღვარი 1000-1100მ მაღლივ ზონაზე გადის, ხოლო ზედა საზღვარი მეორე რაიონის ქვედა საზღვარია; მეოთხე რაიონი მოიცავს აჭარის იმ ნაწილს, რომლის ქვედა საზღვარი 400-500მ სიმაღლეზე, ხოლო ზედა – მესამე რაიონის ქვედა საზღვარი; მეხუთე რაიონი განთვალისწინება იმ ტერიტორიაზე, რომლის ქვედა საზღვარი 400-500მ სიმაღლეზე, ხოლო ქვედა – აჭარის დაბლობია.

5.3. ნისლი

ნისლი კონდენსაციის პროცესების დაგროვებისა და წყლის ორთქლის წყლად ქვევის შედეგია. წარმოშობის მიხედვით არჩევენ ორგვარი სახის ნისლებს: თბილს – აორთქლების შედეგად მიღებულს და ცივს – აგმოსფეროს ორთქლით ზენაჯერი მდგომარეობის დროს ჰაერის გადაცივებით მიღებულს.

ინტენსივობის მიხედვით არჩევენ მეტად ძლიერ ნისლს, როდესაც ხილვადობა 50მ და მასზე ნაკლებია, ძლიერ ნისლს, როცა ხილვადობა 51-100მ ფარგლებშია, საშუალოს 101-500მ და სუსტს 501-1000მ ხილვადობის დროს.

ნისლი და ნისლიანობა ამინდის საშიშ მეტეოროლოგიურ მოვლენათა რიცხვს განეკუთვნება. ძლიერი ნისლი იწვევს ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობის შეწყვეტას. ჰაერის დაბალი ტემპერატურების დროს მაღალი აბგვის ელექტროგადამცემ ხაზებზე ადგილი აქვს შემოყინვას, რის შედეგად ხდება მათი ექსპლუატაციიდან გამოყვანა. ნისლი ცუდად მოქმედებს ადამიანის გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონირებაზე და სხვა.

საზოგადოდ, წარმოშობის მიხედვით ნისლი ორგვარია – რადიაციული და ადგექციური. ნისლიან დღეთა რიცხვის განაწილება აჭარის ტერიტორიაზე დიდად არის დამოკიდებული როგორც ადგილმდებარეობაზე და მთათა სისტემის სიმაღლეზე, ასევე ტერიტორიის ორგანუაციაზე. აჭარის ტერიტორიის დაბლობ რაიონებში ხშირად ხდება ცივი ჰაერის მასების ჩადინება და მათი იქ შეჩერება. ამასთან, შავი ზღვიდან ზენაჯერი ნოტიო ჰაერის მასების ხშირი შემოჭრა იწვევს ნისლიანობის განმეორადობათა ზრდას.

აჭარის ტერიტორიაზე განასხვავებენ ნისლის რადიაციულ და ადგექციურ სახეობებს. რადიაციული ნისლი ლოკალური ხასიათისაა,



იგი ადგილობრივი ჰაერის გადაცივების შედეგია. მისი ინტენსივობა და ხანგრძლივობა მცირეა. აღვექციური ნისლი, შემოჭრილი ჰაერის მასების შემცირებული ტემპერატურისა და გაზრდილი სინოტივის გამო, უფრო ხანგრძლივი და ინტენსივობითაც გამორჩეულია. განსაკუთრებით, ჰაერის ასეთი მასების ხმელეთზე გადმოსვლის გამო მისი კიდევ უფრო გადაცივებით, წლის ცივ პერიოდში ნისლიანობა კიდევ უფრო ხანგძლივი და ინტენსიურია.

აჭარის ტერტორიაზე არსებული ყველა მეტეოროლოგიურ სადგურთა მონაცემების გაანალიზებით, რომელთა რიცხვი 20-ს შეადგენს ხანგრძლივობის სხვადასხვა პერიოდით (50-100 წელი), ჩვენს მიერ დადგენილია, რომ ნისლიან დღეთა რიცხვი აჭარის შავი ზღვის სანაპირო ზოლში 100მ სიმაღლეზე ზ. დ. წლის განმავლობაში 3-დან 10-მდე მერყეობს (ნახ. 5.3.1). ჩაქვა-ქობულეთის მთათა სისტემის და მესხეთის ქედის იმ ფერდობებზე, რომლებიც მიმართულია დასავლეთისკენ და სამხრეთ-დასავლეთისკენ, ნისლიან დღეთა რიცხვი ნახტომისებურად იზრდება და 200 და მეტ დღეს აღწევს (მეტეოსადგური ცისკარა 1210 მ.ზ.დ.). ნისლიან დღეთა რიცხვის გრადიენტი აქ 18-20 დღეა ყოველ 100მ სიმაღლეზე ასვლისას. მესხეთის ქედის სამხრეთ-დასავლეთ და შავშეთის ქედის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ ფერდობებზე ნისლიან დღეთა რაოდენობა 100-140 დღე და მეტია, გრადიენტი კი 13-15 დღეს შეადგენს. მესხეთის ქედის ჩრდილო ფერდობებზე გრადიენტი 5-6 დღეა. აჭარის სანაპირო რაიონებში 50მ სიმაღლემდე თვეში ნისლიან დღეთა რაოდენობა 8-ს არ აღემატება, ხოლო სიმაღლის მაღალ ნიშნულებზე (800-1000 მ.ზ.დ.) განმეორადობამ თვეში შეიძლება 27-28 დღეს მიაღწიოს. ნისლიანობის მაქსიმალური რაოდენობა ძირითადად ოქტომბრის და მარტის თვეებშია. ადგილმდებარების სიმაღლის ზრდასთან ერთად აპრილსა და სექტემბერშიც არის მოსალოდნელი მათი მაქსიმუმი.

აჭარაში ნისლიანობის განმეორადობის ზრდას ძირითადად გაზაფხულზე განსაკუთრებით აპრილში და შემოდგომაზე - სექტემბერში აქვს აღგილი 800-1000მ სიმაღლემდე. ნისლიან დღეთა მატება ძირითადად გამოწვეულია შავი ზღვიდან ნოტით ჰაერის მასების შემოჭრით. 1000მ სიმაღლის ზევით ნისლიანობის მაქსიმუმს ადგილი აქვს ზაფხულის თვეებში.

ნისლიან დღეთა რიცხვი კავშირშია მისი მოქმედების ხანგრძლივობასთან - სანაპირო რაიონებში წლის განმავლობაში 26,1 სთ ბათუმში და 52,47 ქედაში. ჯამური ხანგრძლივობა სიმაღლის მატებასთან ერთად იზრდება და 900მ სიმაღლეზე 1106,3 სთ-ს შადგენს ხელიში. რაც შეგხება ნისლიანი ერთი დღის საშუალო ხანგრძლივობას, იგი 3,2-დან 4,2 საათამდე მერყეობს ოქტომბერ-მარტის განმავლობაში 300მ სიმაღლემდე, ხოლო 900-1000მ

სიმაღლეებზე ზღვის დონიდან – 10,8 საათმდეა. აპრილ-სექტემბრის პერიოდში ეს სიღიდე 4,8-5,0 საათია დაბლობ რაიონებში, ხოლო 900გ სიმაღლეზე – 10,8 საათს არ აღემატება.



ჰაერის ტემპერატურის ზრდა დღის საათებში და კლება დამის სათებში ხელს უწყობს ნისლიანობის რაოდენობის ამპლიტუდის რევეზის დიდ სიდიდეებს წლის სხვადასხვა სეზონში. აჭარის ტერიტორია-

ზე ნისლიანობის მინიმუმი მოდის დღის 13 საათზე. გამონაკლისს წარმოადგენს მაღალმოიანი რაიონები, რადგან დაბლობში აორთქლებული ნოტიო ჰაერის მასები ზეასელისას, აღწევენ რა მაღალმოიან რაიონების შუაღლისას, იქდინთებიან სინოტივით აქ არსებული ჰაერის დაბალი ტემპერატურების გამო. ამიზომ, ნისლიანობის ხანგრძლივობა მესებეთის ქედის მაღალმოიანეთში შუადღის პერიოდში კიდევ უფრო იზრდება. ნისლიანობის მომატებას ასევე ხელს უწყობს აქ არსებული ბრიზების და მთა-ხეობის ქარების არსებობა. ამავე მიზეზით იზრდება ნისლიან დღეთა რიცხვი ზაფხულში საღამოს საათებში.


აჭარის ტერიტორიაზე ნისლის ჩამოწოლის მაქსიმალური მასა ძირითადად 8-9 საათის შუაღლებშია.

5.4. უხვი ნალექები


ატმოსფერული ნალექები უხვია ოუ 30 მმ ან მასზე მეტი ნალექების რაოდენობა აღინიშნება დღე-დღემეში. გენეზისის მიხედვით ასეთი ნალექები ფრონტალური ან კონვექციური ხასიათისაა. აჭარის ტერიტორიაზე თავსხმა წვიმები ხანმოკლეა როდესაც ისინი შიგამასიური ხასიათისაა, ხოლო ფრონტალური კ.ი. ციკლონის გავლასთან დაკავშირებული თავსხმა წვიმები გამოირჩევა დიდი ხანგრძლივობით, ინტენსივობით და რაოდენობით. კონვექციური პროცესები კიდევ უფრო ამძიმებს თავსხმა წვიმებს.

საკვლევ ტერიტორიაზე დღეთა განმეორადობა, როდესაც ადგილი აქვს 30 მმ ან მეტ ნალექს დღე-დღამის განმავლობაში 10-40-ია, შავი ზღვის ვიწრო სანაპირო ზოლში თავსხმა წვიმები მოსალოდნელი 150 მმ და მეტი რაოდენობით საშუალოდ 1-1.5 დღეა წელიწადში. (ნახ.5.4.1) უხვნალექიან დღეთა რაოდენობა 300მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან ძირითადად აღინიშნება ოქტომბერში, მთიან ზონაში კი ნოემბერში. 75 მმ და მეტი ნალექებით დღეთა რიცხვი აჭარაში აგვისტო-ოქტომბერშია. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ძირითადად კონვექციური პროცესები, გარდა ამისა, აქ არსებული მთათა სისტემა, რომელთა შეშვეობით ხდება დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ მხრიდან შემოჭრილი ჭარბნოტიო ჰაერის მასების შეკვება ზრდის თავსხმა წვიმების სიხშირეს. ყოველივე ეს აპირობებს აჭარაში თავსხმა წვიმების განმეორებათა მაღალ სიდიდეებს. მაგალითად, მთა მტირალას მიდამოებში 60-65% თავსხმა წვიმებზე მოდის. აქ ხშირად თავსხმა ნალექები თოვლის სახითაა მოსული. დღე-დღამური ნალექების მაქსიმალური სიღიდე ზაფხულის და შემოდგომის თვეებშია. 10 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია 80-150 მმ რაოდენობის ნალექიანი დღე, ხოლო 100 წელიწადში ერთხელ ≥ 200 მმ. წელიწადში. საშუალოდ, ≥ 30 მმ ნალექიან დღეთა რიცხვი ჩაქვსა, ქობულეთსა და ბათუმში 21.9-35.7-ის ფარგლებშია,

ხოლო ≥ 150 მმ თავსება წვიმიან დღეთა რიცხვი 0.72-1.36-ის ფარგლებში. მაგალითად, 1963 წლის 2 აგვისტოს ერთი დღის განმავლობაში მოსული ნალექების რაოდენობამ 235 მმ შეადგინა.



ნახ. 5.4.1. 30 მმ-ზე მეტი ან ტოლი ნალექიან დღეთა რიცხვის წლიური სკორა. 1-ტულ; 2-ქვედ; 3-ჩაქვ. დღე



ნახ. 5.4.2. 30 მმ-ზე მეტი ან ტოლი ნალექიან დღეთა წლიური რაოდენობა.

აჭარის ტერიტორიაზე ხშირია გარემომცველი წვიმების გადასვლა თავსება წვიმებში და პირიქით.

თავსება წვიმათა ინტენსივობა აჭარის სანაპირო სამხრეთ ზოლში 5წუთიანი ხანგრძლივობით საშუალოდ 0.85 მმ/წთ-ია, ხოლო 45-წუთიანი ხანგრძლივობით 0.68 მმ/წთ. 5-წუთიანი ნალექების ინტენსივობის მაქსიმალური სიდიდე არის 2.58 მმ/წთ.

ყველაზე უფრო ხანგრძლივი 20 წუთის განმავლობაში თავსება წვიმა დაფიქსირებულია ბათუმში 1925 წლის 17 ივნისს 0.60 მმ/წთ ინტენსივობით.

5.5 თოვლის ზეავები

ზეავსაში შროების განმსაზღვრები გეოგრაფიული პირობები, ძირითადად, ციცაბო, უტყეო ფერდობები და უხევი თოვლი ხელს უწყობს აჭარის ტერიტორიაზე ზეავების ფართო გავრცელებას.

აჭარის ტერიტორიის 42% მდებარეობს დაბალმთიან (ზღვის დონიდან 1000 მ-ზე დაბლა), 40% - საშუალომთიან (1000 – 2000 მ), ხოლო 18% - მაღალმთიან (2000 მ-ზე მაღლა) ზონებში. დაბალმთიანი ზონა მთიცავს შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორიას ძირითადი მდინარეებისა და მათი შენაკადების ხეობებს, საშუალომთიანი ზონა – ამ ხეობების ფერდობებს, ხოლო მაღალმთიანი ზონა – შავშეთის, არსიანისა და მესხეთის ქედების ფერდობებს.

ზეავების წარმოქმნა ხდება 150-ზე მეტი დახრილობის მქონე ფერდობებზე; ამავე დროს 150-ზე ნაკლები დახრილობის მქონე ტერიტორიას უკავია აჭარის მთლიანი ფართობის მხოლოდ 17%; ტერიტორიის 48%-სათვის დამახასიათებელია ზედაპირის 15-25⁰ დახრილობა, 33%-სათვის – 25-35⁰, ხოლო 2%-სათვის – 35-ზე მეტი.

აჭარის ტერიტორიის ნახევარზე მეტი ტყითაა დაფარული. დაბალმთიან ზონაში ტყებს უკავია მთლიანი ფართობის 43%, საშუალომთიან ზონაში – 78%, ხოლო მაღალმთიან ზონაში – 42%. ზეავების წარმოქმნა არ ხდება ხშირი წიწვოვანი და შერეული ტყით დაფარულ ტერიტორიაზე, მაგრამ ტყის გავრცელების ზონაში ხშირია უტყეო ან მეჩხერტყიანი ფერდობები, რომლებიც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ზეავების წარმოქმნისათვის.

აჭარის მთიან ნაწილში მყარ ნალექებზე დაკვირვება არ ხდება; მათი თავისებურებების დასადგენად გამოვიყენეთ ვ.ცომაიას მეთოდით გამოვლილი მონაცემები [1].

აჭარის ტერიტორიაზე მდებარე უკელა მეტეოსადგურის მრავალწლიანი დაკვირვების მასალების, აგრეთვე თეორიული გამოთვლებით მიღებული მონაცემების გამოყენებით დავადგინეთ მყარი ნალექების რაოდენობის და თოვლის საფარის სიმაღლის ექსტრემალური და საშუალო მნიშვნელობები, შევადგინეთ შესაბამისი რუკები. მიღებული შედეგების საფუძველზე შედგენილი ცხრილები გარკვეულ წარმოდგენას იძლევა დასახელებული მასასიათებლების სივრცულ-დროით ცვლილებებზე.

საკვლევ ტერიტორიაზე შეიმჩნევა ზღვის დონიდან ადგილის სიმაღლის მატებასთან ერთად მყარი ნალექების რაოდენობისა და შესაბამისად თოვლის საფარის სიმაღლის ზრდა და ამ ზრდის შემცირება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, რელიეფის თავისებურებით გამოწვეული, შავი ზღვის გაფლენის შესუსტების გამო (ცხრ. 5.5.1).

**ცხრილი 5.5.1 მყარი ნალექების საშუალო და ექსტრემალური
მნიშვნელობები ცალკეულ მეტოსადგურზე**

სადგური	სიმაღლე (მ)	მყარი ნალექების რაოდენობა, მმ		
		მაქსიმალური	საშუალო	მინიმალური
მწვანე კონცხი	94	392	116	13
ქედა	256	432	185	62
ხულო	923	590	231	62
ცისქარა	1210	1426	877	618
გოდერძის უდელტეხილი	2025	1189	653	365

თოვლის საფარის სიმაღლე დიდი ცვალებადობით ხასიათდება როგორც დროში, ისე სიცრცეში აჭარის მთელ ტერიტორიაზე (ცხრ. 5.5.2). უხვოთვლიან ზამთარში თოვლის სიმაღლე მესხეთის ქედის მიმდებარე ფერდობებზე 500 სმ-ს აღემატება და მხოლოდ აჭარის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშია 100 სმ-ზე ნაკლები. მცირეთვლიან ზამთარშიც კი მესხეთის, არსიანის, შავშეთის ქედების საშუალო და მაღალმთიან ფერდობებზე თოვლის სიმაღლე 100-120 სმ-ს აღემატება.

აჭარაში დიდია თოვლის საფარის სიმაღლის ნამატი, როგორც ერთი თოვის დროს, ისე დღე-დამეში. ერთი თოვის დროს მოსული თოვლის საფარის სიმაღლის მაქსიმალურმა ნამატმა (ცისკარში შეაღინა 329 სმ (31.01 - 1 02.1960 წ.), ჩაქვისათავში – 212 სმ (15-23.02.1985 წ.), ქედაში – 195 სმ (16-24.02.1985 წ.). თოვლის საფარის სიმაღლის მაქსიმალური დღე-დამეური ნამატი ცისკარაში იყო 99 სმ (2-3.02.1960 წ.), ჩაქვში – 90 სმ (20-21.02.1985 წ.), ქედაში – 80სმ (31.12.1987წ. – 01.01.1988 წ.).

**ცხრილი 5.5.2 თოვლის საფარის საშუალო და ექსტრემალური
სიმაღლეები აჭარის ტერიტორიაზე**

თოვლის საფარის სიმაღლე და გავრცელების არე (%) მთლიან ფართობიდან)					
მაქსიმალური	საშუალო	მინიმალური	ნ, სმ	%	ნ, სმ
≤ 100	3	≤ 75	12	≤ 30	24
101-200	14	76-150	35	31-60	21
201-300	25	151-225	24	61-90	14
301-400	35	226-300	16	91-120	13
401-500	7	>300	13	>120	28
> 500	16				

ამრიგად, აჭარის ტერიტორიის 58% საშუალო და მაღალმთიან ზონაში მდებარეობს, 83%-ზე ზედაპირის დახრილობა 15⁰-ზე მეტია; 40% უტყვე, ხოლო ტყის გავრცელების ზონაში ხშირია მეჩერტყიანი და უტყვე ფერდობები. უხვთოვლიან ზამთარში ტერიტორიის 97%-ზე მოსული თოვლის სიმაღლე 100 სმ-ზე მეტია, თოვლის საფარის სიმაღლის მაქსიმალური ნამატი ერთი თოვის დროს აღწევს 200-330 სმ-ს, ხოლო დღეულამური ნამატი 80-100 სმ-ს. კოველივე ეს ზავების წარმოქმნისა და ფართო გავრცელებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

მთიანი რეგიონების ზვავასაშიშროებას განსაზღვრავს გეოგრაფიული პირობების თავისებურებით განპირობებული ზვავსაშიშროების ძირითადი რაოდენობრივი მახასიათებლები: ტერიტორიის ზვავაქტიურობა (ზვავაქტიური ფერდობების წილი საერთო ფართობში), ზვავ-შემკრებების გავრცელების სიხშირე (მათი რაოდენობა ფართობის ერთეულზე), ზვავების ჩამოსვლის სიხშირე (ზვავშემქრებიდან ზვავების ჩამოსვლის რაოდენობა ერთ ზამთარში) და ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა (ზვავსაშიშ დღეთა რაოდენობა ერთ ზამთარში).

საქართველოს ტერიტორიაზე ზვავებზე მრავალწლიანი სისტემატიური დაკვირვება მხოლოდ თოვლ-საზვავე სადგურ ჯერის უდელტესილზე წარმოებდა, ხოლო გოდერძის უდელტესილისა და როკის თოვლ-საზვავე სადგურებზე დაკვირვება მხოლოდ რამდენიმე წელს მოიცავს. ჩამოთვლილ სადგურებზე დაკვირვებისა და მრავალწლიანი საველე კელევის მასალების, აგრეთვე ზვავწარმომქნელი ფაქტორების თავისებურებათა ანალიზის საფუძველზე, შევმუშავეთ ზვავსაშიშროების რაოდენობრივი მახასიათებლების და ზვავსაშიშროების ხარისხის განსაზღვრის მეთოდები [2-6]. ეს მეთოდები აპრობირებულია საქართველოს ცალკეულ მთიან რეგიონებში. აჭარის ტერიტორიაზე ზვავსაშიშროების რაოდენობრივი მახასიათებლების სივრცეულ-დროითი ცვლილების კანონზომიერებანი და ზვავსაშიშროების ხარისხი დადგენილია ამ მეთოდების გამოყენებით.

რაონებს, სადაც ზვავსაშიშროების ძირითადი რაოდენობრივი მახასიათებელი – ტერიტორიის ზვავაქტიურობა ნულის ტოლია, აჭარის მთლიანი ფართობის 18% უჭირავს და ძირითადად ზღვისპირა და მთისწინა დაბალმთიან ზონას მოიცავს. 20%-ზე ნაკლები ტერიტორიის ზვავაქტიურობა დამახასიათებელია 15⁰-ზე მეტი დახრილობის მქონე შერეული და წიწვოვანი ტყით დაფარულული დაბალმთიანი და საშუალომთიანი ფერდობებისათვის; 20-40%-იანი ზვავაქტიურობა ახასიათებს მესხეთის, არსიანისა და შავშეთის ფოთლოვანი ტყით დაფარულ საშუალომთიან ფერდობებს; 40-60%-იანი ზვავაქტიურობა – მესხეთისა და შავშეთის ქედების უტყვე და მეტხერტყიან საშუალომთიან ფერდობებს და სუბალპურ ზონას; 60-80%-იანი – მესხეთისა და

შავშეთის ქედების აღმურ ზონაში მდებარე ცალკეულ ციცაბო ფერდობებს. ტერიტორიის ზვავაქტიურობა 20% ნაკლებია აჭარის მთიანი ფართობის 58%-ზე, 20-40% -14%-ზე, 40-60% - 7%-ზე, ხოლო 60-80% - 3%-ზე.

დაბალმთიანი და საშუალომთიანი ზონების უმეტეს და მაღალმთიანი ზონის მნიშვნელოვანი ნაწილზე (აჭარის ფართობის 42%) ზეაგშემკრებების გაგრცელების სიხშირე 1 კმ –ზე 5-ზე ნაკლებია; მესხეთისა და შავშეთის ქედების საშუალომთიან და არსიანის ქედის მაღალმთიან ფერდობებზე ზვავშემკრებების სიხშირე არის 5-10 (30%), ხოლო მესხეთისა და შავშეთის ქედების მაღალმთიან ზონებში მდებარე ფერდობებზე – 10-15 (6%) და 15%-ზე მეტი (4%); ცალკეულ მაღალმთიან, ძლიერ დანაწევრებულ ფერდობებზე ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე 1კმ²-ზე 18-20-მდე აღწევს.

ზვავების ჩამოსვლის სიხშირე აჭარის ტერიტორიაზე დიდ ფარგლებში იცვლება როგორც სივრცეში, ისე დროში (ცხრ. 5.3). ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირის დროს (უხვოვლიან ზამთრებში) აჭარის მთლიანი ფართობის მხოლოდ 18%-ზე არ ხდება ზეაგების წარმოქმნა; არაზვავსაშიშ ზონას უკავია 15⁰-ზე ნაკლები დახრილობის მქონე ტერიტორია; მნიშვნელოვან ფართობს (14%) მესხეთისა და შავშეთის ქედების მაღალმთიან ციცაბო ფერდობებზე მოიცავს რაიონი სადაც ზვავების ჩამოსვლის რაოდენობა ერთ ზვავშემკრებიდან 15-ზე მეტია. ზვავების ჩამოსვლის საშუალო სიხშირის დროს (საშუალოთვლიან ზამთრებში) მათი წარმოქმნა არ ხდება აჭარის ტერიტორიის 13%-ზე, ხოლო 10-ზე მეტი ზვავის ჩამოსვლა ერთ ზამთარში მხოლოდ მესხეთის ქედის მაღალმთიან ფერდობებზე დაიკვირვება. ზვავების ჩამოსვლის მინიმალური სიხშირის დროს (მცირეთვლიან ზამთრებში) ზვავები არ წარმოიქმნება დაბალმთიან ზონაში და საშუალომთიან ზონის უმეტეს ნაწილზე, ხოლო 5 ზვავ-ზე მეტის ჩამოსვლა მხოლოდ მესხეთის ქედის ცენტრალური ნაწილის მაღალმთიან ზონაში მდებარე ციცაბო ფერდობებზე დაიკვირვება.

ცხრილი 5.5.3ზვავების ჩამოსვლის სიხშირე აჭარის ტერიტორიაზე

ზვავების ჩამოსვლის რაოდენობა ერთ ზამთარში	ზვავების ჩამოსვლის სხვადასხვა სიხშირის რაიონები (% მთლიანი ფართობიდან)		
	მაქსიმალური	საშუალო	მინიმალური
0	18	31	55
< 5	30	46	42
5-10	22	17	3
10-15	16	5	-
> 15	14	1	

ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობაც დიდი სივრცულ-დროითი ცვლილებით ხასიათდება (ცხრ. 5.5.4). მესხეთისა და შავშეთის მაღალმთიან ფერდობებზე ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა ერთ ზამთარში 150 დღეზე მეტია. რაიონს, სადაც ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა 100-150 დღეა, ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობის დროს საკვლევი ტერიტორიის დასავლეთი ნაწილის საშუალომთიანი ზონა და აღმოსავლეთი ნაწილის მაღალმთიანი ზონები უჭირავს, ხოლო საშუალო ხანგრძლივობის დროს – მხოლოდ მესხეთისა და შავშეთის მაღალმთიან ზონაში მდგბარე ფერდობები. ზვავსაშიში პერიოდით 50-დან 100 დღემდე მაქსიმალური ხანგრძლივობის დროს ხასიათდება, ძირითადად, დაბალმთიანი ზონა, საშუალო ხანგრძლივობის დროს – საშუალომთიანი ზონა, ხოლო მინიმალური ხანგრძლივობის დროს – მხოლოდ მაღალმთიანი ზონა. რაიონს, სადაც ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა 50 დღეზე ნაკლებია, მაქსიმალური ხანგრძლივობის დროს უჭირავს დაბალმთიანი ზონა, საშუალოხანგრძლივობის დროს – დაბალმთიანი ზონა აჭარის დასავლეთ ნაწილში და საშუალომთიანი ზონა აღმოსავლეთ ნაწილში, ხოლო მინიმალური ხანგრძლივობის დროს – საშუალომთიანი ზონა საკვლევი ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში და მაღალმთიანი ზონა აღმოსავლეთ ნაწილში.

ცხრილი 5.5.4 ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა აჭარის ტერიტორიაზე

ზვავსაშიშ დღეთა რაოდენობა ერთ ზამთარში	ზვავსაშიში პერიოდის სხვადასხვა ხანგრძლივობის რაიონები (%) მთლიანი ფართობიდან)		
	მაქსიმალური	საშუალო	მინიმალური
0	18	26	53
< 50	18	31	34
50-100	23	26	13
100-150	21	12	-
> 150	20	5	-

აჭარის ტერიტორიის დარაიონებას ზვავსაშიშროების მიხედვით საფუძვლად დაედო 4 ძირითადი რაოდენობრივი მახასიათებელი: ტერიტორიის ზვავაქტიურობა, ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე, ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე და ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა ერთ ზამთარში.

არაზვავსაშიშია აჭარის მთლიანი ფართობის მხოლოდ 18%, ძირითადად, 15%-ზე ნაკლები დახრილობის მქონე შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორია.

ზვავსაშიშ ტერიტორიაზე, რომლის ქვედა საზღვარი ზღვის დონი-დან 40-100 მ-ზე გადის, ზვავსაშიშროების ხარისხის მიხედვით გამოიყოფა სუსტი, საშუალო, ძლიერი და განსაკუთრებით ძლიერი ზვავსა-შიშროების რაიონები.

სუსტი ზვავსაშიშროების რაიონს მივაკუთვნეთ ტერიტორია, სა-დაც ტერიტორიის ზვავაქტიურობა ნაკლებია 20%-ზე, ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე – 5 ზვავშემკრებზე 1 კმ-ზე ზვავების ჩა-მოსვლის სიხშირე – 5 შემთხვევაზე და ზვავსაშიში პერიოდის ხან-გრძლივობა – 50 დღეზე ერთ ზამთარში; საშუალო ზვავსაშიშროების რაიონში ერთ ზვავსაშიშროების რაოდენობრივი მახასიათებელი მა-ინც მეტია ზემოთ მოვანილ სიდიდეებზე. ძლიერი ზვავსაშიშროების რაიონში ტერიტორიის ზვავაქტიურობა მეტია 40%-ზე, ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე – 10 ზვავშემკრებზე 1კმ²-ზე, ზვავების ჩა-მოსვლის სიხშირე – 10 შემთხვევაზე და ზვავსაშიში პერიოდის ხან-გრძლივობა – 100 დღეზე ერთ ზამთარში; განსაკუთრებით ძლიერი ზვავსაშიშროების რაიონში ზვავსაშიშროების რაოდენობრივი მახასი-ათებლები მეტია 60%-ზე, 15 ზვავშემკრებზე 1კმ²-ზე, 15 შემთხვევაზე და 150 დღეზე ერთ ზამთარში, შესაბამისად ზემოთ ჩამოთვლილ რა-იონებს უკავია აჭარის ტერიტორიის 18, 53, 7, 4%, შესაბამისად.

განსაკუთრებით ძლიერი ზვავსაშიშროების რაიონს, ძირითადად, უჭირავს მესხეთისა და შავშეთის ქადების 2300-2500 მ-ზე მაღლა მდე-ბარე ციცაბო ფერდობები; ძლიერი ზვავსაშიშროების რაიონს – მა-დალმთიან ზონაში მდებარე ტერიტორია; საშუალო ზვავსაშიშროების რაიონს – საშუალომთიანი ზონა მთლიანად და დაბალმთიან ზო-ნის მნიშვნელოვანი ნაწილი; სუსტი ზვავსაშიშროების რაიონს – და-ბალმთიანი ზონის 400-500 მ-ზე დაბლა მდებარე ტერიტორია.

ზვავსაშიშია აჭარის ბარის მთასთან, მათში მდებარე რაიონებისა და დასახლებული პუნქტების ერთმანეთთან დამაკავშირებელი სააგ-ტომობილო გხები, აგრეთვე მთიან რეგიონებში მდებარე სამეურნეო, რეკრეაციული და სხვა დანიშნულების ობიექტები.

საგელე მასალების, საარქივო და გამოქვეყნებულ წყაროებში არ-სებული მონაცემების, თეორიული გამოთვლებისა და ზვავშარმომქ-ნელი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე გამოვალინეთ 87 ზვავსაშიში დასახლებული პუნქტი და მათვის საშიში 161 ზვავშემკრები. დავადგინეთ ამ ზვავშემკრებების მორფომეტრიული და მათში წარმოქმნილი ზვავების დინამიკური მახასიათებლები.

დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებების დასაწყი-სის აბსოლუტური სიმაღლე იცვლება 450 მ-დან (მდჩაქვისთვის ხეო-ბა) 2465 მ-მდე (მდ. ტბეთის ხეობა), დასასრული სიმაღლე – 200 მ-დან (მდ. აჭარისწყლის ხეობა) 1480 მ-დე (მდ. დიაკონიძის ხეობა), უგრძესია (3995 მ) მდ. ნაღვარევისწყლის ხეობაში მდებარე

ზვავშემკრებები, ხოლო უმოკლესი (230 მ) – მდ. აჭარისწყლის ხეობაში მდებარე ზვავშემკრები (ცხრ. 5.5.5).

ცხრილი 5.5.5.ზვავშემკრებების განაწილება დასაწყისისა და დასასრულის აბსოლუტური სიმაღლის და სიგრძის მიხედვით

დასაწყისის სიმაღლე, მ	% საერთო რაოდენო- ბიდან	დასასრულ ის სიმაღლე, მ	% საერთო რაოდენო- ბიდან	სიგრძე, მ	% საერთო რაოდენო- ბიდან
< 500	1	< 250	3	< 1000	37
500-1000	22	250-500	22	1000-1500	32
1001-1500	38	501-750	11	1501-2000	12
1501-2000	37	751-1000	30	2001-2500	10
> 2000	2	> 1000	34	> 2500	9

ზვავების კერის ფართობი იცვლება 0.01-დან 30 ჰა-მდე (მდ.კინტრიშის ხეობა), ზვავის კერის ზედაპირის დახრილობა – 17°-დან (მდ.ტბეთის ხეობა) 49°-მდე (მდ. ჩირუხისწყლის ხეობა), ხოლო ზვავის მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე 13 მ/წმ-დან (მდ.ღორჯვომის და მდ. აჭარისწყლის ხეობები) 59 მ/წმ-მდე (მდ. ნაღვარევისწყლის ხეობა) იცვლება (ცხრ. 5.5.6).

ცხრილი 5.5.6.ზვავის კერების განაწილება ფართობისა და ზედაპირის დახრილობის, ზვავების განაწილება მაქსიმალური სიჩქარის მიხედვით

ფართობი, ჰა	% საერთო რაოდენო- ბიდან	დახრილობა, გრადუსი	% საერთო რაოდენო- ბიდან	სიჩქარე, მ/წმ	% საერთო რაოდენო- ბიდან
< 0.3	32	< 20	5	< 25.0	29
0.3-0.5	37	20-25	20	25.0-30.0	32
0.6-1.0	14	26-30	33	30.1-35.0	16
1.1-2.0	6	31-35	28	35.1-40.0	12
> 2.0	11	> 35	14	> 40.0	11

ზვავების მაქსიმალური დარტყმის მაღა მერყეობს 8 გ/მ^2 -დან (მდ.ღორჯვომის ხეობა) 156 გ/მ^2 -მდე (მდ.ნაღვარევისწყლის ხეობა), კონუსის მაქსიმალური მოცულობა - 1500 მ^3 -დან (მდ. ღორჯვომის ხეობა) 80800 მ^3 -მდე (მდ.კინტრიშის ხეობა), ხოლო ზვავის სიმაღლე 17 მ -დან (მდინარეების ჩაქვისწყლის, აჭარისწყლის და სხალთას ხეობები) 37 მ -მდე (მდინარეების ნაღვარევისწყლის, ვანისწყლის და აჭარისწყლის ხეობები) იცვლება (ცხრ. 5.5.7).

ცხრილი 5.5.7. ზვავების განაწილება მაქსიმალური დარტყმის ძალის, კონცენტრაციის მოცულობისა და სიმაღლის მიხედვით

დარტყმის ძალა, δ/δ^2 -	% საერთო რაოდენო- ბიდან	კონცენტრაციის მოცულობა, ათასი მ ³	% საერთო რაოდენო- ბიდან	სიმაღლე, მ	% საერთო რაოდენო- ბიდან
≤ 30.0	33	≤ 5.0	29	≤ 20	9
30.1-40.0	22	5.1-10.0	33	21-25	46
40.1-50.0	15	10.1-20.0	19	26-30	27
50.1-60.0	11	20.1-50.0	8	31-35	14
60.1-80.0	12	50.1-100.0	5	>35	4
> 80.0	7	> 100.0	6		

ზვავების ჩამოსვლა ყოველწლიურად მნიშვნელოვან ზარალს აყენებს აჭარის ეკონომიკას; უხვოობის ზამთარში კი საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეებსაც. 1970-71 წწ. ზამთარში კატასტროფული ზვავების მასიური ჩამოსვლის დროს, ხულოს რაიონის მხოლოდ ერთ სოფელში ზვავმა იმსხვერპლა 22 ადამიანი, დაანგრია მრავალი საცხოვრებელი სახლი და სხვადასხვა დანიშნულების შენობა.

ზვავსაშია აჭარის ტერიტორიაზე მდებარე ხუთივე აღმინისტრაციული რაიონის ცალქეული პუნქტი ან მისი ნაწილი. ზვავსაში დასახლებული პუნქტები შედარებით ცოტაა დაბალმთიან ქობულეთის და ხელვაჩაურის რაიონებში (4 და 3, შესაბამისად); ქვეით რაიონში ზვავსაშია 14, შეახვევის რაიონში – 21, ხოლო ხულოს რაიონში კი აჭარაში მდებარე ზვავსაში პუნქტების ნახევარზე მეტი 45.

87 ზვავსაში დასახლებული პუნქტიდან 14-ში (საერთო რაოდენობა 16%) ზვავების ჩამოსვლამ ადამიანთა მსხვერპლი და ნაგებობების ნგრევა, 32-ში (37%) – ნგრევა, 27-ში (31%) – დაზიანება გამოიწვია; 14 დასახლებული პუნქტი (16%) პოტენციურად ზვავსაშია, გამოთვლებმა და ზვავწარმომქმნელი ფაქტორების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საკმაოდ დიდია ამ პუნქტებში ზვავების ჩამოსვლის აღნათობა.

ლიტერატურა

- Цомая В.Ш. Характеристика твердых осадков и распределение их на территории Кавказа. Труды ЗакНИГМИ, вып. 68/74, 1979.
- Калдани Л.А. Лавиноопасные районы западной части Аджаро-Триалетской горной области. Труды ЗакНИГМИ, вып. 48/54, 1977.

3. Калдани Л.А. Густота снежных лавин на территории Аджаро-Имеретинской горной системы. Труды ЗакНИГМИ, вып. 68/74, 1979.
4. Калдани Л.А. Методика определения частоты схода снежных лавин из свежевыпавшего снега (на примере Аджаро-Имеретинской горной системы). Труды ЗакНИГМИ, вып. 68/74, 1979.
5. Калдани Л.А. Районирование территории по степени лавинной опасности. Труды ЗакНИГМИ, вып. 77/83, 1982.
6. Калдани Л.А. Методика определения продолжительности лавиноопасного периода (на примере Аджаро-Имеретинской горной системы). В кн.: Охрана природы Грузии. Изд-во ТГУ, вып. 1, 1983.

ს ა რ ჩ ე გ ი

წინასიტყვაობა (ე. ელიზბარაშვილი)	6
თავი I. კლიმატის ფორმირების ძირითადი ფაქტორები	7
1.1. კლიმატის რადიაციული ფაქტორები (რ. სამუკაშვილი)	7
1.2. ატმოსფერული ჰაერის წნევა (ე.სუხიშვილი)	16
1.3. ატმოსფეროს ცირკულაცია (ჯ.ვაჩნაძე, ი.ვაჩნაძე)	21
1.4. რელიეფი (მ.ელიზბარაშვილი, ზ.ქარსელაძე)	25
1.5. შავი ზღვა (ე.ელიზბარაშვილი, ზ.ქარსელაძე)	27
თავი II. კლიმატის ძირითადი ელემენტების ტერიტორიული განაწილების პანონზომიერებანი	30
2.1. ჰაერის ტემპერატურა ე.ელიზბარაშვილი, მ.ელიზბარაშვილი, ზ.ქარსელაძე)	30
2.2. ჰაერის ტენიანობა (რ.კორმახია)	38
2.3. ატმოსფერული ნალექები (ე.ელიზბარაშვილი შ.ელიზბარაშვილი, ზ.ქარსელაძე)	44
2.4. თოვლის საფარი (ლ. პაპინაშვილი)	45
2.5. ქარი (ე. სუხიშვილი)	51
თავი III. კლიმატური რესურსების პოტენციალი	56
3.1. საკურორტო კლიმატური რესურსები (ე.ელიზბარაშვილი, ზ.ქარსელაძე, თ.ალადაშვილი)	56
3.2. აგროკლიმატური რესურსები (ე.ელიზბარაშვილი, გ.მელაძე)	64
3.2.1. ციტრუსოვანი და თხილის კულტურების წარმოების აგროკლიმატური რესურსები (ლ.არგელაძე)	67
3.3. პელიოდერგეტიკული რესურსები (რ.სამუკაშვილი, ც.დიასამიძე)	76
3.4. ქარისენერგეტიკული რესურსები (ე. სუხიშვილი)	78
თავი IV. კომპლექსური კლიმატური მახასიათებლები	82
4.1. სანაპირო საკურორტო ზონის კლიმატი ამინდებში და მისი რეკრეაციული შეფასება (ე. სუხიშვილი)	82
4.2. ტემპერატურისა და ტენიანობის კომპლექსი (რ. კორმახია)	90
4.3. ქარის და წვიმის ერთობლივი ზემოქმედება ვერტიკალურ ზედაპირებზე (ლ. ქართველიშვილი)	91
თავი V. ამინდის საშიში მოვლენები	95
5.1. წაყინვები (ჯ. ვაჩნაძე, რ. კორმახია, ი.ვაჩნაძე)	95
5.2. ქარბუქი (ლ. პაპინაშვილი)	99
5.3. ნისლი (ლ. პაპინაშვილი)	104
5.4. უხვი ნალექები (ლ. პაპინაშვილი)	107
5.5. თოვლის ზვავები (ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე)	109

კომპიუტერული უზრუნველყოფა
დაქაბადონება
კორექტორები

თ. ალადაშვილი
გ. ელიზბარაშვილი
ჯ. ვაჩნაძე,
რ. სამუკაშვილი